

# გზა

N36(169) 4/IX.-10/IX.2003.  
ფასი 60 თ.

## სამსახურებრივი რომანი — ნებაყოფლობითი ყულფი

„ტელევიზიაში  
შეუმჩნეველი  
არაფერი რჩება...“

1168  
2003

თიკა ფაცასია  
ავარიის ადგილიდან  
გაპარვას სდილობდა



მალხაზ ქვრივიშვილის  
ერთადერთი ღამე  
ფახეობებშილ ქალთან





# კვან წოდებენ?!

კოტე მხედრიანი

კინო-ტელევიზიის მსახიობი



**შინაგარეობა**

გაუმარჯოს ერთ სექტემბერს!.. 3

**ერთი კითხვა** 4

**საპატარალო**

სიყვარულით სავსე ბარათები და „კოლეჯის“ რჩევა-ღარიბგაბანი 6

**სანიშნო**

ლომად დაბადებული ლევან შენგელია საცოლეს მიყრუებულ სოფელში ეძებს... 7

**თემა**

სამსახურებრივი რომანი – ნებაყოფლობითი ყულფი 9

**კრიმინალი**

ამენსტიით გათავისუფლებული პატიმარი საშიშ ბოროტმოქმედად იქცა 12

**გზავნილები**

„მოდი, შეხედე ჩემს დაღლილ თვალებს, გოგჯერ ღრუბლიანს, გოგჯერ კი მზიანს...“ 16

**ტანტი**

ერთგული მკითხველი 17

**ქალი საქმესთან**

თიკა ფაცაცია: „შამანძოდ ვერსად მივდივარ – თითქოს სხვა ტრანსპორტი არ არსებობს...“ 18

**გამაკაცხური ოინევი**

მალხაზ ქვრივიშვილის სასიყვარულო გაზრანები 20

**გემოვნება**

კრისტი ყიფშიძე: „ჩემი მებოგრაბი აღნიშნავენ სოლემ – საქსუალურად გამოიყურებიო...“ 23

**აღამიანი**

„მინდა, ჰვიღარ ალიევს ჩემი გული მივცა...“ ანუ ყველაზე თავის „რუბრიკებს“ მიხედოს 27

**შეაქონებთ თქვენი სოლნა**

ტანტი ვერუციბიამე 29

**საზღვრებს მიღმა**

ქართული მოკრივეები ამერიკაში 30

**გაყვანი**

„გოგჯერ ისეთი აღამიანი შებზვდება – გაღაარჩენ და მერე ღღეს, გამარჯობასაც არ გატყვის...“ 32

**ტაქარი**

ლილის ლოცვების განმარტება – რატომ იწოდება „გამაო ჩვენო“ საუფლო ლოცვა? 34

**სამსახურებრივი რომანი – ნებაყოფლობითი ყულფი**



თანამშრომელთან რომანის გაბმა პატიოსან საქციელად არ მიმჩნია. ყოველთვის ასე ვფიქრობდი, მაგრამ შეცდომა მაინც დავეშვი. ტელევიზიაში უამრავი ქალი მუშაობს. ერთ დღეს, ამ ღამამ ქალებს შორის ვარსკვლავივით აკიაფდა შავთმიანი გოგონა.

9

**თიკა ფაცაცია: „შამანძოდ ვერსად მივდივარ – თითქოს სხვა ტრანსპორტი არ არსებობს...“**

ახლახან, კიდევ ერთი შემთხვევა მქონდა: მანქანის ნომრები საქარე მინაზე მქონდა დამაგრებული. გამაჩერა პოლიციელმა და მითხრა – ნომრების დამაგრება საქარე მინაზე არ შეიძლება და ჯარიმა, სამოცი ლარი უნდა გადაიხადო.



18

**ნარსულში ხუთჯერ ნასამართლევა გინეა გუგუბიურა და გეგლელობა ჩაიღინა**




44 წლის კაცი, ჩადენილი დანაშაულისათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთით დასაჯეს. ასეთივე ძალადობისთვის იმავე წელს, სასამართლოს წინაშე კიდევ ოთხი პატიმარი წარდგა. კოლეგიაში თითოეულ მათგანს კანონით განსაზღვრული მკაცრი სასჯელი შეუფარდა...

12

**„მინდა, ჰვიღარ ალიევს ჩემი გული მივცა...“**

ალიევი რომ მოკვდეს, მისი შვილი გახდება პრემიერენგი. ამ შემთხვევაში კი, არავინ იცის, რა ბედი ელის იმ პროექტებს, რომელიც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. აი, ამიტომ ვფიქრობ – როდესაც ალიევს ჩემს გულს ვთავაზობ, ამით სამშობლოსთვის ვწირავ თავს.



27



|  |    |
|--|----|
| <b>უკრანი</b>  |    |
| წმინდა სახება და ახალი კინემატოგრაფიული ტილო                                     | 35 |
| <b>ასე უყვართ საქართველოში</b>   |    |
| მონაწილეები იასამანი და ბიჭი მდინარე   | 36 |
| <b>პარსკვლავები</b>  |    |
| კეირა ნაიტი ჰოლივუდისა და პოლიუმის ახალი სახე                                    | 40 |
| <b>რომანი</b>  |    |
| რუსულან ბერიძე, ლაგვიანავალი რეისი მონსიონი-თბილისი (ბაბრქაძე)                   | 42 |
| <b>სპორტის ლეგენდა</b>   |    |
| ლაშარტყვალი როკი მარჩინაო – მაფიოზთა სიამაყე                                     | 46 |
| <b>ანტიფაქტისა</b>   |    |
| ინფორმაციულ-შეფხვნილობითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან                     | 48 |
| <b>ავტო</b>  | 51 |
| <b>მოგზაურის დღიურები</b>  |    |
| ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, სადაც შეიძლება ბაქთერია ის, რაც არ უნდა კეთილმოეძღოს!.. | 52 |
| <b>საქიტსაჰი ქალაქისათვის</b>  | 55 |
| <b>ჯანმრთელობა</b>   |    |
| • ყოფითი უსიძლოობა   | 56 |
| • ვოკალთერაპია   | 57 |
| • მენსტრუალური სინდრომი  | 58 |
| • ტანსაცმელი-პარკი: რამდენად მოქნილი ბრძანდებით?                                 | 58 |
| <b>უოუაიზენი</b>   |    |
| ქეთა თოფურიას აქტიური, ცხელი გაფხული   | 59 |
| <b>ჰოროსკოპი</b>   |    |
| კვირის (8-14 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი                                   | 60 |
| <b>სკანოვანი</b>   | 61 |
| <b>იუმორი</b>  | 62 |
| <b>ტესტი</b>   |    |
| ხართ თუ არა ოპტიმისტი  | 63 |
| <b>კალიდოსკოპი</b>   | 64 |

**გარეკანზე: ბიორგი შორსოლიანის კოლაჟი**


საქორბალმობრივ-პოლიტიკური შერნალი „გზა“ გამოსვლის კვირაში მრთხვლ, სუთშაბათობით გაზმთ „კვირის პალიტრის“ ღამატმბა

შერნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
შერნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

## მალსაზ ქპრიპიუპილის სსიყპარულო გავრენეპი



ღილას, გავიღვიძე და ბიჭოს! – გვერდით აღარ მიწევს. იმ დღეს მიემგზავრებოდა და უნდა გამეცილებინა, მაგრამ არ გამაღვიძა და ასე, გამოუმშვიდობებლად წავიდა. ვერაფერი გავიგე. არადა, ვაგონის ნომერიც არ ვიცი, გიჟივით გავფარდი, გეფიცები, ფილმის სიუჟეტი იყო...

20

## ნაოპიე ახალი სიყპარული იპოვა

ცნობილი მოდელი ნაომი კემპბელი არ მალავს თავის სიმპათიას იგალიელი მამაკაცების მიმართ. იგი ბიზნესმენ ფლავიო ბრიაგორესთან მეგობრობდა. და აი, ახლა, ნაომის, ახალი იგალიელი თაყვანისმცემელი – 35 წლის მათეო მარბოტო გავრენდა. წყვილი ერთად პირველად, გოსკანის ნახევარკუნძულზე შენიშნეს.



41

## ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, სადაც შეიძლება ბაქთერია ის, რაც არ უნდა კეთილმოეძღოს!..



ემოში „ვოლვოს“ მარკის ხუთი ახალთახალი გრაილერი იდგა. – აირჩიე, რომელიც გინდა! – ხალისიანად დამკრა მხარზე ხელი კომპანიის მეპატრონემ. თავი სიზმარში მეგონა.

52

## დაგვიანებული რეისი მოხიჯვი-თბილისი

თემოს დანახვაზე, დეამ ერთი განწირულივით შეჰკივლა, მაშინვე კისერზე ჩამოეკიდა და აქვითინდა:

– თემო, საყვარელო, მართლა შენა ხარ?! რომ იცოდე, როგორ მომენატრე?! მეგონა, ერთმანეთს ვეღარასოდეს ვნახავდით...



42



# გაუმარჯოს ერთი სექცემბერს!..



ქართველებს სადღესასწაულო აღარაფერი შეგვრჩა, თორემ დღესასწაული იმდენი გვაქვს, რომ კალენდარშიც ვერ ვტევთ და ერთ დღეს, რამდენიმეს ერთად აღნიშვნა გვიწევს. ამ მხრივ, გამოჩინების არც წლებიანდელი პირველი სექტემბერი წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ამ დღეს, ახალ სასწავლო წელთან ერთად, ის შემოდგომაც დაიწყო, „235 ფრთა წიწილი“ რომ უნდა დაითვალონ ახალი პარლამენტისთვის.

ამიტომ, საპირველსეკტემბრო სამზადისში ხელედაკაბიწებული ჩაება პარტია და ბლოკი, საკრებულო და მერია, სამინისტრო და კანცელარია. ვინ რვეულის გამოშვება მოინდომა თავისი სურათით და ვინ – წიგნის. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ სასკოლო ბაზრობების დახლებზე შეხვდებით რვეულს, რომლის ყდიდან, ჯენიფერ ლოპესისა და ბრიტნი სპირსის ნაცვლად, ჟვანია ან გამყრელიძე გაგიღიმებთ. ბოროტი ხმები ამბობენ, პოლიტიკურმა ძალებმა სახელმძღვანელოებიც გამოუშვეს თავ-თავიანთი რეკლამისთვისო და ნურც ის გაგაოცებთ, თუ თქვენს შვილებს მასწავლებელმა დააბარა „სააკაშვილის დედაენა“ ან „დემოკრატიის ბიოლოგია“, „მემარჯვენეების ანატომია“ ან „ლეიბორისტების ქიმი“ – ეს საქართველოა, სადაც არჩევნების წინ ყველაფერი ხდება.



ბავშვებზე ზრუნვაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა – „სათამაშო მოედნების მშენებელად“ და „დაზიანებული სახურავების კარლ-სონად“ მონათლულმა მზეჭაბუკმა, რომელმაც თავზე გაზეთ „საკრებულოს მოამბის“ ქუდი დაიხურა, ხელში ფუნჯი აიღო და საკუთარი ხელით შეღება რაიონებისა და სოფლების სკოლები.

– „მალიარი“ ხარ, ბიჭო?! – მასხრად აიგდეს შურით აღვსილმა ოპონენტებმა და მის პატრიოტიზმს პოპულიზმი უწოდეს. არადა, რა შუაშია აქ პოპულიზმი? სამტრედიისა და ბაღდათის სკოლების რემონტი ხომ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირდაპირი მოვალეობაა...

დედაქალაქის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა პირველკლასელების მიმართ, გამოყო სპეციალური სახსრები „დედაენის“ დასაბეჭდად და უფასოდ დასარიგებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველებს ერთი კი არა, ორი იაკობ გოგებაშვილი გვეყოლია: ერთს „ნაციონალებისთვის“ შეუქმნია „დედაენა“, მეორეს კი – განათლების სამინისტროსთვის და ახლა, იმაზე ატყდა ომი, რომელია ნამდვილი გოგებაშვილის მიერ დაწერილი და რომელი – მისი „ფსევდოლტერნატივის“. ჰოდა, წაეკიდა ეს ორი „განმანათლებელი“ ერთმანეთს: ამან უთხრა – შენი „დედაენა“ სარეკლამოა და ასო „ს“-ს გვერდზე „აი, სოსოს საათის“ ნაცვლად, „აი, სააკაშვილის საკრებულო“ წერი-

აო... იმან უპასუხა – შენ ვინ გკითხავს, ფული ჩემი გამოყოფილიაო. ამან შეუბრუნა – შენი „გამოყოფილი“ მოახმარე შენს პარტიასო, – და იმდენი იჩხუბეს, დედაც წაბილწეს, ენაც და „დედაენაც“.

ჩვენმა მამამ და მარჩენალმა, როგორც ყოველთვის, „მირნი“ დაიჭირა და შესარიგებლად თავისი მშობლიური გურული „დედაენა“ – „აია იი“-ც შესთავაზა, თან დაუმატა: თუ დემოკრატები ვართ, სამივე უნდა შევიტანოთ სკოლებში და თვითონ აირჩევენ ბავშვებიო, – „ასეთი ბრძენი კაცია მამაჩენი, ბიკი ყუფარი“...

ასე რომ, სახელმძღვანელოების არჩევა ნებაყოფლობითი იქნება. „ნებაყოფლობით“ სახელმძღვანელოებში კი, ის წიგნიც შეღის, მოზარდის სქესობრივი მომწიფებისა და სექსუალური მომზადების საფუძვლებს რომ ეხება და სწორედ, ის გახდა ახალი შეტაკების მიზეზი. ზოგს მიაჩნია, რომ ბავშვმა არაფერი არ უნდა იცოდეს სექსის შესახებ და სასურველია, ვერც დაქორწინებამდე გაიგოს რამე. სასაცილოა, პირდაპირ – კაცმა ცოლი ითხოვოს და შვილისთვის კომბოსტოს „ოპტავოიზე“ ირბინოს?!

გეკითხებით – თუ ვცდილობთ, რომ თანამედროვე ქვეყნის იმიჯი შევიქმნათ და ყველაფერს უცხოურს ვებოტინებთ, ამაში რატომღა უნდა ჩამოვრჩეთ ვინმეს? პირიქით – ნებაყოფლობითი კი არა, აუცილებელი უნდა გახდეს ამ სახელმძღვანელოს შეტანა სკოლებში (ვაი, ჩვენს პატრონს!). ბავშვებმა 12-13 წლიდან უნდა იცოდნენ, რომ ნაყინისა და შოკოლადის ჭამა არაა სიამოვნების პიკი ამ ქვეყანაზე. სპეციალური ჟურნალ-გაზეთებითა და ვიდეომასალითაც უნდა გავუღრმავოთ თეორიული ცოდნა, პრაქტიკულადაც უნდა მოვასინჯვინოთ და „დედაენის“ არ იყოს, რომელს აარჩევს – ნაყინს თუ სექსს, – ეს თვითონ მოზარდმა უნდა გადაწყვიტოს. მივარჩიოთ ბავშვები დამოუკიდებელ არჩევანს და მხოლოდ ასე ავაშენებთ ნამდვილ დემოკრატ-სექსოკრატიულ სახელმწიფოს, რომელზეც ოდითგანვე „ოცნებობდნენ“ ჩვენი წინაპრები...

P.S. ახალბედა მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს:

– ხვალ ყველამ უნდა მოიტანოთ ორკუთხა სახაზავი, მეხუთე კლასის ფანქრები და საქართველოს გლობუსი. გაიგეთ, ბავშვებო?

– ვერა, მასწ...

– ფუ, რა შტერი თაობა მოდის!..

პროვოკატორი



# „ნადარეიშვილი მხოლოდ თავისი კლანის კეთილდღე- ობაზე ზრუნავს“

— ცოტა ხნის წინ, თამაზ ნადარეიშვილის გვერდით იდუქთო, ახლა კი მის გადადგომას მოითხოვთ. რატომ გაიყარა თქვენი გზები? იმასაც ამბობენ, რომ ამჟამად, პოლიტიკური ძალებიდან ყველაზე მეტად „ახალ მემარჯვენეებს“ წყალობთ.

**დათო შენგელია**, გალის გამგებლის ყოფილი მოადგილე:

— თავიდან, მართლაც ვიდექი ნადარეიშვილის გვერდით, მაგრამ ახლა უკვე ვხვდები, რომ მას ხელს არ აძლევს აფხაზეთში დაბრუნება და ჩვენი გზებიც ამიტომ გაიყარა. აქ მას მანქანა ემსახურება, დაცვა დაჰყვება, შვილი გაამინისტრა, ცოლისძმა აფხაზეთის ბანკის



მმართველად დანიშნა, ცოლის ბიძაშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრად. გამოდის, რომ ნადარეიშვილი მხოლოდ თავისი კლანის კეთილდღეობაზე ზრუნავს. აფხაზეთში რომ შევიდეთ, იცის, რამდენიმე წელი იქ პარტიზანული მოძრაობა იქნება. სწორედ ამის ემინია და ურჩევნია, თბილისში მშვიდად იჯდეს. როდესაც მას დაუპირისპირდი, მაშინ განაცხადა: „შენგელია „ახლებთან“ არის ალიანსში და იმიტომ აღარ ვთანამშრომლობ მასთანო. მერე კი თავად წავიდა „ახლებთან“. სინამდვილეში, „ახლებში“ ჩემი ძმაა. მათი სიებით იყრის კენჭს. მეც მაქვს ამ პარტიის მიმართ სიმპათია და შეიძლება, ღიადაც დაუჭირო მათ მხარი. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. არც იმას გამოვიცხავ, რომ შეიძლება, 2 ნოემბერს საერთოდ არ ვიყო საქართველოში. ერთი კი ცხადია: აფხაზეთის მთავრობაში ყველაზე წესიერი კაცი ლონდონ ცაავაა. ლოზუნგები კი, ყველას კარგი აქვს, მაგრამ მხოლოდ ლოზუნგებით აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. ■

# „ნანა დევდარიანი ოპოზიციური თავიჯდომარე ვერ იქნება“

— რა აზრისა ხართ, ცესკოს თავიჯდომარის პოსტზე ნანა დევდარიანის დანიშვნის შესახებ?

**მამუკა გიორგაძე**, „სახალხო პარტიის“ ლიდერი:

— ვფიქრობ, ის ობიექტური ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ საკმაოდ დიდხანს იცავდა სოციალისტური პარტიის ინტერესებს. როცა ის ომბუდსმენად დაამტკიცეს, სამთავრობო ბლოკის წევრები უჭერდნენ მხარს და აქედან გამომდინარე, მათ წინაშე გარკვეულ მორალურ პასუხისმგებლობასაც გრძნობს. ნანა დევდარიანის ნე-

ტრალიტეტიც კი, ხელისუფლებისთვის მისაღებია. მეც და ხელისუფლებაც დარწმუნებულნი ვართ, რომ დევდარიანი, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა ეს, მაინც მოაწერს ხელს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს და რეალურად არასოდეს დაუპირისპირდება მას. ამით ისარგებლებს ხელისუფლება, რომელსაც ცესკოში 8 წარმომადგენელი — ე.ი. უმრავლესობა ჰყავს. ალბათ დევდარიანის პიროვნული თვისებები და ცოდნა მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ არჩევნები ობიექტურად წარმართულიყო. ■

# „ხელისუფლება საკუთარ შესაძლებლობებს წელს დონეზე აფასებს“

— როგორც უკვე ცნობილი გახდა, სახელისუფლებო ბლოკს, საარჩევნო სიაში პროფესიონალი პოლიტიკოსების ნაცვლად, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები — ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეები შეჰყავს. როგორ შეაფასებდით სახელისუფლებო ბლოკის ამ არჩევანს?

**რამაზ კლინიაშვილი**, პოლიტოლოგი:

— ხელისუფლებამ, საარჩევნო სიებში სპორტსმენებისა და მოღვაწეების წარმოჩენით, თავისი გულუბრყვილო მენტალი-

ტეტის დემონსტრირება მოახდინა, რადგან იცის, რომ საკუთარ ბლოკში მყოფ პოლიტიკოსებს ხალხი ხმას არ მისცემს. ისე, საპარლამენტო ტრიბუნასთან პროფესიონალი სპორტსმენის ან მომღერლის ხილვა ნამდვილად ჯობს, პარლამენტში მოკალათებული „ფულის მათეთრებელი“ ხალხის ყურებას... მაგრამ თუ სხვა კუთხიდან შევხედავთ მოვლენებს, დავინახავთ, რომ თუნდაც ამ ნაბიჯის გადადგმით (ფულისხმობ სპორტსმენებსა და ხელოვან ადამიანებზე აქცენტის გადატანას) ხელისუფლებამ დავგანახვა, რომ საკუთარ შესაძლებლობებს წელს დონეზე აფასებს. ■

# „რუსეთის პრეზიდენტს ხელს არ აქვს ომი“

— რუსეთის დელეგაციები, რომლებიც დროდადრო ჩამოდიან საქართველოში, ჩვენ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნებას ურჩევენ. ვინ ესაუბრება რუსეთის დელეგაციას ჩვენ ლტოლვილების სახელით და რის საფუძველზე აცხადებთ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული გარანტიები ყალბია?

**სიზრი ალდამიში**, ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში:

— რუსეთის დელეგაციას ჩეჩნეთის სახელით ერისა და სამშობლოს გამყიდველი 4-5 კაცი ესაუბრება, რომელიც ისევ და ისევ რუსეთისგან არის მოსყიდული, პანკისის ხეობაში დაძვრება და რუსეთის ინტერესებს იცავს. რუსეთი იმიტომ სთავაზობს ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნებას, რომ ასეთი განცხადებები თავისი პოლიტიკური მიზნების

მისაღწევად სჭირდება: უნდა, შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მშვიდობაა, ამაში დაარწმუნოს მსოფლიო და შემდეგ ჩაატაროს საპრეზიდენტო არჩევნები. ჩემი აზრით, რუსეთის პრეზიდენტს ხელს არ აძლევს ომი ჩეჩნეთში. ალბათ ახლო მომავალში, პუტინი და მასხადოვი ერთმანეთს შეხვდებიან და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მშვიდობა დამყარდება. ბრიაუნკოვის ვიზიტის დროს, მასთან შეხვედრის სურვილი 30 კაცმა გამოთქვა. აქედან არც ერთი არ იყო ჩეჩენი ლტოლვილი. როგორც შემდეგ გარკვევა, ყველანი ქისტები იყვნენ. არის ხალხი, ვისაც რუსეთის ხელისუფლების მიერ მოყოლილი ზღაპრების სჯერა. ზოგიერთმა მათგანმა ყალბი საბუთების შეგროვებაც დაიწყო, მაგრამ კიდევ ვიმეორებ — მათ შორის არაა არც ერთი ჩეჩენი ლტოლვილი. ■



# „არ მიხდება, რუსეთს სამართლებრივი აქტივობა...“

— თქვენ მკვეთრად გამოხატული პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსის იმიჯი გაქვთ. აქედან გამომდინარე, ალბათ კმაყოფილი ხართ რუსული ენერჯოკომპანიის საქართველოში შემოსვლით. „ერთობის“ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობითაც თუ ხართ კმაყოფილი?

**ალექსანდრე ჭაჭია**, „ერთობის“ ლიდერი:

— როდესაც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისთვის ხელისუფლებისგან სწორი პოლიტიკური კურსის გატარებას მოვითხოვდი, ეჩვენებოდა, რომ ხელმეტიად პრორუსულ ორიენტაციასა და ანტიდასავლურ პრინციპებს ვამჯობავებდი. არადა, როგორ უნდა გაეჭრებულყავი, როდესაც ვხედავდი, რომ ხელისუფლება ბევრ ისეთ მანქანას უშვებდა ხელს, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც, იმ მონურ მდგომარეობას დავაწვევდი თავს, რომელიც ახლა ვიმყოფებით?! დღეს კი, მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ. წამებთან პოზიციაში ვიმყოფებით და რუსეთთან ურთიერთობისას ყველანაირ დათმობაზე მივდივართ. მე ეს არ მიხდოდა. არ მიხდოდა, რუსეთს საქართველო ეყიდა. ახლა ისეთ ჩიხში ვართ მოქცეულნი, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა გვითხრას: მთელ თქვენს ენერჯოსისტემას ვიყიდი და მერე გადავწყვეტ, ენერჯა როგორ მოგაწოდოთო. ყველა ის პოლიტიკოსი, რომელიც ნახევარი წლის წინ გაჰკიოდა — რუსეთი ჩვენი მტერიაო, — დღეს სხვანაირად „ჭიკჭიკებს“. იმიტომ, რომ ისინი მაშინ ამერიკისგან იყვნენ მოსყიდულები, დღეს კი რუსეთმა ის დარგები იყიდა, რომელთაც მათ მაქინაციები აკავშირებდათ და რომლის გარეშეც ისინი, როგორც პოლიტიკოსები, არაფერს წარმოადგენენ. რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას — ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც „მოქცავშირიდან“ აღმოცენდა, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ „ერთობას“ ცესკოში წარმომადგენელი არ ჰყოლოდა. ამის გამო, საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. თუმცა, ბრძოლისათვის მზად ვართ, რადგან, როცა ამ პარტიას ექნებოდა, ვიცოდით, რომ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით. ეს არც არის გასაკვირი: ჩვენ ხომ ერთადერთი ოპოზიციური პარტია ვართ, რომელსაც არსებულ რეჟიმთან არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო. ■

# „რაო ეეს“-ს ტარიფის შეესიკება მოუწევს“

— თქვენ გააპროტესტეთ ელექტროენერჯიაზე ტარიფის ზრდა და ხელისუფლება, შემოდგომა-ზამთრისთვის მოსალოდნელი პრობლემების შესაძლო გამწვავების გამო გააფრთხილეთ. როგორც შევითქვით, ელექტროენერჯიის ტარიფის შემცირების სოციალურ პროგრამაზეც მუშაობთ და აპირებთ, „რაო ეეს“-ს წარუდგინოთ განსახორციელებლად უფრო კონკრეტულად, რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?



შორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნაზე აპელირებდნენ. ჩემი აზრით, ამ მიზეზებიდან პირველი, ასურდულია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პირიქით, ტარიფის შემცირებას ითვალისწინებდა, ხოლო მეორე მიზეზი, აბსოლუტური სისულელეა. მთავრობას სავალუტო ფონდის არც ერთი მოთხოვნა არ

**ირაკლი ჩუხინიშვილი**, ენერჯეტიკაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი, დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე:

— ჩვენი მონაცემებით, ტარიფის მატება თბილისელს მძიმე ტვირთად დააწვება მხრებზე. ოჯახების ნახევარზე მეტი თვეში 200-დან 400 კილოვატამდე ელექტროენერჯიას მოიხმარს და შესაბამისად, ტარიფის 15,3-თვიან „ზონაში“ ხვდება. ტარიფის გაზრდა ეკონომიკური დასახულების გარეშე მოხდა. მთავრობამ დღემდე ვერ მოუძებნა ასხნა და მოტივაცია იმ გადაწყვეტილებას, რაც ელექტროენერჯიასთან დაკავშირებით მიიღო. როგორც მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ, როდესაც ტარიფის გაზრდაზე საუბრობდნენ, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და საერთა-

შეუსრულებია, მასთან თანაშრომლობის პროგრამა ისედაც ჩამოიღია და რაღა მოსახლეობისთვის საზარალო მოთხოვნა შეასრულა?! მთავრობამ, რომელსაც „ეი-ი-ეს“-სა და „რაო ეეს“-ს შორის შემდგარ გარიგებაში მატერიალური დაინტერესება ჰქონდა, რუსულ კომპანიას გაზრდილი ტარიფი დაახვედრა და „ეი-ი-ეს“-თან გაფორმებული კაბალური ხელშეკრულება გადააბარა. ასე რომ, ახლა „ბურთი და მოედანი“ „რაო ეეს“-ს დარჩა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კომისიის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასა და ტარიფის შემცირების პროგრამაზე ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ ექნება, ამიტომ მას პირდაპირ „რაო ეეს“-ს წარვუდგენთ. პროგრამა კომისიას 10-15 დღეში ექნება მზად. დარწმუნებული ვარ, რომ „რაო ეეს“-ი საფუძვლიან არგუმენტებს ვერ წარმოგვიდგენს და მას ტარიფის შემცირება მოუწევს. ■

## „ქვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ხანგრძლივად


გთავაზობთ კომპიუტერის შესწავლულ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი. საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „ქვირის პალიტრის“ გამოცემებში. დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15<sup>00</sup>-დან 18<sup>00</sup> სთ-მდე „ქვირის პალიტრის“ ოფისში. მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან). დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება





„უკვე წლებია, ვაკვირდები ამ ქალს და მისი ფენომენი ვერ ამოვხსენი.“ — ასე იწყებს ერთ-ერთი მკითხველი თავის გზავნილს,

რომლითაც „გზის“ ნინა ნომრის „საპატარძლოს“ — ციცო (ცუცა) კაპანაძის ინტერვიუს ეხმაურება. მხიარულმა, სიცოცხლით სავსე ქალბატონმა ასეთივე გამოხმაურებები გამოიწვია...

მარი ჯაფარიძე

სიყვარულით სავსე ბარათები და "კოლეგის" რჩევა-დარიბიზანი

„ცუცა, ჩემო კარგო, შენ რომ გიყურებ, გული ხალისით მეგვება, მაგრამ რა არის, კაცო, სულ მოღალატე ცოლის როლები რომ გაქვს ან სულ „ქმარი“ რომ გლალატობს?! ერთი კარგი, სექსუალური როლი რა გახდა შენთვის? თუ როლი არ გეღირსა, იქნებ, ცხოვრებაში მაინც გაგიმართლოს და ბედნიერი ოჯახი შექმნა. მე არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ ეს ჩემთან ერთად მოხდება. დამირეკე...“

„ეჰ, სადა აქვს ღმერთს სამართალი, თორემ, შენისთანა კარგი გოგო უქმროდ უნდა დადიოდეს? სამწუხაროდ, მე მხოლოდ 28 წლისა ვარ, თორემ ხელიდან არ გაგიშვებდი. ხუმრობა და მხიარულება მეც ძალიან მიყვარს და საინტერესო ოჯახი გვექნებოდა. პატივისცემით, გონა სიხარულიძე“.

„არ დავმალავ, რომ ყველაზე მეტად შენმა ქალწულობამ მომხიბლა. საინტერესოა! გამომეხმარე. როგორც ინტერვიუში ამბობ, შემამოწმე, როგორი ვარ და რა შემიძლია. მერე, თუ მოგეწონები, ხელს და გულს გთხოვ და უარი არ მითხრა. P.S. ისე, მე შეუმოწმებლადც თანახმა ვარ, პირდაპირ „ზავსში“ წავიდეთ და ჩვენი ქორწინება დავაკანონოთ. მერე ხელს რაღა შეგვიშლის? კობა, 46 წლის“.

„უკვე ორმოცდაათს გადავიცილდი და ამ ხნის მანძილზე, ორი ცოლის გამოცვლა და სამი შვილის ყოლა მოვასწარი, მაგრამ ამჟამად, ისევ მარტო ვარ. თანაც, უკვე 8 წელია. ვიცი, არ გესიამოვნება, ამას რომ წაიკითხავ, მაგრამ იქნებ, მაინც... ხომ იცი, უკვე გამოცდილება მიღებული მაქვს, ვიცი, როგორ უნდა მოვექცე ცოლს და გეფიცები, საუკეთესო მეუღლე ვიქნები. თანაც, ორივე ცოლი თვითონ იყო ავი და აფთარი. ჩემი მიზეზით არ დამინგრევა ოჯახები. სულ ისინი გარბოდნენ ჩემგან. სად მიდიოდნენ? უკეთესს ვის ნახავდნენ? ჰოდა, იყვნენ ახლა უჩემოდ და გასკდნენ გულზე, მე რომ შენისთანა კარგ გოგოზე დავქორწინდები. არც ჩემმა წლებმა შეგამინოს და არც ჩემმა წარსულმა. Мои года – моё богатство. უკვე ისეთ ასაკში ვარ, ყველაფერი რომ



მობზრებული მაქვს და ტკბილი და წყნარი ოჯახი მინდა. არ იფიქრო, ეს კაცი დაბერებულია, ჭკუა გამოლევიდა და ახლა მომვლელს ეძებსო. ხომ გაგიგონია — ბებერი ხარისა რქანიცა ხნავერო, თანაც 52 წელი არც ისე ბევრია. გპირდები, პირს სულ საღამოობით გავიპარსავ ხოლმე (გაიხსენე ის ანეკდოტი, რომელიც თქვენმა შემოქმედებებმა ჯგუფმა გადაიღო): ქმარი ამბობს — კაცო, დილაობით პირს რომ ვიპარსავ, თავს 20 წლის ბიჭვით ვგრძნობ ხოლმე. ცოლი (მის როლს ხომ შენ თამაშობ) — მეხი კი დაგაყარე, საღამოობით გაიპარსე ხოლმე ეგ სამიწე პირი... — ხუმრობ, ჩემო „ციცუნია“, თორემ, მე გამუდმებით 20 წლის ბიჭვით ვგრძნობ თავს. არ ვტრიაბახობ, შენს თავს ვფიცავ. კარგად მოიფიქრე და დამიკავშირდი. კოტე“.

ციცოს თავისი „კოლეგა“ — 48 წლის გასათხოვარი ქალიც გამოეხმაურა. ამ ქალის ბარათი საინტერესოდ მომეჩვენა

და გადაწყვიტე, თქვენთვისაც გამეცნო.

„გამარჯობა, ციცო. მეც შენსავით მარტომ ვავლიე ცხოვრების ნახევარი. 48 წლის ვარ და გაუთხოვარი. უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ რატომღაც მაინც გაუთხოვარი დავრჩი, თუმცა, ჯერ კიდევ არ ვყრი ფარხმალს. გადაწყვიტე, გამოეხმაურებოდი და თუ არ მიწყენ, ცოტა გამოცდილებაც გაგიზიარო. 43 წლის რომ ვიყავი, ბოლოს, მაშინ გამომიჩნდა მთხოვნელი. მშვენიერი მამაკაცი იყო, ფულიც ჰქონდა, განათლებაც, სამსახურიც, მაგრამ იცი, რით დავიწუნე? მელოტი გახლდათ. ახლა კი უზომოდ ვნანობ, მაგრამ რაღა დროს? ამას იმიტომ გეუბნები, რომ თუ დროზე არ გადაწყვეტ, შესაძლოა, ძალიან დაგაგვიანდეს. შარშანწინ მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შვილი გამეჩინა ვინმე კარგი გარეგნობის მამაკაცისგან. დაიწყებოდა ფლირტი, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, კონა-პროშნა და... როგორც კი გაიგებდნენ, რომ ქალწული ვიყავი, თვალსა და ხელს შუა გამიქრებოდნენ ხოლმე. შვილის განენახე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ პირველად მამაკაცს სწორედ ამ ორი წლის წინ ვაკოცე. გაგიზიარებ ჩემს შთაბეჭდილებას — ძალიანაც მომიწონა. ახლა იმაზეც თანახმა ვარ, საყვარელი რომ მყავდეს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერც ერთი კაცი ვერ დავითანხმე, რომ გაბედოს და ჩემს უმანკობას შეეხოს. ხედავ, როგორი პრობლემის წინაშე ვდგავარ? ალბათ, თუ ძალიან არ მოვიწადინე, ასე „გაუხარელი“ მოვკვდები. გაითვალისწინე, ჩემო ციცო, შესაძლოა, ჩემი მონაყოლიდან რაიმე გენიშნოს, მაგრამ დროზე მიხედე თავს, ჩემო დაიკო, დროზე! პატივისცემით, მაგდა“.

გამოხმაურებები სხეზეა, რჩევა-დარიგებაც ბლომად მიიღო ციცომ. ახლა ჯერი მასზეა. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს თავის საკეთილდღეოდ...



**მარი ჯაფარიძე**

**ლევან შენგელიას ინტერ-ვიუსთვის შინ ვესტუმრე. მისი ოჯახი სრული შემადგენლობით გავიცანი და მამამისის — ბატონი დათოს აზრსაც შეიღის შესახებ ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოგცემთ. მანამდე კი, ერთ კურორტს მოგიტანოთ, რომელიც იმპროვიზებულიად, ლევანის ავტორობით „გამოცხვია“.**



**ლოპარ ქაჯორელი  
ლევან შენგელია  
სასიძელს მიუხედავად  
სოფალი ქაჯელ...**

თქვენ წინაშე არაერთხელ „მიწუწუნია“ — ჩემი ტელეფონი დღე და ღამე, გამუდმებით რეკავს-მეტე, — ჰოდა, გამონაკლისი არც ის დღე ვახლდათ: ლევანთან საუბრისას ახალგაზრდა მამაკაცმა დამირეკა, რომელიც, როგორც ჩანს, შაყრის ხასიათზე გახლდათ და — გინდათ თუ არა, თქვენი გაცნობა მსურსო, — გადაშეკვია (ალბათ ციციო კაპანაძე ვეგონე ან კიდევ, რომელიმე სხვა „საპატარძლო“). ტელეფონი რამდენჯერმე გამოვრთე, მაგრამ „თავყანისმცემელი“ არა და არ მომეშვა. ჰოდა, ავდექი და ვუთხარი: ახლა ინტერვიუზე ბატონ პრეზიდენტთან ვარ-მეთქი, — ტელეფონი ლევანს გადავეცი, მან კი, პრეზიდენტის ხმით, უთხრა: არავითარ შემთხვევაში ადარ შეაწუხოთ ეს ჟურნალისტი! სად სცალია, ბატონო, თქვენს გასაცნობად?! საქვეყნო საქმეებითაა დაკავებულიო, — თუმცა, ბოლო სიტყვები „თავყანისმცემელმა“ მგონი, ვეღარც გაიგონა, რადგან როგორც ჩანს, მხოლოდნელიობისგან ხელიდან გაუვარდა ყურმილი — ლევანს დარტყმის ხმა მოესმა, რომელსაც წვევტილი სიგნალი მოჰყვა... ამის შემდეგ, ინტერვიუსთვისაც მოვიცალეთ.

**— ლევან, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?**

— წლის ზოდიაქოთი მამალი გახლავართ, თვის მიხედვით — ლომი; ოღონდ, არ მითხრა, ლომებზე შთაბეჭდილება წამიხდინეთ... 1981 წლის 29 ივლისს ვარ დაბადებული. ჩემი ზოდიაქოსთვის დამახასიათებელ ყველა თვისებას ვამართლებ.

**— შენი ოჯახი თუა მონადირეული, რომ დაოჯახდე?**

— კი, როგორ არა. მე მყავს ძმა — უჩა, რომელიც დაოჯახებულია და ორი შვილი ჰყავს, დასაც, ეკას — ერთი გოგონა ჰყავს. ჩემს მშობლებს შვილიშვილები არ აკლიათ, მაგრამ ჩემი შვილიც უნდათ, რომ ჰყავდეთ. მე ნაბოლარა ვარ, განებივრებული და აინ-

ტერესებთ, ჩემი შვილი როგორი იქნება... საერთოდ, ოჯახის შექმნას ალბათ წინასწარ არავინ გეგმავს — ეს თავისთავად უნდა მოხდეს. შესაძლოა, ცოლი ზვალ მოვიყვანო, ერთ თვეში კი, შვილიც შემიძინოს...

**— ო-ჰო! საქმე უკვე აქამდე გაქვს მიყვანილი?**

— არა, კაცო, „პოლაროიდი“ ხომ არა ვარ! ეს ისე — სიტყვის მასალად ვთქვი...

**— როგორი ხარ, როცა ვინმე გიყვარს?**

— რა ვიცი, ალბათ ჩვეულებრივი. თავს განსაკუთრებულს ვერაფერს ვატყობ ხოლმე. საერთოდ, შეყვარებულ ადამიანს არანაირი პრობლემა არ უნდა აწუხებდეს. წარმოიდგინე — საყვარელ გოგოსთან ერთად ზიხარ ბარში, ის სიყვარულზე გეჭუქუჭუკება, შენ კი ამ დროს, რაღაც პრობლემის მოგვარებაზე ფიქრობ და მის საუბარს ყურს ვერ უგდებ. ეს იმიტომ კი არა, რომ არ გიყვარს, არა — უბრალოდ, რაღაც გაწუხებს და ფიქრებით სხვავან „დაფრინავ“.

**— ყველაზე ხშირად რას გასაყვე-**

**დურობენ ხოლმე მშობლები?**

— ოჰ, შენ ახლა ძალიან მტკივნეულ თემას შეეხე. სისხლი მაქვს გამშრალი: ლევან! ცხრა საათზე შინ იყავი! ნუ ავვიანებ, სად დაეთრული შუადამეძღე? და ა.შ. სხვა სასაყველურო არაფერი აქვთ. მაგრამ მე უკვე გავიზარდე, დიდი ბიჭი ვარ და ვინაიდან მშობლები არ აკონკრეტებენ, თუ რომელ 9 საათზე უნდა გამოვცხადდე შინ, — დილაობით, ზუსტად ამ დროს, ნამდვილად შინ ვარ ხოლმე... ისინი კი მაინც ერთი და იმავეს მიმეორებენ...

**— შენი რჩეული დედასაც უნდა მოეწონოს, თუ მშობლების აზრს არ გაითვალისწინებ?**


— მთავარია, მე მიყვარდეს, ჩემთვის იყოს სასურველი. ის, რომ ოჯახს უნდა გამოადგეს, ჩემი ოჯახის წევრებთან კარგი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, დიასახლისად ვარგოდეს და ა.შ. — მიმაჩნია, რომ მეორეხარისხოვანია: რად მიხდა ისეთი ცოლი, რომელიც ყველასათვის იდეალური იქნება, ჩემთვის კი — არასასურველი?! მე ისეთი მშობლები მყავს, რომ თუ ვინმე შემიყვარდება, ხელს არ შემეშლიან, რომ ის ჩემი გახდეს.

**— რა კრიტერიუმებით აფასებ მანდილოსანს?**

— მთავარი — გაგება, ურთიერთპატივისცემაა. თუ ქალს ქმრის ეშინია, ეს საშინელებაა. ცოლ-ქმარს შორის სრული ჰარმონია უნდა სუფევდეს. შესაძლოა, ცოლს ისეთი რამ გაუშხილო, რასაც ვერც ერთ სხვა ქალს ვერ გაუშხელ. ცოლი უნდა იყოს მეგობარიც, საყვარელიც, დედაც და საერთოდ, ცხოვრების აზრიც...

**— გარეგნობას თუ ანიჭებ გადაამწყვეტ მნიშვნელობას?**

— ცოტა ნაკლებ ყურადღებას ვანი-



**მირჩევნია, იყოს შეუხედავი და ჯიგარი, ვიდრე ლამაზი და უფარგოსი. ისე, გაგიმხელთ, რომ სექსს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ**





მე უკვე გავიმარდე, დიდი ბიჭი ვარ

ჭებ. ისე, რა სჯობს, როცა ლამაზი და მშვენიერი მეუღლე გყავს? მაგრამ რად მინდა მისი სილამაზე, თუ ოჯახში არ ივარგებს და ვერ გამოიგებს?! მირჩევნია, იყოს შეუხედავი და ჯიგარი, ვიდრე ლამაზი და უვარგისი. ისე, გაგიმხელთ, რომ სექსს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჰოდა, დამიჯერეთ, რომ შესაძლებელია, ძალიან ლამაზი ქალი იყოს და ლოგინში – დიდი არაფერი, მაგრამ შეიძლება, შეუხედავი იყოს და მთელი ცხოვრების მანძილზე დაგამასოვროს თავი...

— გამოდის, შენ ქალი ქორწინებამდე ყველანაირად უნდა გამოსცადო — თუ მოგწონება, დაქორწინდები, თუ არა და...

— საზღვარგარეთ ნამდვილად კარგი წესი აქვთ — ზუსტად ასე იქცევიან, მაგრამ ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ, ასე ვერ მოვიქცევით, ამიტომ უნდა ინატრო, რომ შენი რჩეული, ყველა სიკეთესთან ერთად, სექსუალურიც აღმოჩნდეს... თუმცა, როცა სიყვარულია, ყველაფერი ასა-ტანია.

— შესხედულებებით აზიატი ხომ არა ხარ?

— მეტ-ნაკლებად. მიმაჩნია, რომ ოჯახური სიწმინდე უპირველესია. ვერ ავიტან ცოლის ღალატს და ვერც იმას, ჩემს ცოლზე თუნდაც ერთმა კაცმა რომ თქვას — ამას მოფერებია. ამიტომ ვეძებ ისეთ საცოლეს, რომელიც მთის მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს და არაფრის „გაგებაში“ არ არის. ყველაფერს მე რომ ვასწავლი, იმასაც აუხსნი, რომ მისთვის მხოლოდ ჩემი მოფერება შეიძლება, სხვისი ხელის შეხებისას კი, აუცილებლად აფეთქდება...

— ოჯახის ნევრებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ეგ მათ უნდა ჰკითხო... არა, არა — ჯობს, მე გიპასუხო. კარგი ურთიერთობა მაქვს, წყნარი ვარ, მშვიდი, უყვართ, როცა შინ ვარ. ზოგჯერ მამასთან ვკამათობ ხოლმე. ამ დროს, ყოველთვის მას-სოვს, რომ ის უფროსია — მე უმცროსი და არ უნდა გადავამლაშო... მაგრამ ხანდახან, ისეთ რამეს მეტყვის ხოლმე, რომ თავის შეკავება მიჭირს... თუმცა, მე და მამა საუკეთესო მეგობრებად ვრჩებით.

— გიყვარს, როცა გეფერებინან?

— აუ-უ! ვვიყვები...

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ხედავ?

— სიზმრებს მე თვითონ ვეძინი: დავწვები, წარმოვიდგენ, რომ სადღაც ეგზოტიკურ ადგილას ვარ, ჩემ ირგვლივ ლამაზი ქალები მიდი-მოდიან, მე კიდეც, არც ერთს არ ვაქცევ ყურადღებას; მათ ეს უკვირთ და ათასგვარი ხერხით ცდილობენ ჩემს დაბმას... სიზმარი უკვე დაწყებულია, მაგრამ ყოველთვის ჩემს სასარგებლოდ კი არ ხდება ყველაფერი: ხანდახან, პირიქით — ქალები არ მაქცევენ ყურადღებას და მე დავდე ხოლმე მათ...

— ოდესმე თუ მოგნდომებია საკუთარი მომავლის წინასწარ შეტყობა? მკითხავთან თუ ყოფილხარ?

— არა, თებრო დეიდასთან არასოდეს წავსულვარ. მაგრამ ერთხელ სარკეში ჩავიხედე — ისე, საბედოს სანახავად სანთელს რომ ანთებენ ხოლმე, — მაგრამ ჩემი თავის გარდა, ვერავინ დავინახე... ერთხელ კიდეც, მლაშე კვერებიც ვჭამე, მაგრამ სიზმარში არაფერი მინახავს — აი, წყურვილისგან კი, ნამდვილად კინალამ მოგკვდი...

საუბარში ლევანის მამა, ბატონი დათო ჩავეერთო:

— რაო, რას გეუბნებათ? კარგი ბიჭი ვარო? ანგელოზი ვარ და ფრთებიც ამომდისო? მე მკითხეთ აგერ და ყველაფერს გეტყვით...

— ბატონო დათო, მე „სამაჭანკლოდ“ ვარ მოსული და აუგს ნურაფერს იტყვიო...

— ლევანს „მაჭანკლობა“? ნურავის ცოდვაში ნუ ჩადებები, შვილო. ლევანს სჭირდება ოთხი ცოლი, რომ ერთმა შარვალი მოუძებნოს, მეორემ — წინდა, მესამემ — ხალათი, მეოთხემ კიდეც, ჩააცვას... ლოგინში კიდეც...

25 ქალი სჭირდება... სულ მაგაზე გვაქვს დავა და კამათი. ახალგაზრდობაში მეც დავდიოდი ქალებში, ხანდახან შუაშიც ვწოლილვარ, აქეთ-იქით კიდეც — ორი ნაშა მყოლია, მაგრამ კარგი რომ არაფერი ყრია მაგაში, მივხვდი და ახლა, ამას ვეუბნები, იგივე შეცდომები რომ არ დაუშვას, ქალებს რომ არ გადაჰყვეს...

— კვიცი გვარზე სტისო! გაიზრდება და ვეცე გაიგებს კარგისა და ცუდის ფასს...

— თქვენ მისი „ბიბაშვილი“ ხართ, ხომ? მის მხარეს იჭერთ?! იქნებ, ისიც მოგწონთ, ბლანჟე რომ აქვს მოშვებული და ცილინდრით რომ დადის? ცილინდრი კარგი რომ იყოს, მე ვინ დამასწრება? აღარც ჩემი სიმელოტე გამოჩნდებოდა და ქალებშიც ისევე დავიწყებდი სიარულს...

— აკი, არ მოგწონდათ და ამაში არაფერი ყრიაო?..

— კაცო, მე ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი ვარ და ოჯახში ყოველთვის ვიბარებ, სად მივდივარ და როდის მოვალ. ეგ კიდეც, შეძრება ოთახში და ისმის იქიდან ბრახაბრუნი... რა ქენი? — ვეკითხები. — არაფერი, რაღაც გადმომევარდაო. — რაღაც კი არა, ტელეფონი შეახეთქა კედელს... სადმე რომ მიდის, ქალივით სარკის წინ ტრიალებს და ათჯერ მაინც იცვლის ტანისამოსს. გამოვა ოთახიდან, ჩამივლის ცხვირწინ და გაიხურავს კარს — ისე, რომ არც დაიბარებს, სად მიდის... ამაზე გვაქვს დავა და კამათი, თორემ, ხულიგანი რომ არ არის, ყაჩაღი და ნარკომანი, ეს მეც ვიცი...

აი, ასეთია ლევან შენგელია. თუ მოგწონთ მისი ხასიათი და გარეგნობა და არც შლაპით იწუნებთ და არც უშლაპოდ, შეგიძლიათ დამირეკოთ: 8(77) 45.68.61. ლევანმა კი, დედა დაიფიცა, მამა დაიფიცა და ყველა დაიფიცა: რომელი გოგონას გამოხმაურებაც მომეწონება, იმას აუცილებლად შევხვდები და... მერე ვნახოთ... მაშ, გისურვებთ წარმატებას! ■

## შენგელია მოგონები შენგელიან!



ვერ ავიტან ცოლის ღალატს და ვერც იმას, ჩემს ცოლზე თუნდაც ერთმა კაცმა რომ თქვას — ამას მოფერებია ვარო



### ლელა ჭანკობაძე

ბატონი **ვიქიკო** (მისი და სხვა პერსონაჟების სახელები შეცვლილია):

— თანამდებობა ძალაუფლება. ვინც ძალაუფლებას ფლობს, ის გამბედავია და მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებით იბრძვის. მე ისეთი კაცი ვერ წარმომიდგენია, რომ ლამაზი ქალის გამო გული არ შეუქანდეს, მაგრამ თანამშრომელთან რომანის გაბმა პატიოსან საქციელად არ მიმაჩნია. ყოველთვის ასე ვფიქრობდი, მაგრამ შეცდომა მაინც დაუშვია. ტელევიზიაში უამრავი ქალი მუშაობს. მათი უმეტესობა მშვენიერი და მომხიბვლელია. ზოგჯერ ძნელიც კია, მათ შორის საუკეთესო ამოარჩიო. ერთ დღეს, ამ ლამაზ ქალებს შორის ვარსკვლავით აკიაფდა შავთმიანი გოგონა. ბავშვი მეგონა, მას კი ქმარიც ჰყოლია და შვილიც. არ იქნება ტყუილი, თუ ვიტყვი, რომ პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა. „დასაღუპავი“ თვალები ჰქონდა. ზოგჯერ ვნატრობდი — ნეტავ, არ შემომხედოს-მეთქი... მისი მზერა გულს მიგლეჯდა.

— ეი. სააღერსოდ თვითონ გინევედათ?

— არა. უბრალოდ, ასეთი გამოხედვა ჰქონდა. ცეცხლოვანი ჟინითა და სიცოცხლით სავსე ქალი სულაც არ იყო, პირიქით — საოცრად ნაზი და ფერმკრთალი ჩანდა. იცოდა, ოჯახი რომ მყავდა და კარგი სახელიც მქონდა, ამიტომ ჩემთან ურთიერთობისას სიფრთხილე არ გამოუჩენია. ჩემს კაბინეტშიც თავისუფლად შემოდიოდა და ჩემთან ერთად სამონტაჟოშიც გვიან ღამემდე რჩებოდა ხოლმე. ექვსი თვე ვითმინე. მერე კი, მისი გულის მონადირება განვიზრახე და შევძელი კიდეც. ცოლშვილიანმა კაცმა რომანი გათხოვილ ქალთან გაკაბა. მე დიდი შვილები მყავდა, მას კი — ორი წლის გოგონა.

— ტელეჟურნალისტად მუშაობდა?

— დიახ. ახლა ისეთი შეცვლილია, მაშინდელ „სიფრიფანა“ გოგონას სულ აღარ ჰგავს. არადა, სწორედ ისეთი მომწონდა, როგორც იყო. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ერთმანეთი მაინც დაუკარგეთ. ტელევიზიაში ბევრი ადამიანი მუშაობს, ყველას თავისი საქმე აქვს, მაგრამ შეუმჩნეველი მაინც არაფერი რჩება. ჩვენ შესახებაც ჭორაობა ძალიან ძალიან დაიწყო. თანამშრომელმა ქალებმა მრავალმნიშვნელოვნად რომ შემომხედეს, მივხვდი — საიდუმლო გამჟღავნდა. მაკასაც ვუთხარი ამის შესახებ. დაფრთხა, შეეშინდა, მის ქმარს სიმართლე არ შეეტყო. მე კი შევპირდი: ნებისმიერს, ვინც ენას არ დაიმოკლებს, რედაქციიდან გაუშვებ-



**სამსახურებრივ რომანს ყოველთვის თან ახლავს ჭორები, ინტრიგები, სირთულეები და ხშირად — იმედგაცრუებაც. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე საბიჯათო სამკუთხედთან (ცოლი, ქმარი, საყვარელი) გვაქვს. ჩემი რესპონდენტი იმ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომელიც თანამშრომლებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, რადგან გაზედა და გათხოვილ ქალს დაადგათვალი.**

## სამსახურებრივი რომანი — ნებაყოფლობითი ყუღღი

მეთქი. ახალი წელი მოდიოდა. უფრო სწორად, საახალწლო გადაცემების მზადება იწყებოდა. მინდოდა, მაკა ყველაზე ლამაზი ყოფილიყო, ამიტომ ძალიან ძვირად ღირებული კაბა ვუყიდე, ლამაზად შევაფუთინე და მაგიდაზე დავეუდე. საჩუქარი რომ გახსნა, თურმე სიხარულისაგან შეყვითა. ამ დროს, ოთახის კარი ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეაღო და დაინახა, მაკას ხელში შინდისფერი კაბა რომ ეჭირა. იმ საღამოს, მაკას სახლში ანონიმურმა ზარმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ვიღაცამ მის ქმარს დაურეკა და უთხრა: თქვენს ცოლს საყვარელმა შინდისფერი კაბა უყიდა... მაკა შინ სწორედ ამ კაბით დაბრუნდა. საიდუმლო გამჟღავნდა. მაგრამ მისი ქმარი თვინიერი კაცი აღმოჩნდა, დაიჯერა ცოლის ნათქვამი: სამსახურში შურთ, კარგი დამოკიდებულება და ხელფასი რომ მაქვსო და ამიტომ შანტაჟს მიწყობენო... ჩემმა თანამშრომლებმა მაინც არ მოისვენეს. უმეტესობა მაკას კიცხავდა. მასზე ათასგვარ სიბინძურეს ჰყვებოდნენ. ეს საშინელება იყო. ვგრძნობდი, მდგომარეობა უმართავი ხდებოდა, რადგან ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩვენზე ჭორაობდნენ. თუმცა, ის, რაც ჩვენს დასაშორებლად გააკეთეს, მაინც წარმოუდგენელია.

— ასეთი რა ჩაიდინეს?

— ერთ-ერთ ოთახში, სადაც მე და მაკას განმარტობა გვიყვარდა, ფარული კამერა დაამონტაჟეს. ფირზე ასახეს, თუ როგორ ვესიყვარულებოდით ერთმანეთს... საღამოს, შინ რომ მივედი, ცოლმა მითხრა: ბუბუას (შვილიშვილი) ზეიმის კასეტას უნდა ვუყუროთ, არ შემოგვიერთდებიო?! სიამოვნებით დავთანხმდი. რამდენიმე

წუთში, ეკრანზე ჩემი ვნებით აღსავსე თვალები რომ დავინახე, კინაღამ ენა მუცელში ჩამვივარდა... მთელი ღამე ვფიქრობდი, რა მექნა — როგორ დამესაჯა ხელქვეითები... ბოლოს, გაჩუმება ვამჯობინე: მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიგებდი, ეს ვინ ჩაიდინა, თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებდი და ჭორებს ყურს მივუვებდები.

— კასეტა მაკას ქმარსაც გაუგზავნეს?

— არა. მის სახლში მხოლოდ ანონიმური ზარები ისმოდა. ამ ზარებმა იმდენი ქნა, რომ მაკას ქმარმა მოსთხოვა: ან მე, ან შენი სამსახურიო. მაკამ არჩევანი გააკეთა — ქმარს გაეყარა. ცხადია, ამან ჩვენ მიმართ ინტერესი გაათავიკცა. ჭორიკანებს სუნთქვა შეეკრათ იმის ლოდინში, მე როდის გავყვებოდი ცოლს. მაგრამ ოჯახი ვერ დავანგრეე. ეს ჩემი კარიერის დასასრული იქნებოდა.

— თანამშრომლებს რატომ ჰქონდათ ასეთი მწვავე რეაქცია? ნუთუ ტელევიზიაში ერთადერთი იყავით, ვისაც სამსახურებრივი რომანი ჰქონდა?

— სამწუხაროდ, ეს კითხვა ჩემთვის მტკივნეულია. წლების წინ, მაშინ, როცა მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, მსგავსი ამბავი ჩემს თანამშრომლებს გადახდათ. ცოლიან კაცს და გათხოვილ ქალს ერთმანეთი შეუყვარდათ. მაშინ აღმფთვებამეც გამოვთქვი. უფრო მეტიც — როცა იმ კაცის ცოლი და სიდედრი ტირილით მომადგნენ: გვიშველე, დაგვეხმარე, როგორმე ოჯახი დანგრევისგან იხსენიო, — მტკიცე პირობა მივეცი, რომ იმ წყვილს ერთმანეთს დავაშორებდი. კაცი სამსახურიდან





უმეტესად, გათხოვილ ქალებთან ცდილობენ, რადგან ფიქრობენ, რომ გათხოვილ ქალთან ურთიერთობას ნაკლები რისკ-ფაქტორი სდევს თან: ასეთი ქალი სასიყვარულო თამაშებში ფრთხილია და შეცდომას იშვიათად უშვებს; მასზე, განსაკუთრებულ სიფრთხილით ჭორაობენ... აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთი მამაკაცები ყოველთვის ერიდებიან საკუთარი ოჯახის დანგრევას.

— თუ გყოლიათ პაციენტი, რომელიც გამაზობდათ

თავისი სამსახურებრივი რომანის შესახებ და რომელზეც ამ რომანს უარყოფითი გავლენა მოუხდენა?

— მყავდა პაციენტი ქალი, რომელიც დაავადებული იყო აკვიატებულ მღვთმარეობათა ნევროზით. მას ფსიქიკის სერიოზული ქრონიკული დარღვევა აღენიშნებოდა, რომელიც საკმაოდ მძიმედ გამოიხატებოდა. მას აკვიატებული ჰქონდა იმის შიში, რომ მის ცხოვრებაში რაღაც საშინელება მოხდებოდა, კერძოდ, ქმარი მისი ღალატის ამბავს შეიტყობდა და მოკლავდა, ამიტომ გამუდმებით ამოწმებდა საკუთარ თავს: მაგალითად, ღია ხომ არ დარჩა კარი ან ფანჯარა... იმდენჯერ გადაამოწმებდა, სანამ არაქათი არ გამოელეოდა. ნევროზით შეპყრობილი, გრძნობდა საკუთარი შიშისა და ეჭვების უსაფუძვლობას, ებრძოდა კიდევ ამ ავადმყოფურ სიმპტომებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა. ის სამსახურებრივი რომანის ნამდვილი მსხვერპლი იყო. წლების მანძილზე, ჟურნალისტად მუშაობდა. ერთ-ერთ თანამშრომელთან გააბა რომანი. ქმარი ენდობოდა. საერთოდ, ჟურნალისტს, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ეჭვიანი ქმარი ჰყავდეს — ის ხომ ქარსა და წვიმაში, დღე თუ ღამე მუშაობს მამაკაცების გარემოცვაში, ზოგჯერ ღამით შინ მისვლასაც ვერც ახერხებს... ერთი სიტყვით, ღანას ქმარს ეჭვი არ ეპარებოდა მის პატიოსნებაში. ალბათ ცოლმაც ამით ისარგებლა. დარწმუნებული იყო, რომ ქმარი ვერაფერს მიხვდებოდა. მაგრამ როგორც ყველა სამსახურებრივი რომანი, მისი კავშირიც, ბოლოს და ბოლოს, გამჟღავნდა. თანამშრომლებმა ჯერ ჭორაობა დაიწყეს, შემდეგ — თვალთვალი, ბოლოს კი — შანტაჟსაც მიჰყვეს ხელი. ერთ დღეს, მათ სამსახურ-

ში გაიას ცოლი დაიბარეს და ერთ-ერთ ოთახში ისე დაძაღეს, რომ მისი დანახვა შეუძლებელი იყო... გვიან ღამით გაა და ღანა ერთმანეთს ამ ოთახში შეხვდნენ. როგორც კი გაამ თქვა: ღანა, შენი ალერსის გარდა, არაფერი მინდა, მაგრამ იძულებული ვარ, შინ წავიდეო, — მისი ცოლი სამალავიდან გამოვიდა და ღანას თმაში სწვდა. წვილ-კვილზე საშველად თანამშრომლები მოცვივდნენ. ეს ამბავი მთელ რედაქციას მოედო... მეორე დღეს ღანა სამსახურიდან წავიდა. გამომშვიდობებისას მეგობარ გოგონას უთხრა: იძულებული ვარ, წავიდე, რადგან ჩემმა ქმარმა სიმართლე რომ შეიტყოს, მომკლავს — ჭკვიანია, დამთობი, მაგრამ ღალატს მაინც არ მაპატიებსო. რამდენიმე დღეში ღანას ვიდაცამ „მესიჯი“ გაუგზავნა: შენს ქმარს ყველაფერს ვეტყვიო... შანტაჟი დიდხანს გაგრძელდა. ღანას ნევროზი დაემართა. ბოლოს, იმ ვიდაცამ დაურეკა და უთხრა: ჯობს, შინ არ მიხვიდე — შენმა ქმარმა უკვე სიმართლე იცისო. შემინებულ ღანას ისტერიკა დაემართა... ამის შემდეგ, დახმარებისთვის მომმართა. ჯერ არ გამოჯანმრთელებულა, თუმცა, გაცილებით უკეთაა. მეუბნება: უკვე კიბუზე ავედი, სადაცაა, კარსაც შევალბ და ცხოვრების ასპარეზზე ისევ გავალო...

23 წლის ნათიას არასდროს დაავიწყდება ის სიმწარე, რომელიც მას სამსახურებრივმა რომანმა მოუტანა. ჩვეულებრივი პროვინციელი გოგონა მოულოდნელად ევროპაში, მდიდარი ადამიანების ოჯახში აღმოჩნდა. როგორც ბევრი მისი თანატოლი, ისიც ახლობლების დახმარებით გერმანიაში სამუშაოდ წავიდა...

ნათია:

— ცხრამეტი წლის ვიყავი, კიოლნში რომ გავემგზავრე. მდიდრების ოჯახში „ოპერად“ (ბავშვის მოძულელად) უნდა მემუშავა. ჩემი მოვალეობა სამი წლის ფრედის მოვლა იყო. ფრედის მშობლები მუშაობდნენ, შინ გვიან ბრუნდებოდნენ. მათთან იშვიათად ვსაუბრობდი და, ცხაღია, ვერც მათთან დაახლოებას ვახერხებდი. თანაც, იმ ქალს, ვინც ამ სამსახურის მოძებნაში დამეხმარა, გაფრთხილებული ყვავდი, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, თბილად არ უნდა მოვქცეოდი ოჯახის უფროსს, — ე.ი. მამაკაცს. უმჯობესი იყო, მის მეუღლეს დავახლოებოდი. ვიცოდი იმის შესახებაც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასული „ოპერი“ სშირად, ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდებოდა. ვერ წარმოვიდგინდი, თუ იგივე მეც შემემთხვეოდა... ერთ დღეს, ფრედის მამამ ყურში ჩამწურჩულა: „ტკბილი გოგო“. საშინლად აველდი. მიხვდი, თუ მაგრად არ დავუდგებო-

დავითხოვე. მაგრამ ცხაღია, ამით მათ სიყვარულს არაფერი დააკლდა. ერთმაც და მეორემაც, თავ-თავიანთი პირველი ოჯახები დაანგრეს და იქორწინეს. ახლა საერთო შვილებიც ჰყავთ. ასე რომ, შეცდომა მარტო ჩემმა თანამშრომლებმა კი არა, მეც დავუშვი. ალბათ ძალიან ძნელია, ასეთ დროს, ობიექტური იყო...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ფსიქოლოგები სამსახურებრივ რომანთან დაკავშირებით? რატომ იწვევს ხოლმე ეს ასეთ დიდ რეზონანსს თანამშრომლებში? რატომ არის საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით მკაცრი და კატეგორიული? რა ხდება იმ ადამიანების ფსიქიკაში, რომლებიც გრძნობების მართვას ვერ ახერხებენ და ათასგვარი სიძნელის მიუხედავად, უკან არ იხევენ?..

გვესაუბრება ფსიქოლოგი მარიკა ტატუნაშვილი:

— არიან მამაკაცები, რომლებსაც აბსოლუტურად დაუშვებლად მიაჩნიათ სამსახურებრივი რომანის გაბმა. ისინი თავს არწმუნებენ, რომ თანამშრომელ ქალებთან რომანის გაბმა არ შეიძლება — სინამდვილეში, ეშინიათ სიძნელეების, გარშემოყოფთა აზრის... არსებობს მამაკაცთა მეორე კატეგორია, რომელიც თანამშრომელს, სიყვარულის შესაძლო ობიექტთან აიგივებს. ისინი ვენებიაანები, მიზანსწრაფულნი, ენერგიულნი, თუმცა, მაინც მშინმარა მამაკაცები არიან, რომლებიც აშკარა, ღია ურთიერთობებს არიდებენ თავს, სშირად, მამაკაცურ ჟინს ოცნებებით იკმაყოფილებენ და ამ ოცნებების რეალობად ქცევას ვერ ახერხებენ. მესამე კატეგორიის მამაკაცები თავდაჯერებული, მიზანდასახული, გაბედილი მამაკაცები არიან. ისინი სასიყვარულო კავშირების გაბმას სწორედ სამსახურში და თან —



დი, სამსახურს დაკარგავდი. დაახლოებით ისეთი სიტუაცია იყო, როცა შეფს მდივანად საკუთარი ცოლი ჰყავს, თვალი კი, მაინც სხვისკენ გაურბის...

**— თავის დაცვა არ სცადე?**

— ძალიან ძნელია, გაუძლო ცდუნებას და არ შეიფარო მდიდარი, ლამაზი, მოსიყვარულე მამაკაცი, რომელიც გეუბნება, რომ შენი მსგავსი ქალი არასდროს შეხვედრია... იმ კაცს პირობითად ეღის დაგარქმევ: მისი ვინაობის გამხელა არ მინდა, რადგან ახლა, ამ ოჯახს ისევ ქართველი „ოპერი“ ჰყავს და არ მსურს, იმ გოგონას მშობლები და ახლობლები ვანერვიულო... ელი არაჩვეულებრივი მამაკაცია. ყოველ დღით, გაღვიძებულს, ფანჯრის რაფაზე თეთრი ვარდი მხვდებოდა. გავიღვიძებდი თუ არა, ვიცოდი, რომ დარაბებს მიღმა სიყვარულით ანთებული თვალები, დარაბებს შიგნით კი — ვარდი იქნებოდა. როგორც კი მასთან დალაპარაკება მოვახერხე, ვუთხარი, რომ მეშინოდა სამსახურის დაკარგვა. მან დამამშვიდა: ასე არ მოხდება... ერთხელაც, ბავშვს თავისი სუნამო დააპკურა. მთელი დღე, ვერსად გავექეცი ამ სურნელს. რაღაც განსაკუთრებულ ოდეკოლონს ხმარობდა. მისი სუნი მაგიჟებდა...

**— ე.ი. მის მახეში მაინც გაეპი?**

— ასე მოხდა. ზოგჯერ გული ისე ამიფრიალდებოდა ხოლმე, რომ მეშინოდა, მანქანას ქვეშ არ შევევარდნოდი... ეს მაშინ ხდებოდა, როცა ბავშვი სასეირნოდ მიმყავდა, უნებურად კი, თვალწინ ეღის სახე დამიდგებოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, შემიყვარდა.

**— მისი ცოლი ვერაფერს ხდებოდა?**

— არა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ შეიძლებოდა, მე მისი ოჯახისთვის საფრთხე შემიქმნა, ამიტომაც არ იყო ფხი-

**ოჯახის დანგრევას ყველაფერი ჯობია. როცა შვილები გყავს, გრძნობები უნდა მოთოკო (გივი ბერიკაშვილი შვილიშვილებთან ერთად)**



ზლად. ერთ საღამოს მითხრა: ორი დღით შევიცარიაში მივდივარ, ბავშვს უღებობა არ აგრძნობინო. ასე დავრჩით სამსართულიან სახლში მე, ელი და მისი სამი წლის ბიჭუნა. მეორე დღეს, შუა დღეზე ბავშვი რომ დავაძინე, ჩვეულებისამებრ, ეზოში გავედი, რათა აუზში მეცურავა. ვიცოდი, ელი სამსახურში იყო. მზარეული კი, უთქმელი ქალი გახლდათ, ყურადღებასაც არ მატყვევდა... აუზს რომ მივუახლოვდი, გავოცდი: ნაპირზე ყველა მხრიდან ფერადი ბუშტები ფრიალებდა. ამაზე უფრო ლამაზი არაფერი მინახავს. სანამ გამტერებული ვიდექი, უკნიდან ელი მომეპარა, თავი დახარა და ყურში ჩამჩურჩულა: „ჩემო ტკბილო“... იმ დამეს ფრედის მამა ჩემი ბოიფრენდი გახდა. ვიცოდი, ჩემი სამსახურებრივი რომანი ცუდად დამთავრდებოდა, მაგრამ მაინც გავრისკე — ელი ძალიან შემიყვარდა...

**— შემდეგ რა მოხდა?**

— ჩემი ბუნდოვნება სამ თვეში დასრულდა. ერთ საშინელ და ავბელით დღეს, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ეღის ცოლი მეგობართან ჰოლანდიაში იყო წასული, წარმოუდგენელი რამ მოხდა... მე და ელი ვნებიანი ღამის შემდეგ მომავლის გეგმებს ვაწყობდით: ელი მპირდებოდა — შენთვის ბინას ვიქირავებ და დედოფალივით გაცხოვრებო. მოულოდნელად კარი გაიღო და მისი ცოლი შემოვიდა. ფაქტზე დაგვიჭირა. როგორც ჩანს, მზარეულმა გაგვოქვა... წვილი-კვილი არ დაუწყია, როგორც ამას ქართველი ქალი გააკეთებდა... ორი დღის შემდეგ, თვითმფრინავში ჩამსვა და თავგადაპარსული, თბილისში გამომიშვა... გაოცებული რატომ მიყურებ? — მას ამის უფლება ჰქონდა: მე მან დამიქირავა, მისი მოთხოვნები ვერ შევასრულე, ამიტომ ისევ იქ დამაბრუნა, საიდანაც წამიყვანა, თან — ასე დამსჯა... გაინტერესებთ, მშობლებმა რა მითხრეს? — არაფერი, იმიტომ, რომ მე არც პირველი „ოპერი“ ვარ და არც უკანასკნელი, ვისაც ასეთი რამ შეემთხვა...

**— ელი აღარ გინახავს?**

— არა. ჩემი ნახვის სურვილი არ ჰქონდა, თორემ ხელს რა შეუშლიდა?! ალბათ, ფიქრობდა: ახალ „ოპერთან“ ერთად უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენო...

**— სიყვარული?**

— სიყვარული ჩემთვის მაშინ დამთავრდა,

როცა რეალობის სწორად აღქმის უნარი დამიბრუნდა...

*საინტერესოა, რას ფიქრობენ ცნობილი ადამიანები სამსახურებრივი რომანის თაობაზე? როგორია მათი პოზიცია — დასაშვებად მიაჩნიათ თუ არა რომანი თანამშრომლებს შორის?*

**გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:**

— ჩემთვის შეიძლება დასაშვები იყოს, მაგრამ დაუშვებელია კოლექტივისთვის, რადგან ასეთ ურთიერთობებს ყოველთვის თან ახლავს ჭორები, მიტქმა-მოტქმა, ინტრიგები. უამრავი ასეთი შემთხვევა მახსენდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს თაობაში ამგვარი რამ უფრო იშვიათად ხდებოდა, ვიდრე ახლა ხდება.

**— რამდენად ხშირად უყვარდნობდათ სცენისა თუ ეკრანის პარტნორებს ერთმანეთი?**

— ქართულ სინამდვილეშიც ხშირია შემთხვევა, როცა კინოგადაღების დროს, მსახიობებს ერთმანეთი უყვარდებოდათ. თუმცა ზოგჯერ, პარტნიორები არც ყოფილან — უბრალოდ, ერთად მუშაობდნენ გადასაღებ მოედანზე. მოგეხსენებათ, მსახიობებს ხან მთაში გვიწევს ცხოვრება, ხან — ბარში, გააჩნია, ფილმს სად იღებენ. ასეთ დროს, ადამიანები უფრო მეტად ზრუნავენ ერთმანეთზე, უფრო მეგობრდებიან და სიყვარულიც ჩნდება ხოლმე... თუმცა, ამგვარი რამ პირადად მე, არასდროს შემთხვევია.

**— თქვენ რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდეთ, გაათავისუფლებდით სამსახურიდან ერთმანეთზე შეყვარებულ ხელქვეითებს?**

— არასდროს მქონია ამბიციის, რაიმე თანამდებობა მქონოდა და ჩემი თავი თანამდებობაზე ვერც წარმომიდგენია. მაგრამ ერთი რამ მტკიცედ ვიცი: ოჯახის დანგრევას ყველაფერი ჯობია. როცა შვილები გყავს, გრძნობები უნდა მოთოკო. ამას ქალზეც ვამბობ და კაცზეც. თუმცა, ისეც ხდება, რომ ცოლ-ქმარს ერთად ყოფნა არ შეუძლიათ, მათი თანაცხოვრება გაუსაძლისია, განშორების შემდეგ კი ორივე კარგ ოჯახს ქმნის... ასეთია ცხოვრება.

**— ხომ ვერ გაიხსენებდით ისეთ სამსახურებრივ რომანს, რომლის მომსწრეც ყოფილხართ?**

— ნურაფერს დამაკონკრეტებინებთ. მსახიობების ცხოვრება ისედაც აფიშირებულია და თუნდაც უმნიშვნელო მინიმუმების შემთხვევაში, მაინც ყველა მიხვდება, თუ ვისზე ვსაუბრობ.

**ჯეიმალ მონიავა — მსახიობი:**

— სამსახურებრივი რომანი ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. მასზე საუბარი ამიტომაც არ შემიძლია. სამწუხაროდ, ეს ფაქტია.



# აენისიით გათავისუფლებული ააზიანი სუიკიდორი გორგოძიძე და მკვლელობა ჩაიდინა

## წარსულში ხუთჯერ ნასამართლევა კაცმა გაუხატურება და მკვლელობა ჩაიდინა

1996 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორი შემზარავი დანაშაული განიხილა. როგორც ამბობენ, მსგავსი სისასტიკე „მრავლისმნახველი“ სასამართლო პრაქტიკისთვისაც კი, იშვიათობას წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში საქმე ქალის გაუხატურებას, შემდეგ კი მის სადისტურ მკვლელობას ეხებოდა. 44 წლის კაცი, რომელიც ჩადენილი დანაშაულისათვის 15

წლით თავისუფლების აღკვეთით დასაჯეს, წარსულში ხუთჯერ გახლდათ ნასამართლევი. ასეთივე ძალადობისთვის იმავე წელს, სასამართლოს წინაშე კიდევ ოთხი პატიმარი წარდგა. კოლეგიამ თითოეულ მათგანს კანონით განსაზღვრული მკაცრი სასჯელი შეუფარდა, თუმცა, იმ სისასტიკისთვის, რაც მათ ჩაიდინეს, ეს ზღვაში წვეთი იყო...



ველოდი იპოლიტეს ძე კუხალიევილი, წარმოშობით აფხაზეთიდან გახლდათ. აფხაზეთში 1993 წლის სექტემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მან ცოლშვილთან ერთად დატოვა ქალაქი ოჩამჩირე და, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, საცხოვრებლად ქალაქ ზუგდიდში ჩავიდა.

ოჯახის წევრებთან ერთად კუხალიევილი ერისთავის ქუჩაზე მდებარე, გაზის ტრესტის ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში დასახლდა. აღნიშნული შენობა სპეციალურად ლტოლვილებს დაუთმეს. იმ პერიოდში ველოდი კუხალიევილი არსად მუშაობდა, არც რაიმე საქმიანობას ეწეოდა. ის და მისი ოჯახი ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული პროდუქტებითა და ხელზე ვაჭრობით ნაშთი თანხით ირჩენდნენ თავს. ველოდი კუხალიევილმა კრიმინალური ქმედებები სწორედ ამ პერიოდში ჩაიდინა. სხვადასხვა დროს ჩადენილი დანაშაულებისთვის, ძირითადად ქურდობისთვის, იგი ხუთჯერ იქნა გასამართლებული. თუმცა, ციხიდან მალე – 1995 წლის ივნისში გათავისუფლდა. სასჯელის ვადის სრულად მოხდისაგან იგი ამნისტიის შესახებ გამოცემულმა კანონმა იხსნა.

როგორც ჩანს, ვადაძე არცერთხელ არ გათავისუფლებულა კუხალიევილზე დამლუპველი გავლენა მოახდინა. იმის ნაცვლად, რომ გამოსწორებულიყო და ოჯახსა და ცხოვრების ნორმალურ წესს დაჰბრუნებოდა, იგი კიდევ უფრო სამიმ ბოროტმოქმედად იქცა. ამას 1996 წელს აღძრული, სისხლის სამართლის საქმის მასალები მოწმობს.

ამნისტიიდან ერთი წელიც არ იყო

გასული, როცა ველოდი კუხალიევილმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა. გამოძიების მასალების მიხედვით, ფაქტი 1996 წლის 17 თებერვალს მოხდა.

იმ დღით, ჩვეულებრივად, ქალაქის ცენტრალურ მოედანთან, ე.წ. ლტოლვილების ბირჟაზე გავიდა. რამდენიმე საათით იქ შეელონდა, შემდეგ, საკოლმეურნეო ბაზრისკენ გაემართა. იქ ერთ ლარად, ნახევარი ლიტრი შინნახადი არაფი შეიძინა, უცნობებს მწვანელი და სხვა დასაყობილები სთხოვა და მარტომ, მისთვის უცნობი ქალი – ნ. ძნელაძე (გვარი შეცვლილია) შენიშნა. ეს ქალი მას ადრეც ჰყავდა შემწეული, მასთან დაახლოებულ უნდოდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი არასდროს ჩაჰვარდნია. იმ დღეს გადაწყვიტა, ჩასაფრებოდა მას. როდესაც დაინახა, რომ ქალი ბაზრის ტერიტორიიდან გავიდა, უკან გაჰყვა. ნ. ძნელაძე შინ მიდიოდა. თავის სახლამდე რომ მისულიყო, უკაცრიელი ადგილი – ბოტანიკური ბაღი უნდა გაეცლო. ბაღის შესასვლელთან კუხალიევილმა ქალს გაუსწრო, ბაღში შევიდა, სხვა მხრიდან მოუარა და ნ. ძნელაძეს გზაზე დახვდა. ამ დროს ისინი ბურჭებს შორის გამავალ ბილიკზე იდგნენ. კუხალიევილი ქალს გამოელაპარაკა და მაშინვე სქესობრივი კონტაქტის დამყარება მოსთხოვა. ნ. ძნელაძე პატიოსანი, ქმარშვილიანი ქალი გახლდათ, შეურაცხყოფა ვერ აიტანა და კაცს ყვირილი და ლანძღვა დაუწყო. მისი წინააღმდეგობით გაღიზიანებულმა, მივრალმა კუხალიევილმა ქალის დამორჩილება ძალით გადაწყვიტა. ახლო-მახლო რომ ვერავინ შენიშნა, ძალადობას მიმართა – ნ.

ძნელაძე მიწაზე წააქცია და გააუხატურა.

საშინლად შეურაცხყოფილი ქალი მოძალადეს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და თან ემუქრებოდა – კარგად გიცნობ, პოლიციაში განვაცხადებ და შენს თავს ციხეში ამოვალაპობინებო. კუხალიევილი შეშინდა, ქალის სიტყვებში ეჭვი არ შეჰპარვია და მოსალოდნელი მხილებისგან თავის დასნა გადაწყვიტა. ჩათვალა, რომ საამისოდ ერთადერთი გზა, ნ. ძნელაძის ფიზიკური განადგურება იყო. აიღო იქვე, ნაგავსაყრელზე დაგებული რკინის ბალონი და მაშინ, როცა ქალი ტანსაცმელს ისწორებდა, იგი თავში გამტებით ჩაარტყა. ნ. ძნელაძემ სასიკვდილო დაზიანება მიიღო და რამდენიმე წუთში, ადგილზევე გარდაიცვალა. მოგვიანებით, გვამზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ ნ. ძნელაძეს ძალადობის შედეგად მრავალი მოტეხილობა, ტვინის მაგარი გარსის გაგლეჯვა, ტვინის ქსოვილის დაჟეჟილობა, ორივე თხემის მიდამოზე სისხლჩაქცევები და შინაგანი ორგანოების სისხლნაკლებობა განუვითარდა.

მკვლელობის შემდეგ ბოროტმოქმედმა გვამის დამალვა გადაწყვიტა. მან გარდაცვლილის სხეული რვა მეტრის მოშორებით მდებარე ორანჟერეის ძველ ნაგებობაში გადაიტანა და სათბურში შეაგდო.

გარდაცვლილი ნ. ძნელაძე მეორე დღით – 18 თებერვალს ბოტანიკური ბაღის მომსახურე პირებს იპოვეს. გამოძიების მასალების მიხედვით, გვამის გადაგდების დროს, კუხალიევილის ტანსაცმელი სისხლით, მარჯვლის ტოტები კი ტალახით მოისვარა. როცა ის შინ მივიდა, მისმა მეუღლემ დასვრილი ტანსაცმელი შენიშნა და გაკვირვებულმა ჰკითხა, თუ რა მოუვიდა. კუხალიევილმა ცოლს, რა თქმა უნდა, მომხდარის შესახებ არაფერი გაუმხილა, პირიქით – ჩხუბი და დავა დაუწყო მას და აიძულა ტანსაცმელი გაერეცხა.

ბოლოს და ბოლოს, ველოდი კუხალიევილი სწორედ მეუღლემ ამხილა. ქალმა პოლიციას განუცხადა, რომ მისი ქმარი 17



თებერვალს საღამოს მთვრალი დაბრუნდა შინ და ხელები და ტანსაცმელი სისხლითა და ტალახით ჰქონდა მოსვრილი. პოლიციამ კუნხალიშვილი დააკავა, მისი ტანსაცმელი გამოძიებამ ექსპერტიზაზე გაუზავნა. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, კუნხალიშვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. წინასწარი გამოძიების დროს, არაერთხელ გაიმეორა აღიარება. მიუხედავად ამისა, ბოლოს განაცხადა, რომ ნ. ძნელაძე, მართალია, მოკლა, მაგრამ არ გაუუპატიურებია. მოგვიანებით, კუნხალიშვილმა მკვლელობაც უარყო და სასამართლო სხდომაზე წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო, წინასწარი გამოძიების დროს მიცემული აღიარებითი ჩვენებები კი იმით ახსნა, რომ მის მიმართ პოლიციის თანამშრომელმა – სერგო ჩაჩიბაძემ ფიზიკური ძალადობა გამოიყენა.

**დაპითისვისას კუნხალიშვილმა თქვა:** (სტილი დაცულია)

„...მე გადაწყვიტე საკოლმეურნეო ბაზარში შესვლა, ვინაიდან მქონდა ერთი ლარი და მინდოდა, დამეღობა... მარტომ დავდიე ერთი ნახევარლიტრიანი... ამ დროს შევნიშნე ერთი ქალი... არ ვიცი, რატომ მომეწონა ის ქალი, მაგრამ გადაწყვიტე, უკან გავყოლოდი... მას არ ვიცნობდი. მხოლოდ რამდენჯერმე მყავდა ნანახი ბაზარში... ამ დროს მე შევედი ბოტანიკურ ბაღში, მე ვყავი მთვრალი და მინდოდა ამ ქალთან დაახლოება... მივუახლოვდი და ვუთხარი, გვერდზე გამოძევილია, თან სქესობრივი კავშირის დამყარება მოვთხოვე. ქალი არ დამხედა. ამის შემდეგ, მე მას მოვკიდე ხელი და შევთარიე ბუჩქებს იქით. ის მეწინააღმდეგებოდა... მე ის წავეკციე. გავუპატიურე. ამ დროს მითხრა, გიცნობო... შემეშინდა, ვიფიქრე, უკვე რამდენჯერმე ვარ სასამართლევი და აუცილებლად დამიჭერენ-მეთქი. ავიღე ცეცხლსაქერობი და დავარტყი... თავიდან სისხლი წამოუვიდა. როდესაც ვნახე, რომ ის მკვდარი იყო, წავათრიე დაახლოებით 10 მეტრო, მინდოდა გადაემეღა“.

მოგვიანებით მიცემულ ჩვენებაში კი, კუნხალიშვილი უფრო დაწვრილებით აღწერს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს:

„...ბაზარში ყოფნისას შევნიშნე დაახლოებით 50 წლის ქალი. იგი ადრეც მყავდა შემხნეული. ეს ქალი მაქვს ყიდდა... გაუპატიურების შემდეგ, როცა მითხრა, რომ პოლიციაში დამამსენდა, შევშინდი და იქვე დავდებული წითელი ფერის, რკინის ბალონი ავიღე... თავში ორჯერ ჩავარტყი. გვაძი კი გადავთრიე და დაახლოებით 10 მეტროში ძღებარე თეთრ შერბაში დავმალე“.

წინასწარი გამოძიების ორგანომ ჩაატარა სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზა, სადაც შემოწმებულ იქნა ნ. ძნელაძის გვამიდან აღებული ნაცხი. მასში აღმოჩნდა

სპერმატოზოიდები, რაც ადასტურებს სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტს. ასევე ჩატარებულ იქნა კრიმინალისტიკური ექსპერტიზა და გარდაცვლილის ფრჩხილების შიგთავსში, კუნხალიშვილის ტანისამოსის ბოჭკოები აღმოჩნდა.

ყველა ამ აღიარებისა და მტკიცებულების საფუძველზე, სასამართლომ არ გაითვალისწინა კუნხალიშვილის მიერ სხდომებზე მიცემული ჩვენებები, დამნაშავედ ცნო იგი და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯა, აქედან 3 წელი, საპრობლეში უნდა მოეხადა, ხოლო 12 – მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში.

რაც შეეხება მეორე დანაშაულს, რომელიც 1995 წლის 16 მაისს, ქალაქ გორში მოხდა – მასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ ოთხი პატიმარი: ბადრი გელდიაშვილი, პაატა მეგრელიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი და ანზორ მამიაშვილი გაასამართლა. თუმცა, ბაბუნაშვილს და მამიაშვილს ჩადენილი გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტში ბრალი არ მიუძღვით. ისინი პოლიციამ მთავარი დამნაშავის – ჭონიშვილის გამო დააკავა. როგორც გაირკვა, ბაბუნაშვილი და მამიაშვილი, ციხის თანამშრომლები, კომენტატორის მუშაკები იყვნენ. მათ ჰაუბტვასტში მოთავსებული, დაპატიმრებული ჭონიშვილის დაცვა ევალებოდათ. ერთ დღეს, ჭონიშვილმა მათ საპირფარეოში გაყვანა სთხოვა. ბაბუნაშვილმა და მამიაშვილმა მას თხოვნა შეუსრულეს, თუმცა ყურადღება მოაღწუნეს. ამის გამო, ჭონიშვილი ფაქტობრივად, უმეთვალყურედ დარჩა. მან უმალ ისარგებლა აღნიშნული სიტუაციით და საპატიმროდან გაიქცა და მიიმალა. პოლიციას ის დღემდე არ დაუკავებია.

დანაშაული კი ასე მოხდა: 1995 წლის 16 მაისს, დაახლოებით დღის პირველ საათზე, ჭონიშვილი და გელდიაშვილი გორის ბაზრის ტერიტორიაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ე.წ. ახალ ბაღში ჩასასვლელ კიბეზე შენიშნეს მთვრალი მამაკაცი და ქალი, რომლებიც არაყს სვამდნენ. როდესაც მათ მიუახლოვდნენ, გელდიაშვილმა მამაკაც-



ცი – რამას მინდიაშვილი იცნო. გაირკვა, რომ ამ უკანასკნელს გორის რაიონში მცხოვრები ქალი, ნ. ნადირაძე ახლდა (გვარი შეცვლილია). გელდიაშვილმა და ჭონიშვილმა განიზრახეს, რომ მინდიაშვილი დაეთროთ, ქალი კი გაუპატიურებინათ. ამ მიზნით ბადრიმ ბაზრიდან კიდევ ერთი ლიტრი არაყი მოიტანა. ბოროტმოქმედები ცდილობდნენ, თავად არ დაეღობათ, მინდიაშვილს კი, სასმელს აძლებდნენ. მაგრამ ეს უკანასკნელი მათ განზრახვას მიუხედავად მოსთხოვა, წასულიყვნენ. ამან გელდიაშვილი და ჭონიშვილი ძლიერ გაანაწყენა და უმოწყალოდ დაუწყეს ცემა. როდესაც მისი ცემით გული იჯერეს, ჭონიშვილმა ნ. ნადირაძე ბაღში შეათრია და იქვე ბუჩქბ-

**უპირველესად და სასიხარულო სიახლეები ნიჭიერთათვის!**

**საესტრადო ვოკალური ანსამბლი „მადლი“**  
 აცხადებს 6-დან 25 წლამდე ნიჭიერი, ღირსეული, შრომის-მოყვარე მოსწავლეების გასინჯვა-მიღებას.

1. გემოვნებიანი რეპერტუარი;
2. პროფესიონალი პედაგოგები;
3. მოსწავლეთა მიერ სიმღერათა მხოლოდ და მხოლოდ ცოცხლად შესრულების პრინციპი;
4. საესტრადო ვოკალი და სასცენო პლასტიკა;
5. ქართული ხალხური სიმღერები და ხალხურ საკრავებზე დაკვირვის ხელოვნება;
6. სუბლეტისა და არანჟირების, სტუდიური ჩაწერებისა და აუდიო-ალბომების გამოცემა ყოველგვარი საფასურის გარეშე.

**ეს ყველაფერი ნიაღვრად, ნუნ გაძლევი შენს, ნომ სჯილთ ბელი.**

**მის: აღმაშენებლის 106 (უზოში) ან ბაბაქაშვილის 8 (მეორე მხრიდან) კვლბარის ხანბარი „ნიპალი“ (ყოფილი ვაჟროგის მუშაქათა კვლბარის სახლი, სოხბათის საქლიონ გვარდით), 111 სართული, ოთახი 52.**  
 ☎ 53-17-42; 899-24-41-20

ში გაუპატიურა. ამ დროს გელდიაშვილი კვლავ კიბესთან იდგა და მინდიაშვილს არ აძლევდა საშუალებას, უმწყო ქალს დახმარებოდა. მოგვიანებით, ბოროტმოქმედებმა ადგილები გაცვალეს და ნ. ნადირაძესთან სქესობრივი კავშირი ამჯერად გელდიაშვილმა დაამყარა. ქალი ამდენი ძალადობისაგან იმდენად დაუძლურდა რომ ადგილიდან ვეღარ იძროდა.

ამავე დროს, იქვე, ლიახვის პირას შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების №2062 ნაწილის მებრძოლები: ელიზბარ ლიჩელი, ზვინა მინდიაშვილი, ზვიად გამგებელი და ქალაქ გორში მცხოვრები, პაატა მეგრელიშვილი ქეიფობდნენ. დანახეს თუ არა ზემოთ აღნიშნული პირები, სუფრიდან წამოიშალნენ და მათთან მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ ბადრი გელდიაშვილი და პაატა მეგრელიშვილი ერთმანეთს იცნობდნენ. მეგრელიშვილმა, შეიტყო თუ არა, რაც ხდებოდა, გადაწყვიტა, გელდიაშვილს დახმარებოდა. ამიტომ მან ცემა დაუწყო მინდიაშვილს, თან უყვიროდა: უნაშუსო ქალს ხელს რატომ აფარებ?! ამის შემდეგ კი, ნ. ნადირაძის ცემას მიჰყო ხელი, მერე შეეცადა, მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა, მაგრამ ვერ შეძლო. ქალი ბადის ტერიტორიაზე არსებულ, ნახევრად დანგრეულ, ვიდეოსალონის შენობაში შეათრის და ახლა უკვე იქ განაგრძებს მისი გაუპატიურება და ცემა. მეგრელიშვილი კვლავ შეეცადა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, მაგრამ უშედეგოდ; ამით განრისხებულმა, ნ. ნადირაძის წამება გადაწყვიტა: ცეცხლმოკიდებული სიგარეტი სარძევე ჯირკვლების მიდამოებში მიადო, შემდეგ კი, ხელებითა

და ფეხებით დაუწყო ცემა თავში, სანამ ქალმა გონება არ დაკარგა. ბოლოს, მინდიაშვილს შარვალი გახადეს და ნადირაძესთან ერთად ოთახში არსებულ ორმოში ჩაადგეს. ვარდისას ქალმა თავი კედელს მიარტყა. მიღებული დაზიანებების შედეგად, იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავეები მიიმალნენ.

აღნიშნული ფაქტის შესახებ პოლიციას მინდიაშვილმა აცნობა. ბოროტმოქმედები რამდენიმე დღეში დააკავეს.

მოწმის სახით დაიკითხა ელიზბარ ლიჩელი, რომელმაც მინდიაშვილის ჩვენება დაადასტურა და დამნაშავეები დაასახელა. ანალოგიური ჩვენებები მისცეს ზ. გამგებელმა და რ. მინდიაშვილმა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ დაზარალებულ რამაზ მინდიაშვილს სხეულზე აღენიშნებოდა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, რომელიც მან ცემის შედეგად მიიღო. ნ. ნადირაძის გვამის ექსპერტიზის საფუძველზე კი გაირკვა, რომ მას მიყენებული ჰქონდა შემდეგი დაზიანებები: ბევრი დაყუვილობა და სისხლჩაქცევა, საფეთქლის არეში სამი ჭრილობა, ასევე ნაჭდევები მარცხენა თვალის ქუთუთოსთან, ტუჩის კუთხეში და ნიკაპზე, თერძული დაზიანების კვალი ორივე მუხლის ზედაპირზე. სიკვდილის მიზეზი კი განხდა, თავის ქალის დახურული ტრავმის შედეგად განვითარებული სისხლჩაქცევები ტვინზე.

წარდგენილ ბრალდებაში ბადრი გელდიაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მან განაცხადა, რომ არც ნ. ნადირაძე გაუპატიურებია და არც რამაზ მინდიაშ-

ვილი უცემია.

რაც შეეხება პაატა მეგრელიშვილს – მან თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ მათი ჩვენებები არ გაითვალისწინა და მოწმეების დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის, ასევე – ექსპერტიზის საფუძველზე, ისინი დამნაშავედ ცნო. ბადრი გელდიაშვილსა და პაატა მეგრელიშვილს 14-14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

დამნაშავეებზე ასევე იქნენ ცნობილი ანზორ მაძიაშვილი და გიორგი ბაბუნაშვილი, რომელთაც 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ბადრი გელდიაშვილი უკმაყოფილო დარჩა განაჩენით და გაასაჩივრა იგი. მან განზრახ მკვლელობისა და გაუპატიურების მუხლების მოხსნა მოითხოვა, რადგან მიაჩნდა, რომ მის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა. მისი აზრით, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა რამაზ მინდიაშვილის ჩვენებებს, რადგან ეს ჩვენებები შეიძლება, პირადი დაინტერესებით ან გამოძიების მუშაკთა ზემოქმედებით ყოფილიყო ახსნილი.

საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის საჩივარი არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ მის საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებები, მინდიაშვილის ჩვენების გარდა, სხვა მოწმეების – ლიჩელის, გელდიაშვილისა და გამგებელის ჩვენებებზე იყო დამყარებული.

საბოლოოდ, პალატამ სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

### პოლიციამ ადამიანის დაჭრაში ეჭვითანადი გოგონა დააკავა

24 წლის ნათია ადემიშვილი ეჭვითანადი აღმოჩნდა. 20 აგვისტოს, ღამით, ადემიშვილი ისანი-სამგორის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ნათია ადემიშვილმა დანაშაული კახეთის გზატკეცილზე ჩაიდინა. მას ვინმე ჰუსეინ თემურ ოღლისთან მოუხდა შელაპარაკება და ამ დროს კაცს დანა ჩაართვა ზურგში. ჰუსეინ თემურ ოღლი 28 წლისაა. ჭრილობა, რომელიც მას მიაყენეს, სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

### სადისტურად ნანაეზი ჯარისკაცის ემოციური მთავრობისგან ეპკელის დაკავებას მოითხოვა

22 აგვისტოს, ღამით, ჭალადიდის ტერიტორიაზე 19 წლის ჯარისკაცის ლაშა ჭყეიას საშინლად ნაწამები გვაში იპოვეს. თვითმხილველთა თქმით, მოკლულს სახე სიგარეტით ჰქონდა ამომწვარი, ზურგში კი, მკვლელს მისთვის ჩანგალი ჩაერჭო. გარდა ამისა, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები აცხადებენ, გარდაცვლილს სხეულზე არაერთ-

თი დაზიანება აღმოჩნდა. თუ რა მოხდა მკვლელობის დღეს და ვინ შეიწირა ლაშას სიცოცხლე, გამოძიება არკვევს. ამ ეტაპზე, დადგენილი მხოლოდ ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ, ის სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად ქუთაისში იმყოფებოდა. ამ ინფორმაციას ფოთის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა ადასტურებს. ლაშა ჭყეია სწორედ ფოთში იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს. გარდაცვლილი ჯარისკაცის მშობლები ხელისუფლებისგან მკვლელობის დაუყოვნებლივ დაკავებასა და მის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ.

### სისხლის თანაგროვებს ჩხრაქისას ნარკოტიკული ნივთიერება უპოვეს

ქსნის მკაცრი რეჟიმის მე-7 დაწესებულების გუშაგს, 39 წლის ლადო ჭიკაიძეს 10 გრამამდე მკენარეული ნივთიერება – როგორც ვარაუდობენ, მარიხუანა აღმოაჩნდა. აღსანიშნავია, რომ ჭიკაიძე მაშინ თანამშრომლებმა, ციხის დაცვის წევრებმა განზრახეს. სამსახურში მისულს, ჩვეულებრივად ამოწმებდნენ და ტანსაცმლის ჯიბიდან საეჭვო ნივთიერება ამოაცალეს. მომხდართან დაკავშირებით სასჯელთაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს მოკვლევას.



# NOKIA



## სიასლე!

3-დან 6 თვემდე  
საბარანტიო მომსახურება  
Nokia-ს (ნოკია)  
სერვის ცენტრში შექენილ  
მოხილურ ტელეფონებზე

### მოხილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი

სერვისული მომსახურება  
კვალიფიციური კონსულტანტები

კონსულტანტები უფასოა:

ბელ: 94-24-12,

ბელ/ფაქსი: 94-15-66

ცენტრალური ოფისის მისამართი:

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71

ფილიალები: მარჯანიშვილის ქ. №15, გელ: 95-80-03


რუსთაველის გამზ. №31, გელ: 99-53-83

E-mail: [nokia@geo.net.ge](mailto:nokia@geo.net.ge)

[nokia\\_info@geo.net.ge](mailto:nokia_info@geo.net.ge)

Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი





# „მოდ, შეხალა“

## ჩემს დაღლილ თვალებს, ზოგჯერ ღრუბლიანს, ზოგჯერ კი მზიანს...

დავინწყებ იმით, რომ ზოგჯერ ერთი და იმავე ტელეფონის ნომრიდან დროგამოშვებით, სხვადასხვა შინაარსის „მესიჯი“ მოდის. მაგალითად, ასეთი: „ღევიანი მიყვარხარ, შენზე ჭკუას ვეპარგავ, მენტარები, მაგიფებენ შენი თვალები და ა.შ ნატო“. ხოლო ერთი თვის შემდეგ, იმავე ტელეფონის ნომრიდან ასეთი შინაარსის „მესიჯს“ ვიღებ: „ნატო (გვარიც მითითებულია) შენ ყველაზე ლამაზი ხარ მსოფლიოში, მიყვარხარ, შენზე ჭკუას ვეპარგავ, მაგიფებენ შენი თვალები... უცნობი“. გოგონამ ვერ თავის გულის სწორს დაუმეყოფა, შემდეგ — საკუთარ თავს ვფიქრობ — დაქალებისა და მიუწვდომელი კერძის გულის გასახეთქად. საკმაოდ ხშირია ასეთი შემთხვევა. მართალია, ეს მხოლოდ პატარა, ქალური ეშმაკობაა, მაგრამ რა საჭიროა?.. ეს ისე, „მოთელვისთვის“, რომ დანარჩენმა მკითხველებმა გაითვალისწინონ: მსგავს „მესიჯებს“ არ გამოვაქვეყნებთ. ახლა კი გზავნილი, რომელიც სკოლის მოსწავლემ გამოგვიგზავნა.

### მარი ჯაფარიძე

„მასწავლებლის მიმართ სიყვარულის, დედის მიმართ უი- სიძულვილის უფსკრულში ვიჩეხები“

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ჩემს პრობლემებზე ოდესმე დაწერდი და სა- ზოგადოების სამსჯავროზე წარვადგენდი რაიმეს. მარი, მინდა, შენს რუბრიკაში ჩემი გზავნილი მოხდეს. იქნებ, სხვა თვალით შევხედო — როგორც უცხო ადამიანმა — და გამოსავალი მოვებნო. მოკლედ, უკვე 5 წელია, ჩემი მასწავლებელი, ქალბატონი ქრისტინე მიყვარს, საკუთარ დედაზე მეტად. მზად ვარ, მისთვის სიცოცხლეც კი გავწირო. ის სიცოცხლე, რომელმაც აზრი დაკარგა. საშინლად ვიტანჯები. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. აუტანელია დედანემთან ერთად ცხოვრება. მისი ყოველი სიტყვა, ალერსი და თბილი მოქცევა მაგიჟებს და მალიზიანებს. ზოგჯერ მინდა, სიმართლე პირში

მივასალო, მაგრამ არ შემიძლია. არ მინდა, გული ვატყინო. მას ხომ ბრალი არ მიუძღვის. თუმცა, არც ის ვიცი, ვინ არის დამნაშავე. ვცდილობ წარსულის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. თითქოს ყოველი ცდის შემდეგ, ქრისტინე მასწავლებელი უფრო და უფრო მიყვარდება. ვერძნობ, რომ მის მიმართ სიყვარულის, დედის მიმართ კი — სიძულვილის უფსკრულში ვიჩეხები... ვეძებ გზას, რომელიც მიხსნის, მაგრამ ვერაფერობით, თვითმკლელობის გარდა, ვერაფერი მოვიფიქრე. ზოგჯერ, ისე ცუდად ვხდები, რომ მგონია, ვკვდები. მინდა, მადლობა გადაუხადო ქალბატონ ქრისტინეს. მან ჩემი სიცოცხლე გადაარჩინა. გამადლობთ, რომ ამდენი აიტანეთ ჩემგან, ერთი საყვედურიც არ დაგცდენიათ. ორ წელიწადში, განშორება არ აგვცდება — ასეთია სკოლის კანონი და მერე, არ ვიცი, რას ვიზამ. ალბათ იმას, რაშიც თქვენ 18 თებერვალს შემიშალეთ ხელი... სხვა რა დამრჩენია?! ძალიან მიყვარხართ, ჩემო „დედიკო“. შორიდან

გეფერებით. ამ წერილით, თითქოს, ჩემი თავის დასჯა და ხალხის სამსჯავროზე გამოტანა მინდა. მე იმის მეტი არავინ მინდა. „ბეთჰოვენა“.

კომენტარისთვის ფსიქოლოგს, ქალბატონ ნინო ხოფერიას მივმართე, მაგრამ მხრები აიჩეხა — თუ ბავშვს არ გავესაუბრე, არც კი ვიცი, რა ვთქვაო... ფაქტი კი ის არის, რომ მას აუცილებლად სჭირდება შევლა. ქრისტინე მასწავლებელი! თუ თქვენ ეს ყველაფერი იცით, იღონეთ რამე მის გადასარჩენად...

ახლა კი, შეძლევთ გზავნილი, რომლის ავტორსაც, ფსიქიატრი უფრო სჭირდება, ფსიქოლოგი თუ ცოლი — გადაჭრით ვერ ვიტყვი...

„შინ რომ მივიყვან და გავხდი, მერე ვარ ცოლვა...“

„ჩემი უცნაურობის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა გამიგია, მაგრამ არა მგონია, მთლად ასე ცუდად იყოს ჩემი საქმე. არა, ვაღიარებ, რომ თავისებური ხასიათი მაქვს, მაგრამ ყველა ადამიანი ხომ ინდივიდია! ჰოდა, რატომაა უცნაური? თუ შემიძლია, ტორტიც და აჯიკა ერთად ვჭამო? ან ნაყინი და ძეხვი?... კიდევ, ძალიან მიყვარს თავდაყირა ძილი, აღუღებული ჩაიდნის ცხვირიდან გამოსული ორთქლის ყლაპვა, მაგრამ ეს ყველაფერი ყოფით პრობლემებს არ მიქმნის. მარტო ვცხოვრობ, ამიტომ, როგორც მინდა, ისე დავიძინებ და რამდენ ორთქლსაც მინდა, იძულებ ჩავუკლაპავ. მინდა, ჩემი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გასაჭირი გაგანდოთ. ვეცდებით, რომ საკმაოდ კარგი გარეგნობა მაქვს და ქალებში დიდი მოწონებით ვსარგებლობ, მაგრამ საქმე ის არის, რომ როგორი გარეგნობაც არ უნდა ჰქონდეს ქალს, თუ მისი ფეხის თითები არ მომეწონა, არაფერი გამომდის. ზაფხულში კიდევ არა მიჭირს რა — ღია ფეხსაცმელი აკვი- ათ და ვხედავ მათი ფეხის თითებს. ზამთარში კი, უბედურ დღეში ვარ. სადაც გავიცნობ გოგონას, იქვე ხომ ვერ გავახდევინებ ჩემ- მასა და კოლეგებს?! არც გაიხდის, რომ ვთხოვო. შინ რომ მივიყვან და გავხდი, მერე ვარ ცოლვა, თუ არ მომეწონა. ამის გამო ბევრჯერ ჩავვარდნილვარ უხერხულ სიტუაციაში. ახლა, უკვე 30 წლის ვარ და ცოლის მოყვანა მინდა: ვეძებ ისეთ გოგონას, რომელსაც ლამაზი ფეხის თითები აქვს. აი, ეს პრობლემა მაწუხებს. იქნებ, დამეხმარო?“

ამ ამბავს ერთი ანეკდოტი მოუხდება: ვიზიტი ფსიქიატრთან.

— ეჭმოდ, ოჯახის წევრები იმის გამო მსაყვედურობენ, რომ შალის წინა მკვარს.



– მერე, ამაში უცნაური რა არის? შალის წინდა მეც მიყვარს...

– მართლა, ეჭიძო? თქვენ ძმობით და ნივრით გიყვართ თუ მაიონებთ?..

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯებს“ გადავხედოთ

„გამარჯობათ. ამ „მესიჯს“ ძალიან შორიდან, გერმანიის ქალაქ მიუნსტერიდან ვაგზავნი, სტუდენტობიდან. ახლა უკვე შუალამა, მაგრამ მაინც გენმარჯობით. ვკითხულობ თქვენს „გზაგანილებს“ და მიხარია, რომ იზიარებთ ხალხის ტკივილსა და სიხარულს. თამუნა“.

„ნანა ყარაულაშვილი, სადა ხარ? მიყვარხარ, დაგეძებ, ხუთი წელია, არ მინახიხარ. არადა, სტუდენტობის დროინდელი მეგობარი ხარ“.

„გამარჯობათ! ვეძებ ჩემს კარგ მეგობარს, გელა ოთარაშვილს, რომელიც 20 ოქტომბერსაა დაბადებული. გელა, დამიკავშირდი მარის საშუალებით. საბერძნეთი“.

„ვატო ჭიაურელს. ეს ის სიყვარული იყო, თავს რომ დაგაკარგვინებს. მიკვირს, რა ძალამ აღმართა ჩვენ შორის ცივი კედელი. გახსოვს, ტრიუმფალური თალი? მერე პიენიკი და დამწვარი სარდლები? იმდის ვიტოვებ, ეს ყველაფერი ოდნავ მაინც გაგიტობოს გულს და გამოძეხმარებები. „ტოლიას“ მეძახდი“.

„მარი, ამ გზაგანილებს რომ ვკითხულობ, ვხვდები, რომ სხვის შეცდომებზე ცხოვრებას ვსწავლობ. სალო“.

„მინდა, ჩემს სატკივარზე მოგიყვებო. ერთი გოგო შემეყვარა, ლენა ნათაძე. ვერ ვეუბნები, რადგან მეშინია მისი რეაქციის. მინდა, თქვენი საშუალებით ვუთხრა – ლენა, მიყვარხარ! „მოდი, შეხედე ჩემს დაღლილ თვალებს, ზოგჯერ ღრუბლიანს, ზოგჯერ კი მზიანს. დღეს ნამდვილ სახელს არ გისახელებ, მე სიყვარულის სიგიჟე მქვია“. შენი ჯენტლმენი“.

„გამარჯობათ, ბათუმიდან გენმინებთ თქვენი კოლეგა. ორი კვირაა, რაც შეილი შემეძინა. მინდა, ჩემს მეუღლეს ვუთხრა: შენ ხომ შეილი მაჩუქე, პატარა დათუნა და მაგრძობინე, რა არის მამობა. გაღმერთებ და ვეუბრები. მარად შენი ერთგული რეზიკო. ჩიკო! ძალიან მიყვარხარ“.

„მამუკა აბუაშვილს – მე მელანდები, წუ-

თში 60-ჯერ, სამოცჯერ მიყვარს ეს მოლანდება, წუთში 60 წამს რომ გიყურებდე, სამოცჯერ გეტყვი – მე შენ მიყვარხარ“.

„გოგა არჩვამე, მენატრები, მაგრამ არ დაგირეკავ. კეთილი ინებე და შენ გამიხსენე. ნუ გადაწყვეი მაგ ფეხბურთს. არ მომაკლო ყურადღება, თორემ საერთოდ გავქრები შენი ერთფეროვანი ცხოვრებიდან. გინდა ეს? შენი პაწაწუნა სოფო“.

„დიდდიდმელ გიორგი მეტრეველს. გიო, რატომ დამტოვე ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში? თუ ჩემთან ურთიერთობა აღარ გინდა, დამირეკე და სიმართლე მითხარი. ნაცნობი-უცნობი“.

„ნატო, ძალიან მიყვარხარ. იქნებ, წაიკითხო და გამიხსენო, გიშრის სამაჯური რომ გაჩუქე და თუ ერთ დღეს მის გარეშე გნახავდი, ე.ი. აღარ გიყვარდი“.

„ძალიან მომწონს ერთი ბიჭი, რომელსაც დობას ვეფიცებოდი. მოკლე, მუშინია, ჩემი ძმის ძმაკაცი არ შემეყვარდეს. თამუკა“.

„შოთიკო, მომენატრე. როცა გაერკვევი შენს გრძნობებში, გამაგებინე „გზის“ მეშვეობით. „ბობოროა“.

„ხელვაჩაურში მცხოვრებ რუსლან თუთლაივს. რა უქნით ამ პუტუნა გოგოს ბათუმში, ასე რომ ჩამომხმარა? გთხოვ, ნუ ანერვიულებ. სალომე (ნანას მეგობარი, ქუთაისიდან)“.

„ვეძებ ჩემს სიცოცხლეს, რომელიც დაგვარე ერთი წლის წინ. მას ირინა ჭავჭავანიძე ჰქვია. ირკა, მიყვარხარ, მენატრები, იტატო“.

„მჭირდება დახმარება! მირონით ნათესავი შემეყვარდა!“

„ჯონი წვილაშვილს. – მინდა, მქონდეს ნაზი ფრთები, შენთან სახლში მოვფრინდები. განა დიდხანს გაეჩერდები? გაკოცებ და გაუფრინდები. შენზე უზომოდ შეყვარებული – 01“

კვლავ ველით თქვენს გზაგანილებს ტელეფონზე: 8(77) 45.68.61. ვისურვებთ წარმატებებს. შეგახსენებთ, რომ ჟურნალის მომღვეწო ნომერში მოსახვედრად, კვირა დღემდე უნდა შეგვეხმინათ.

# ერთგული პიტიხული

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე ვაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

## 1. რა ჰქვია პრემიას, რომელსაც უხდის გვიის მფლობელი ტვირთის პატრონს, გვიის ვადაზი ადრე დატვირთვასა და გადამოტვირთვას?



- ა) სტიპენდია;
- ბ) პენსია;
- გ) დისპაჩი.

## 2. მუსრან მამაპარიანი წერდა: „მტერს ... მხოლოდ საფლავად მიცემ“. რომელია გამომთრევაული სიტყვა?



- ა) ფიცარს;
- ბ) მიწას;
- გ) მამულს“.

## 3. რომელი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული აშშ-ის ახლანდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს?



- ა) იელს;
- ბ) ჰარვარდის;
- გ) კოლუმბიის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

**საქართველოს სპორტული ცენტრების სტუდია "პრანცია"**

3 ძველი სახეობის 5-15 წლის ბავშვებისთვის უფროსებს 15-დან 35 წლამდე მკურნალობის, რეაბილიტაციის და ფიზიოთერაპიის ცენტრების მუშაობის დაწყება.

**ბაქო, ბანბო, სანჯა, ხალა, ვაჟა, კახია, რეაბი-კლინიკა**

თელავი: 800866 796308 89  
 (თელავი) 800866 796308 89  
 22-ე სახელმწიფო სპორტული ცენტრის სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი  
 ბაქო: 61 73 18, 33 12 45.  
 14 46 60, 376, 199 35 15 89

**ქვეყნის მთავრობის მიერ დაფინანსებული**

მოდელი და მომღერალი თიკა ფაცაცია უკვე ხუთი წელია, საქვსთან ზის. მას მუქი ლურჯი „აუდი“ ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ თიკას არცთუ ისე დიდი ხნის „სტაჟი“ აქვს, თავი მაინც საკმაოდ გამოცდილ მძღოლად მიაჩნია. საგზაო პოლიცია-სთანაც კარგი დამოკიდებულება აქვს და მიაჩნია, რომ საქართველოში ჯენტლმენი პოლიციელები არიან.



## თიკა ფაცაცია:

# შპანქანორ ვეხსალ მივლივარ – თითქოს სხვა შპანსაორში არ ვხსებოვარ...

### ნათია ქივიციანი

– იმის გამო, რომ ძალიან დაკავებული ვარ და დღის განმავლობაში უამრავ ადგილას მიხდება მისვლა, მანქანა ძალიან მჭირდება. ამიტომ, 1998 წელს დავიქირავე მასწავლებელი, რომელმაც ათი გაკვეთილი ჩამიტარა. შემდეგ ამერიკაში წავედი, სადაც მართვის ავტომატური სისტემის მანქანით დავდიოდი. ასეთი მანქანა იოლი სამართავია. ამერიკის ტრასებზე უმეტესად ცალმხრივი მოძრაობაა და ქალაქში გასვლაც სახიფათო არ არის. თუმცა, მაინც დაძაბული ვიჯექი. აქ რომ ჩამოვედი და

ისევ ჩვეულებრივი (მექანიკურკოლოფიანი) მანქანის საჭეს მივუჯექი, მასთან შეგუება ძალიან გამიჭირდა. ფაქტობრივად, თავიდან ვისწავლე მანქანის მართვა. ჩემი შემოსავლით მანქანას ვერ ვიყიდდი. „აუდი“, რომლითაც დავდივარ, ჩემმა მეუღლემ მარჩუქა. რაიმე დღესასწაულისთვის არ დაუძინებია, იცოდა, რომ მანქანა ძალიან მჭირდებოდა და ერთ მშენიერ დღეს, მიყიდა. საჭესთან ისე თავისუფლად ვვრძობო თავს, რომ მანქანის მართვის პარალელურად შემიძლია, ტელეფონითაც ვილაპარაკო, მუსიკასაც მოვუსმინო და ხანდახან სარკეშიც ჩავიხედო, რომ ვნახო, როგორ გამოვიყურები. თუმცა, ამას არავის ვურჩევ, რადგან დამწყები მძღოლები-სთვის სხვა რამეზე ყურადღების გადატანა სახიფათოა.

ვუაროთ-მეთქი. ეზოში ერთადერთი ხე იდგა. უკუსვლით გამოვდიოდი და მხოლოდ იმ ხეს ვუყურებდი, რომ არ დავეგანებოდი და სირცხვილი არ მეჭამა. უცებ, სამინელი გრუხუნით გავეიგონე. შემფოთებულმა, გვერდზე გავიხედე და... მეზობლის მანქანისთვის დამირტყამს. ჩემს მეგობარს ვუთხარი – მოდი, მანქანიდან ჩუმად გადავიდეთ, ვითომ ჩვენ არაფერი დავკვირებოდა-მეთქი, – მაგრამ ვერ მოვასწარი, რადგან ხმაურზე აბსოლუტურად ყველა ფანჯრიდან გადმოიხედეს. იმის მაგივრად, რომ ბოლიში მომეხადა, სახლში ავევარდი და ჩემს ოთახში ჩავიკეტე. მერე დათო მეხვეწებოდა – ჯანდაბას ეს მანქანა, ოღონდ ოთახიდან გამოდიო. ამის მეტი ავარიული შემთხვევა არ მქონია, მხოლოდ რამდენჯერმე გავეხახუნე კედელს. ერთხელ, ვიღაც ბიჭი დამეჯახა, მაგრამ მისი ბრალი იყო.



კარგი მძღოლი ვარ, რადგან ჩემი მიზეზით, იმ ერთის გარდა, ავარიული შემთხვევა არ მომიხდენია

– პირველად, დამოუკიდებლად რომ მიუჯექი საჭეს, რა გრძობა დაგეუფლა?

– დამოუკიდებლად საჭეს პირველად ამერიკაში მივუჯექი და ავარიაც მომიხდა. ჩემი მეუღლე, მე და ჩემს მეგობარს ეზოში გვასწავლიდა მანქანის მართვას. მერე დათოს (ანთელიძე, თიკას მეუღლე. – ავტ.) რაღაც საქმე გამოუჩნდა და მანქანიდან გადავიდა, ჩვენ კი მანქანის ტარება განვაგრძეთ. საჭესთან მე ვიჯექი. დათო ივანიანი და ჩემს მეგობარს ვუთხარი – მის მოსვლამდე ეზოს ერთხელ კიდევ შემო-

– შენ მეუღლე, როგორც მძღოლს, როგორ შეფასებას გაძლევს?

– მანქანის მართვა იმდენად შესისხლხორციელებული მაქვს, რომ საჭეს ცალი ხელით ვმართავ და მხოლოდ ამის გამო მაძლევს ხოლმე შენიშვნას – ორივე ხელი მოჰკიდე, რა იცი, რა ხდებაო. სხვა მხრივ, ჩემი მძღოლობით კმაყოფილია.

– შენ როგორ ფიქრობ – კარგი მძღოლი ხარ?

– მიმაჩნია, რომ კარგი მძღოლი ვარ, რადგან ჩემი მიზეზით, იმ ერთის გარდა, ავარიული შემთხვევა არ მომიხდენია. რისკზე არასოდეს მივდივარ, ძირითადად, ნელა ვმძღვრობ. ძალიან ფრთხილი ვარ. ჩემი მეგობარი ორსულად იყო და მანქანაში ვერ ვისვამდი, მეშინოდა. ერთხელ, ის და ჩემი შვილი სასიეროდ უნდა წამეყვანა, ორივე ჩამოვსვი და მანქანა პროფილაქტორიუმში წავიყვანე, შევამოწმებინე და მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძეთ გზა.

– სისწრაფე არ გიყვარს?



– მიყვარს, მაგრამ სწრაფად იშვიათად დავდივარ – ამის უფლებას თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაძლევ, თუ გზა თავისუფალია.

— მანქანის მართვისას, რამ შეიძლება გამოგყვანოს წონასწორობიდან და გაბრაზებას როგორ გამოხატავ ხოლმე?

– უმეტესად, სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს გამოგყვარ წონასწორობიდან: საშინლად დადიან. ასეთ დროს, გაბმულ სივრცეს ვაძლევ, ცოტა აზრზე რომ მოვიდნენ... არ ვივინები, მხოლოდ ინგლისურად ვამბობ ხოლმე, გულის მოსაფხანად, რაღაც სიტყვებს, ისიც – მხოლოდ მაშინ, როცა მარტო ვარ.

— მოძრაობის წესებს ხშირად არღვევ?

– ხშირად არ ვარღვევ. ზოგჯერ, როცა ავტონისპექტორი მაჩერებს, ვერ ვხვდები, რა დავაშავე და ვკითხები ხოლმე, შემდგომში რომ გავითვალისწინო. შუქნიშანსაც ყოველთვის ვემორჩილები, რადგან როგორც არ უნდა მჩქარებოდეს, შუქნიშანთან დაკარგული ორი წუთი არაფერს შეცვლის.

— ავტონისპექტორებთან როგორ დამოკიდებულება გაქვს?

– კარგი. ხშირად არ მაჩერებენ. რომ დამინახავენ, მიდიმიან ხოლმე, დასასვენებლად ანტალიაში მივდიოდი. ჩოლოქთან გამაჩერეს და ერთ-ერთმა ავტონისპექტორმა გვარი მკითხა. სანამ რაიმეს ვეტყვიდი, მეორემ უთხრა – გაუშვი, თორემ, მერე პოლიციელებზე ცუდ სიმღერას იმღერებ... ასეა – ხშირად, დანახვისთანავე მცნობენ; ზოგი, მართვის მოწმობას რომ ნახავს, მერე ხვდება, ვინცა ვარ, ზოგი – მერეც ვერ ხვდება. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ფულადი ჯარიმა გადაამხდევინეს. ყვითელ შუქზე გავიარე და მითხრეს – წითელზე გაიარე და ოცი ლარი უნდა გადაიხადო. მეც უპრეტენზიოდ გადავიხადე დასახლებული თანხა. მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი ამერიკიდან და არ ვიცოდი, რომ ორ ლარზეც მაღლობს მეტყობდნენ... ახლახან, კიდევ ერთი შემთხვევა მქონდა: მანქანის ნომრები საქარე მინაზე მქონდა დამაგრებული. გამაჩერა პოლიციელმა და მითხრა – ნომრების დამაგრება საქარე მინაზე არ შეიძლება და ჯარიმა, სამოცი ლარი უნდა გადაიხადო. ვუპასუხე – გასაგებია, მაგრამ ნომრის სამაგრი გამიფუჭდა და სხვაგან სად წავიღო? თუ ახლა ჯარიმას გადაამხდევინებთ, ინტერვიუში ვიტყვი, რომ ასე ცუდად მომექცითეთქი... – მე რომ რაღაც დამეშავებინა, შენ გამიშვებდი? – მკითხა. რა თქმა უნდა-მეთქი, – ვუპასუხე. – მაშინ წადი, – და გამომიშვა. ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და იმ პოლიციელს მაღლობს გადაუხდის.

— პოლიციას ყოველთვის ემორჩილები?

– რომ მანიშნებენ – გაჩერდიო, – ხელს ვუქნევ და მეც საპასუხოდ ვანიშნებ, რომ გოგო ვარ და არ უნდა გამაჩერონ... ერთხელ ასეთი შემთხვევაც მქონდა: ჩემი მანქანის მინები ჩაბნელებულია. პოლიციელმა მანიშნა – გაჩერეო. მეც, ჩვეულებისამებრ, ხელი დავუქნიე და გზა განვაგრძე. დაახლოებით ას მეტრში პოლიციელებმა გზა გადამიკეტეს. შეშფოთებულმა გავაჩერე მანქანა, მინა ჩამოვწიე და დაბნეულმა გავიღიძე. – ვაიძე, გოგო ყოფილაო! – ხელი ჩაიქნიეს და უკან გაბრუნდნენ. ალბათ პირველმა პოლიციელმა რაკითი გადასცა ჩემი დაუმორჩილებლობის შესახებ.

— მანქანის მოვლა თუ გიყვარს?

– ძალიან მომწონს, მანქანა რომ კრიალებს და სალონში კარგი სურნელი რომ დგას, მაგრამ სხვები ამას როგორ ანერხებენ, ვერ ვხვდები, რადგან მე ვერ ვახერხებ. გუშინ გავარეცხვინე მანქანა, ღამით წვიმა წამოვიდა და ახლა ისევ საშინელ დღეშია. მანქანის გარეცხვა იცით, რატომ არ მიყვარს? სანამ გავარეცხავ, ნახევარი საათი ქუჩაში უნდა იდგე და ელოდი. საერთოდ, რატომღაც ქალები უფრო ჭკუჭყიანი მანქანებით დავდივართ, ვიდრე – მამაკაცები... რაც შეეხება უსაფრთხოებას – ამაზე ჩემი მეუღლე ზრუნავს. წელიწადში ერთხელ უტარებს ტექნათავალიერებას, რადგან იცის, მანქანას რაიმე დაზიანებული რომ ჰქონდეს, მე ვერ მივხვდები.

— ე.ი. მანქანის ნაწილებში ვერ ერკვევი?

– ვერასოდეს ვხვდები, რა ფუჭდება. ერთხელ აეროპორტში მივდიოდი. პოლიციელები წამომეჩვენებენ და მითხრეს – საბურავი გაქვს დაშვებული. ძალიან გაგნერვიულდი, რადგან მარტო ვიყავი და არ ვიცოდი, რა მქნა. გადავედი, ვნახე და... თურმე გამეხუმრნენ... არ ვემღერი ამ მანქანას, კარგ ფორმაშია და „აჯად არ ხდება“ ხოლმე.

— შორ გზაზე თუ გიმგზავრია შენი მანქანით?

– შორ გზაზე თუ მივდივართ – როცა ჩემი მეუღლე იღლება, საჭეს მხოლოდ მაშინ მივუვადებ ხოლმე. თუმცა ახლახან, თურქეთში მივდიოდი და თითქმის მთელი გზა მე ვიჯექი საჭესთან, ჩემს მეუღლეს და შეიღს კი ეძინათ. შორ მანძილზე მგზავრობისას, საჭესთან ვდგამ რატომღაც ყოველთვის ღამით მიწვევს ხოლმე და მეშინია, არ ჩამებნოს. მინა

**მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი ამერიკიდან და არ ვიცოდი, რომ ორ ლარზეც მაღლობას მეტყობდნენ...**

ჩაწეული მაქვს და მუსიკას ხმამაღლა ვრთავ. თუ ძილი მაინც მერევა, გზას აღარ ვაგრძელებ და მანქანას ვაჩერებ.

— რა არის შენთვის მანქანა — ფუფუნების საგანი, საჭირო ნივთი თუ რაღაც სხვა?

– ყველაფერი ერთად. როცა ჩემი მეუღლის მანქანა გაფუჭებულია და ჩემი მანქანით სარგებლობს, მე ვერაფერს ვაკეთებ. უმანქანოდ ვერსად მივდივარ ხოლმე – თითქოს სხვა ტრანსპორტი არ არსებობს... ძალიან მივჩვევი ჩემს მანქანას. ჩემია და მორჩა! ერთხელ, პროტესტის გრძნობაც გამიჩნდა: იმ დღიდან, რაც მანქანა მყავს, ფეხით აღარ გამივლია-მეთქი, – ამიტომ ჩემი „აუდი“ შინ დავტოვე და მთელი დღე ფეხით ვიარე. ისე, კარგი მანქანა ფუფუნების საგანიც ნამდვილად არის.

— მანქანაში ყოფნისას, შენს სიმღერებს თუ უსმენ ხოლმე?

– როცა ახალი სიმღერა მაქვს ჩაწერილი, აუცილებლად ვუსმენ – მაინტერესებს, როგორი მოსასმენია სიმღერა მანქანაში. საერთოდ მიმაჩნია, რომ თუ მანქანას სიმღერა უხდება, ე.ი. კარგი სიმღერაა. ამიტომ მანქანაში ბევრი დისკო მაქვს, როგორც კარგი განწყობის დასაუფლებლად, ისე – მოწყენილობის მომენტებისთვის. უფრო ხშირად, მანქანაში ვრთავ მინუს ფონოგრამაზე ჩაწერილ ჩემს სიმღერებს, მთელი ხმით დღერი და ვცეკვავ. მართლა გეუბნებით, მანქანაში სულ ვცეკვავ – აბა, სად შემიძლია, კარგი სიმღერა მოვისმინო და გამეშებული ვიჯდე, სულ წინ ვიყურო და არ ვიცეკვო?!

— ახლო მომავალში, ხომ არ აპირებ მანქანის გამოცვლას და რომელია შენი საოცნებო მანქანა?

– მანქანის გამოცვლას ვერ არ ვაპირებ, რადგან ამით კმაყოფილი ვარ. მომწონს ორკარიანი ავტომობილები, თუმცა არაპრაქტიკულია. მინდა, მყავდეს წითელი მანქანა, „ბუთქუნა“ და ლამაზი. ვგოფდები, ისე მომწონს BMW-ს ბოლო მოდელი, მაგრამ ეს ჩემთვის არარეალური ოცნებაა...



მართალია ტელესერიალი — „ძილის წინ“ რამდენიმე დღის წინ დასრულდა და არავინ უწყის, ოდესმე გაგრძელდება თუ არა ან სხვა სერიალში თუ მიიწვევენ მალხაზ ქვრივიშვილს, მაგრამ ვიდრე მის სამსახიობო ბიოგრაფიაში ახალი როლები გამოჩნდება, მანამდე მალხაზის მამაკაცურ ოინებზე ვისაუბროთ. უფრო სწორად, — თავად გვიამბობს ამის შესახებ. მალხაზ ქვრივიშვილს იმდენი რომანი ჰქონია, ერთს კი არა — რამდენიმე მრავალსერიიან ფილმს ეყოფოდა.



# მალხაზ ქვრივიშვილის სსიყვარულზე გაუჩინებელი

## მაია კახიძე

— მალხაზ, შენზე ამბობენ, სუსტი სქესის წარმომადგენლები ძალიან უყვარსო...

— მერე რა? მიყვარს, ხომ არ მძულს?! ქალთან დამოკიდებულებაში, გაფრენები, სიცივის მომენტები ყველა ნორმალურ მამაკაცს აქვს. არც მე ვარ გამონაკლისი. გამონაკლისი კი არა, ისეთი რამე-რუმეები ჩამიდენია...

— კერძოდ?

— მაგალითად, ფული თუ არ მქონია, შუალამისას ყვავილები სკვერში დამიკრეფა და ქალისთვის მიმართეფა, ჩემი აზრით, ქუჩაში მოწვევითი ყვავილი უფრო ეგზოტიკურია — გვინია, რომ გმირი ხარ, რაღაც სხვა შეგრძნება გუფულება. ვიდრე მაშინ, სვანგებოდ რომ შეიძენ. მე თვითონ ვარ ეგეთი ტიპი, თავგადასავლები, სასიყვარულო ამბები მიზიდავს, თითქოს ზღაპრის გმირი ვხდები. თუმცა მერე, ნელ-ნელა წლები რომ გემატება, უფრო კარგად ხდები — რა, რისთვის, როგორ, რანაირად უნდა აკეთო.

— სიფხიზლეში უფრო მეტი „გაფრენა“ გქონია თუ სიმთვრალეში?

— სიფხიზლეში. სიფხიზლეში ისეთ განცდებში ვყოფილვარ, აი, „ძარღვიანად“ დაღვივისას რომ აქვს ხოლმე კაცს. მოკლე, „ფხიზელ-მოვრალი“ თუ ვინმე დადის საქართველოში, ერთ-ერთი მე გახლავართ.

— ქალს ხშირად ეუბნები — მიყვარხარო?

— ამ სიტყვის თქმა ყოველთვის

მეძნელებოდა, რადგან მეტისმეტად ძვირფასი და საპასუხისმგებლო სიტყვაა. თუ წარამარა იმას — მიყვარხარო, სიტყვას ძალა ეკარგება. ეს კი არა, კარგა ხანს იმასაც ვფიქრობდი, სხვა სიტყვა მომეფიქრებინა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მოუტებნი და ამიტომ დღემდე ვამჯობინებ ხოლმე... ისე, ჩემთვის ხშირად უკითხავთ — რატომ არ მეუბნები — მიყვარხარო? — მაგრამ მე მაინც ჯიუტად ვლუმვარ.

— ალბათ თვალებით ელაპარაკები, არა?

— არც უმაგისობაა. დანახვა, ერთმანეთის შეფასება, რაღაც ვანსაკუთრებულ შეგრძნებას იწვევს ჩემში. სხვათა შორის, თვალებით პასუხიც მიმიღია. გამოვიტყდებით და ყველაფერს ვამჩნევ. ძალიან ხშირად ამ მთლიანად გამიცნია ვოგონები, მერე დავმეგობრებულვართ და ზღაპრული ურთიერთობებიც გვქონია...

— მეგობრობაში რას გულისხმობ?

— რაც ქალსა და მამაკაცს შორის ხდება... დაწვრილებით ვიამბო?

— როგორც გენებოს...

— ზოგჯერ, ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედავ, რაღაცები ამომიტივტივდება ხოლმე: ესა თუ ის შეხვედრა, ვნება, განცდა... პარალელის გაღება მიყვარს. ერთხელ ქუჩაში ვოვო მომეწონა და ისე მომიხდა მისი გაცნობა, მთები გადავადრუნე და მისი ტელეფონის ნომერიც ვაგივე, მისამართიც, გვარიც და სახელიც. თუ სურვილი გაქვს კაცს, ამისთვის ყველაფერს გააკეთებ. არადა ვიცოდი, რომ უამრავი „პაკლონიკი“ ჰყავდა.

— „პაკლონიკებს“ დაერიე?

— არა. თითოც არ გამინძრევია. ჩემი მიზანი ამ ქალზე „მოქმედება“ იყო. პოდა, მივალწიე კიდევ შედეგს. ამ ვოგოსთან ურთიერთობაში საოცარი ის იყო, რომ თავიანთსმცემლები ყოველდღე უამრავ თავიუღს უზაწინდენ. მისი სახლი ერთ უზარმაზარ საყვავილეს ჰგავდა.

— მე კი მეგონა, ნოდარ დუმბაძის მურტალოს გარდა, ქალს ყოველდღე ყვავილებს არავინ უზაწინდა...

— მეც ვამიკვირდა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისში ასეთი რამ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საკუთარი თვლით ვნახე.

— არ ნერვიულობდი, ამდენ ყვავილს რომ უზაწინდენ და ისიც იღებდა?

— პირიქით, მსიამოვნებდა, რადგან მისი თავიანთსმცემლებიდან მხოლოდ მე მოვიპოვე მასთან სიახლოვის უფლება. ის, რასაკვირველია, ტკებოდა ყვავილებით, მაგრამ რაღაცით მაინც ვერ ტკებოდა და ის რაღაც სწორედ ჩემთან იპოვა, თუმცა საბოლოო შედეგს საკმაოდ გვიან მივალწიე. თავიდან, ტელეფონითაც კი არ მელაპარაკებოდა. მესამედ რომ დავურეკე, ვერხუბე, ცოტა თავხედურადაც კი დაველაპარაკე და ინტერესში ჩავარდა. მართლა გულწრფელად ვიყავი აღშფოთებული და ბოლოს, ჩემმა ჩხუბმა ისე მოხიბლა, რომ... რატომ არ სჯეროდა, შეხვედრა რომ მიწლოდა, არ ვიცი. მერე, იცოცხლე, დაიჯერა და თან — როგორ!

— დიდხანს გაგრძელდა თქვენი რომანი?

— არც ისე, მაგრამ ის განცდა მულამ



მემახსოვრება. იქამდე მივიყვანე, ვიღაცა ყვავილს რომ უგზავნიდა, მე ვეკონე.

— კიდევ გქონია ვინმეს მიმართ განსაკუთრებული გრძნობა?

— ჰო. ერთი გოგოს მიმართ საოცარი გრძნობა გამიჩნდა. ჩემზე ბევრად უმცროსი იყო, მაგრამ მან არ იცოდა, მის გამო ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. არადა, ვგრძნობ, თანდათან უფრო ავენთე. მასაც ბევრი თავყვანისმცემელი ჰყავდა. იმდენად შემთხვევარდა და იმდენად განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა, რომ რაღაცნაირად, ვერც ვუბედავდი თქმას. ძალიან განვიცდიდი... მარტო ვებრძოდი ჩემს გრძნობას.

— გაგეშოილა მერე ვინმესთვის...

— ბოლოს, ერთ მეგობარს გავანდე. მეუბნებოდა — რატომ იტანჯები, მიდი და უთხარიო. მაინც ვერ ვღამიდი ამ ნაბიჯს. ერთ მშვენიერ დღეს, მივიღე გადაწყვეტილება, მოვიკრიბე ძალ-ღონე და დავურეკე, რაღაც მინდა ვითხრა-მეთქი. — რა პრობლემაა? — მოდიო. — მიპასუხა. მაგრამ მე ხომ არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ მიიღებს? გავგიჟდი ნერვიულობისგან. მოკლედ, მივედი. მთვრალივით ვარ გაბრუნებული, ხელ-ფეხი დამბიბუჟდა, სისხლი როგორ მიჩქეფდა და გული რანაირად მიცემდა, ვერ აღვიწერ. ის ჩემი მეგობარი გამყვანა, რომელმაც ყველაფერი იცოდა. მივადექით სახლს და მეგობარი უკნიდან მასწავლა — „მეხმარება“, რომ არ ჩავიკეცო... ზარიც კი ჩემმა მეგობარმა დარეკა. გაიღო კარი და ალბათ ისეთი სახე მქონდა, მკითხა, — რა მოხდა — ხომ არ იჩხუბეო (იმ პერიოდში, ხშირად ეჩხუბობდით ბიჭები, რატომ — არ ვიცი...)? — არა-მეთქი, — ვუპასუხე და გამოვიქექი.

— ვერ გაბედე, გეოქება — მიყვარხარო?

— ვერა. გამომეკიდა, დამეწია და დაუთხრებით გამიმეორა — რა გჭირსო (მე

მეონი, ხვდებოდა, რაც მჭირდა; ჩემი აზრით, ყველა ქალი გრძნობს)? როგორც იქნა, ვუთხარი, — მიყვარხარ-მეთქი. — მერე, რა მოხდაო?! როგორ ვითხრა... აი აქ, შიგნით, ყველაფერი ჩაძვალა, იმწუთას დამთავრდა ჩემი სიყვარული. გადარეულივით გამოვიქექი. ისე მოვბოდი — მანქანებს ვასწრებდი...

— აღარასოდეს გინახავს?

— მერე დავმეგობრდი, სიცლით ვიხსენებდით მომხდარს და ბოლოს, თავის ქორწილშიც კი დამპატიყდა.

— მიხვედი?

— რა თქმა უნდა!.. ძალიან ბევრი სასიყვარულო თავგადასავალი მქონია. ალბათ ერთი უზარმაზარი წიგნი დაიწერება. არა — ორი ტომი, არა, ბევრად მეტი!..

— სურვილი არ გაქვს შენი რომანები შენვე აღწერო?

— ამის სურვილი ბევრჯერ გამიჩნია. საკუთარ ამბებს რომ ჩაუჯდები, მეონი, კარგი რამე უნდა იყოს; თან, ჩემი მეგობრების რომანების შესახებაც ბევრი რამ ვიცი, თუმცა, მარტო ჩემიც მეყოფა. ყველა წვრილმანი შემთხვევა გავიხსენო — შეგრძნებები, ტკივილი, სიხარული... ქალთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა. მთავარია, შენი გრძნობების კულტივირება შეგეძლოს, თვითკონტროლი ისწავლო. მე ამას თანდათან მივხვედი...

— საკუთარ თავზე კონტროლს ხშირად კარგავ?

— თავიდან — კი, მაგრამ მერე მაინც მიჩნდება ხოლმე თვითკონტროლის სურვილი და უნარი. არადა, კარგია, როცა დაფრინავ, ოღონდ — მიწაზე რომ ეშვები, ხვდები, რომ ზღაპარი მაინც მთავრდება...

— მალხაზ, რომელიმე სასაცილო ამბავი შეგიძლია გაიხსენო?

— ჩაქეში სამ მეგობართან ერთად წავედი დასასვენებლად. შესანიშნავი კოტეჯი გვქონდა, პირდაპირ ფანჯრიდან გადავდიოდით ზღვაში. კარგად ვერთობოდით, მაგრამ ერთი რუსი გოგო მომეწონა და დაეჩაღიჩი. უამრავი რუსი ისვენებდა ჩაქეში, მე კი ის მომეწონა და, რა თქმა უნდა, კოტეჯში მივიპატიყე, ბიჭებმა მითხრეს — დროზე ქენი, ჩვენც უნდა მოვიყვანოთ ქალებიო. რადგან მკაცრად ვიყავი გაფრთხილებული, სუფრა კი გავაწყვე, მაგრამ სუფრისთვის აღარ მცხელოდა და პირდაპირ „საქმეზე“ გადავედი. „გაგანია“ ჩალიჩში ვარ და...

— ქართველი ხომ არ აღმოჩნდა?

— არა — ძიულოისტი. ისეთ ნოკაუტში ჩამავლო, ორ საწოლს შორის აღმოვჩნდი გამშლართული. კარგა ხანს ვერ მოვედი

აზრზე...

— თავიდანვე ვერ შეამჩნიე, სპორტსმენი რომ იყო?

— მსგავსი არაფერი ეტყობოდა... მოკლედ, სამხელ გუნებაზე დავდექი: რა ბელი მაქვს? — ამდენ ქალებში, მაინცდამაინც ძიულოისტი რაღა მე გამეჩინა-მეთქი?! — გამწარებული ვავიძახდი. ეს კი არა, სხვა დროს და სხვა ქალაქში მე და ჩემმა ძმაც ძალიან ლამაზი გოგოები შევნიშნეთ, ჩვენზე უფროსები იყვნენ. თითქოს ვავაბით კიდევ მშვენიერი „ბაწარი“, მაგრამ მალევე „გავგიჟდა“: ფოტოები გვანახვეს და პოლიციის პოლიკონსიკები არ აღმოჩნდნენ?! „პავონებმა“ ისე დავგაფრთხო, ვერევე „დავახვიეთ“. ისინი გვეძახდნენ: **НЕ БОЙТЕСЬ РЕБЯТА**-ო, მაგრამ ჩვენ მაინც ავითესეთ — შეგვეშინდა.

— რისი შეგეშინდა?

— რა ვიცი, პოლიკონსიკი ქალების მოსიყვარულების სურვილი დაგკარგეთ... სხვათა შორის, ვაგრა ძალიან ტკბილად მახსენდება. ულამაზესი გოგო, მისი ჩამოსვლის დღესვე გავიცანი. არადა, აფხაზები ახალჩამოსულებს ხელიდან არ უშვებდნენ. ვატყობდი, როგორ შურდათ ჩემი, იმიტომ, რომ სულ სხვადასხვა ქალთან მხედავდნენ ხოლმე და ასე, სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა...

— სამი თვე ზღვაზე რა გინდოდა?

— ასე მოხდა. ფული როგორ მეყო — დღესაც რომ ვფიქრობ, ვერ გამოვიგა... თუმცა, მაშინ სიიაფე იყო... ერთი სიტყვით, ის გოგო ვერევე მიიპატიყეს აფხაზებმა. მეც თვალებით დავეკონტაქტე. გოგომ მანიშნა — გამოდიო. — ის აფხაზები დაითხოვა; სამშვიდობოს რომ გავედით, მოტრიალდა ჩემკენ და რატომღაც ორივეს სიცლი აგვიტყდა. პირდაპირ მოვიდა და მითხრა — ნატაშა. — მეც წელში ვავიძარო — მალხაზი მქვია-მეთქი... მართლა შესანიშნავი დღეები გავატარეთ მე და ნატაშამ.

— მხოლოდ დღეები?

— (იცინის) დამეხიცი, მაგრამ ერთ დილას, გავიღვიძე და ბიჭოს! — გვერდით აღარ მიწევს. იმ დღეს მიემგზავრებოდა და უნდა გამეცილებინა, მაგრამ არ გამაღვიძა და ასე, გამოუშვდილებლად წავიდა. ვერაფერი ვაფიქვ. არადა, ვაგონის ნომერიც არ ვიცი, ვიფიქრებ ვავვარდი, მანქანა ვერ ვიშოვე და ფეხით ვირბინე სადგურამდე. მივედი და... გვეციები, ფილმის სიუჟეტი იყო...

— ბოლო ვაგონს მოჰქარი თვალი?

— არა, წუთი წუთზე უნდა დადრულიყო. დავრბივარ, ვვირი — ნატაშა, ნატაშა!..



ეკა კახიანიანთან ერთად



„ძილის წინ“ დასრულდა და არაფერს უწყის, ოდესმე გაგრძელდება თუ არა...

რომელიმე ვაგონიდან ჩამოვიდა. ის იქიდან გამოდის, მე აქედან და გადავხვიეთ ერთმანეთს. იყო ერთი ტირილი, მსურველად დამშვიდობება... ვაიდა ხანი და მოსკოვში რომ ჩავიდა, დაუბრუნა, მაგრამ შეხვედრას უარი მითხრა.

— რატომ?

— *Это был летний роман*-ო, — მითხრა...

— ყველაზე მეტად, ქალში რას აქცევს ყურადღებას?

— იცი, ჩემში, როგორ ხდება? ვნება მკარანახობს, რომ ეს ადამიანი ჩემია და ლოგინი იქნება, მეგობრობა თუ შემდგომი ურთიერთობა, ვიცი, რომ კარგი იქნება. საერთოდ, ძალიან მიყვარს ურთიერთობის ამენება — კენჭს კენჭზე ვაწყობ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ამენებულად დამინერვივია.

— ბევრჯერ?

— სამწუხაროდ, ბევრჯერ მომაყენეს ტკივილი. ალბათ, მეც მივაყენე. რა ვიცი — ცხოვრება ასეთი, თორემ არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო ან მე მეტკინოს. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. ერთხელ მქონდა ოჯახი შექმნილი, პოლა, ტკივილს და ასეთ რამეს უფრო სხვა პასუხისმგებლობით ვეკიდები. დღეს ნამდვილად სხვანაირი ვარ, სულ ვფიქრობ — რამე არ შემეშალოს. ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან — ასე მიჩვევია...

— კარგა ხანია თავგადაპარსული დადიხარ. თავგადაპარსულ ქალთან თუ გააბამდი რომანს?

— იმ ქალებს, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, რატომაც ყველას თმის პრობლემა აწუხებს — ვერაფერს უხერხებენ ვარცხნილობას და ყოველდღე იცვლიან. მე კიდევ, თავისუფალი ადამიანი უფრო მხიბლავს,

რომელიც არ არის დაკომპლექსებული... მთავარია, ვნებიანი იყოს. აზროვნებდეს და რაც მთავარია, გრძობებში იყოს თავისუფალი. სხვათა შორის, ადრე ღონიერი ტიპით ბოლომდე ვაგრძელებდი ბრძოლას. მერე მივხვდი, რომ არ უნდა ინერვიულო. რადგან ნერვიულობას კარგი არაფერი მოაქვს.

— ვიცი, რომ ამჟამად მანქანა აღარ გყავს, მაგრამ გულახდილად მითხარ: მანქანაში თუ მისცემიხარ სიყვარულს?

— ძალიან განვიცდი უმანქანობას. რამდენიმე ხნის წინ, ჯერ პოლიციელები დამეჯახნენ, მერე, ორი დღის შემდეგ, საჭე ვერ დავიმორჩილე (რალაც ნაწილი მოსტყდა) და მტკვარში ვვარდებოდი; მოაჯირმა მიშველა და იმ მანქანამაც, რომელსაც დავეჯახე. ისეთ დღეში ჩავვარდი!.. ვინმე ხომ არ მოკვალა-მეთქი? — ვიფიქრე. კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ. არ გამაკეთებინეს თავანთი მანქანის რემონტი, უფრო სწორად, არ მაყიდებინეს, თორემ ნაღდად საყიდელი იყო. ჩემი მანქანაც გადასაცემი გახდა. ხელოსნებს ჩავაბარე და ნაწილებად გაყიდეს. ისე, იმ პოლიციელებს არც მე გავარემონტებინე მანქანა, — ახალგაზრდები იყვნენ და... მე რომ დავარტყი, იმ ბიჭებმა აქეთ მომიარეს, გასაოცარი სითბოთი მომეცნენ...

— პოპულარობამ გიშველა?

— ალბათ. ახლა, ქუჩაში ფეხით რომ დავდივარ, ყველა მაჩერებს... ძნელია უმანქანობა. თან ძალიან მიყვარს ქალაქკარეთ მანქანით გასვლა. ამ დღეებში ნათესავთან მანქანით არავისაბირას ვიყავი და მართლაც კარგად დავისვენე.

— რატომ არ მპასუხობთ — მანქანაში თუ მისცემიხარ სიყვარულს?

— რატომაც არა?! ყველგან შეიძლება ამის გაკეთება, თუ, რა თქმა უნდა, ქალს შენდამი ისეთი გრძობა აქვს, რომ ყველაფერზე წამოვა...

— ასეთ სიტუაციაზე არაფერს გაიხსენებ?

— მთლად მანქანაში არ მომხდარა, რასაც ახლა ვიამბობ, მაგრამ მანქანასთან მაინც არის კავშირი. მართალი ვითხრა, ერთადერთხელ აღმოვჩნდი ამგვარ სიტუაციაში და აღარასოდეს გავიმეორებ. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში, სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი — მიტოვებული ვიყავი და თავს ძალზე ცუდად ვგრძობდი. ჩემს სახლთან ახლოს ბარი იყო და უზომოდ ბევრი არაფე დავლიე. მთვრალს არ მიყვარს საჭის მართვა, მაგრამ რადგან სახლთან ახლოს ვიყავი, ერთი გოგოც გავიყოლე, რომელიც ბარში გავიცანი. რამდენიმე მეტრი გავიარე, სახლთან გავჩერდი. მოვიხედე და გოგო არსად ჩანს. ვფიქრობ: ხომ იჯდა ჩემ გვერდით-მეთქი? არადა, სახელიც არ ვიცი, რომ დავუძახო. ჩემს სახლთან, ჩასასვლელი კიბე იყო. ისე ახლოს გამიჩერებია, მანქანიდან რომ გადმოსულა, არ დავორებულა?! ვუძახი — ეე, სადა ხარ? — აქა ვარო, — მომესმა ქვემოდან... მოკლედ, დილით ვიღვიძებ და თავი მისკდება „პანხმელიისგან“. — უზარმაზარი თავი მაბია, მაგრამ იმას რომ შევხედე, თავის ტკივილი კი არა, კინაღამ გული გამისკდა. ვერ გავიხსენე, საიდან, რანაირად მოხვდა ჩემ გვერდით, ჩემს ლოგინში ან — ამასთან როგორ ვიჩაღიჩე-მეთქი?! ამასობაში, ჯერ მისი დანახვით გამოწვეული ელდა არ გამნელებია, რომ მეუბნება — ფეხი მაქვს მოტეხილი. ამის გაგონებამ სულ გამომაშტერა. კეთილხერ: ჩვენ შორის რამე მოხდა, „საქმე“ კქენით-მეთქი? — კიო... ალბათ ისიც მთვრალი რომ იყო, ტკივილს ვერ გრძობდა... მართალია, საშინელი შესახედავი იყო, მაგრამ მაინც შევთავაზე დახმარება, ექიმთან წაყვანა. მე თვითონ მივხედავ ჩემს თავსო, — მითხრა... ახლა ვფიქრობ — ამასთან ერთად როგორ გავიდე სახლიდან? — რომ დამინახონ, ვის გადავეყარე, რას იფიქრებენ-მეთქი?!

— ხელში ატატებული ხომ არ გაიყვანებ?

— არა. კუთხარი — როგორც ვინდა, ისე წადი, ოღონდ ჯერ შენ ვადი და მანქანით წაგიყვან-მეთქი. შემეცოდა და წავიყვანე. რაც მართალია — მართალია: ფეხმოტეხილ და თანაც, შეუხედავ ქალთან, ერთადერთი ღამე გავატარე, მაგრამ მეპატებია — უგონოდ მთვრალი ვიყავი (იცინის)...



# „ჩემი მეგობრები აინიშნავენ ხოლმე – სექსუარუიარ გამოიყოფილი...“

ნიკო ქავასიძე

ზურა და ლელა ყოფილიყების დიდი ოჯახი საბურთალოზე ხილანის (ახლანდელი ჩიქოვანის) ქუჩაზე, ოთხოთახიან ბინაში ცხოვრობს. კარს შეაღებთ თუ არა, პატარა ღერეფის გავლის შემდეგ, უშველებელ მისაღებში აღმოჩნდებით. ხელმარჯვნივ სამზარეულოა, სადაც ოჯახის წევრები ღროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. მისაღებში ანტიკვარული ბუფეტი, ანტიკვარული ლამაზჩუქურთმიანი ღივანი და ერთიც სხვა ღივანი დვას სავარძლებით. მისაღების ერთი კუთხე კომპიუტერისთვის მიუჩენიათ. როგორც კრისტომ მითხრა, ინტერნეტში „ძრომიალი“ ყველაზე მეტად გიორგის (მეუღლეს) და დედამისის ჰყვარებიან. სამზარეულოს, კრისტისა და გიორგის საძინებელი ემიჯნება. ეს ერთადერთი ოთახია, რომელიც კრისტის თავისი გემოვნებით მოუწყვია. მისაღებიდან ღერეფნით სახლის მეორე ნაწილში გადაიხარ. ხელმარცხნივ კრისტის დედამთილ-მამამთილის საძინებელი ოთახია, ხელმარჯვნივ კი – ლენუკას (გიორგის და), მისი შვილის – ნიკუმას და ბების – ქალბატონი ჰერას სამფლობელოა. სხვათა შორის, ეს სახლი ზურა ყოფილიყის სიღერის – ჰერა გოცირიძის საკუთრებაა. ის პროფესიით არქიტექტორი და მოდელიერი გახლავთ და ამიტომ, თითქმის ყველაფერს მისი ხელი ატყვია. ორი წლის წინ, სწორედ მისი გემოვნებით გაუკეთებიათ რემონტი. კრისტის ამ სახლში ყველაზე მეტად დიდი აივანი მოსწონს, რომელიც ზოპარკს გადაჰყურებს. მოდელი საკუთარი ოთახის დიზაინს ხშირად ცვლის – ეს ძალიან კარგ განწყობაზე მყენებს და ყველანაირ სტრესს მიხსნის, – მითხრა კრისტომ.

– ფეხმძიმედ ვიყავი, როდესაც სახლში რემონტის გაკეთება გადაწყვიტეს. ოთახები მანამდე სხვანაირად იყო განლაგებული და ქალბატონმა ჰერამ შეცვალა მათი მდებარეობა. მას კარგი, დახვეწილი გემოვნება აქვს. მე და გიორგის გვინდოდა, ჩვენის ოთახის კედლები ლურჯი ყოფილიყო, მაგრამ

ეს აზრი არავის მოეწონა – ცივი ფერია და მალე მოგებზრდებათო. ბოლოს მაინც ლურჯზე შევჩერე არჩევანი, ოღონდ იასამინისფერში გადადიხ... კარ-ფანჯარა თეთრად შევღებეთ, ფარდები კი – ლურჯი ფერის შევარჩიე. ყავისფერი საძინებელი გარნიტური უკვე აღარ მომწონდა და გადავადებას ვაპირებდი. მერე მოვიფიქრე – ძველი ავეჯის გადაღება მოლაშა და მოდი, მეც ვცდი, როგორი გამოვა-მეთქი. ავეჯი ღია ყვითლად გადავღებე და როგორც ხედავ, საკმაოდ ეფექტურიც გამოვიდა.

### – ჰერაში დაკიდებულ ამ უშველებელ ბურთს რა დანიშნულება აქვს?

– ეს ბურთი იაპონური „წარმოშობისა“ – ბრინჯის ბურთს ეძახიან. გიორგის დეიდამ კვიპროსიდან საჩუქრად ჩამოგვიტანა. ყველანაირ დიზაინს უხდება და ძალიან მომწონს. რადგან ამ ოთახში ბავშვსაც უნდა ეცხოვრა, მინდოდა, ინტერიერი მხიარული ყოფილიყო და მგონი, ასეთიც გამოვიდა... ნატალის საწოლიც ჩემი გემოვნებით გავაკეთებინე ხელოსანს – ჯერ ნახაზები გავაკეთე, მერე დავახატე კიდეც საწოლი და ხელოსანს ვაჩვენე – აი, ზუსტად ასეთი საწოლი მინდა-მეთქი.

ამ საწოლში (და არა მარტო იქ – კომოდის და გარდერობის თავზეც) ახლა ნატალის სათამაშოებს დაუდია ბინა. მისი საყვარელი სათამაშო, ბანანია. კიკის (ნატალი ასე ეძახის დედას) საყვარელი ნივთები კი მობილური ტელეფონი, ტინიჯერული ბლოკნოტი, რომელსაც ყდაზე წითელი გული აქვს გამოხატული და ვერცხლისფერი პორტსივარი ყოფილა. ხელჩანთაში ამ ნივთებს გარდა, უშველებელი საფულეც უდევს. საფულეში კი „საპატიო“ ადგილი გიორგის და კრისტის ქორწინების ფოტოსურათს უკავია.

ზურას გარდა, ოჯახის სხვა წევრებს სამზარეულოში შეკრება და საუბარი ჰყვარებიან. გადაღებიდან და რეპეტიციიდან დაბრუნებული, გადაღლილი მსახიობი კი საკუთარ ოთახში ჩაკეტვას და ტელევიზორის ყურებას აძვირებენ. სამზარეულოში ან მისაღებში ამოჩემებული ადგილი არავის აქვს.

ერთადერთი კრისტია, რომელიც სამზარეულოში თურმე ყოველთვის კუთხეში ჯდება –



...ანტიკვარული გახტი და ბუფეტი კივეში სერგო ფარაჯანოვის დახმარებით უყვია

იქ, სადაც ტელეფონი დევს. – ძალიან მიყვარს ტელეფონზე საუბარი და ჭორაობა. გარდა ამისა, უამრავი ადამიანის ტელეფონი ზეპირად ვიცი. ნაცნობები სულ მე მირეკავენ და მთხოვენ: ამა და ამ კაცის ტელეფონის ნომერი მოგვეცი, გემახსოვრებაო. ჰოდა, ასეთი მახსოვრობის გამო სააგენტოში (სააგენტო „ნატალი“) „კრისტის კომი“ შემარქვეს – სიცილით მითხრა კრისტომ. მისივე თქმით, ოჯახის წევრებიდან ყველაზე დახვეწილი და განსხვავებული გემოვნება მაინც ქალბატონ ჰერას აქვს:

– მას ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვს და როდესაც რაიმეს ვიკერავ, ყოველთვის მის აზრს ვითვალისწინებ. ეს დაღესტნური თუნგები და სხვა არაერთი ორიგინალური ნივთი სწორედ მისი შეძენილია. ანტიკვარული ტახტი და ბუფეტი, კივეში სერგო ფარაჯანოვის დახმარებით უყვია. პიანინოც მისი დახმარებით შეუძენია, როდესაც ფარაჯანოვი კივეში მოღვაწეობდა. ასე რომ, სამივე ნივთი ისტორიულია... ძალიან მომწონს ანტიკვარული ავეჯი და დიდი სიამოვნებით დავდამ საკუთარ სახლში, თუკი ოდესმე ამის საშუალება მექნება...

### – რადგან საუბარი საკუთარ სახლზე ჩამოვარდა, გკითხავ – როგორ სახლზე ოცნებობ? როგორ მოაწყობდი მას?

– საერთოდ, ძალიან მიყვარს, ყველა ნივთი ერთი ხელის გაწვდენაზე რომ დევს. მაშინ ძალზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. არ მიყვარს ავეჯითა და ზედმეტი ნივთებით გადატვირთული ოთახები. სივრცე მიყვარს, პატარა ოთახებში თითქოს სუნთქვა მიჭირს. ძალიან მინდა, კერძო სახლი მქონდეს, მაგრამ თუ კორპუსში შევიძენ ბინას, აუცილებლად დიდი აივანი. მიყვარს აივანზე მეგო-



ბრებთან ერთად ჯდომა და ჭორაობა... აუცილებლად გაეკეთებდი ბუნარს (დედაჩემს აქვს ბუნარი და კარგად ვიცი მისი ხიბლი) და თუ საშუალება მექნება – აუზს... მისაღებში სამეულს დავდგამდი, ჟურნალების პატარა მაგიდას და უშველებელ ტელევიზორს. კარადებს კედლებში ჩავაშენებდი, ისე, რომ უცხო თვალისთვის შეუძნელებელი დარჩენილიყო. რაც მთავარია, სამზარეულოს მოვაწყობდი კომფორტულად, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი და სალათების კეთება. მრავალნაირი სალაათის მომზადება შემიძლია, რის გამოც ზურამ სალათების დედოფალიც კი შემარქვა... პრეტენზიული მჭამელი არც მე ვარ და არც გიორგი. ხინკალი მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, როგორ კეთდება და არც არასდროს მიცდია მისი გაკეთება. გიორგისაც ეხერხება სადილის მომზადება. როდესაც საჭმელი არ არის, შეუძლია, თვითონვე მოამზადოს და მიირთვას. ერთხელ ისეთი გემრიელი აჯაფსანდალი გააკეთა, რომ თითებს ჩაიკვნეტით...

**— ეს რაც შეეხება გასტრონომიულ გემოვნებას, ახლა სამკაულებსა და მაკიაჟზეც მიიხიბვები?**

— სამკაულები და აქსესუარები მაინცდამაინც არ მიყვარს. ქორწინების ბეჭდს ყოველთვის ვატარებ, მაგრამ საყურეებს და სხვა სამკაულს — იშვიათად. ყოველდღიურად მკვეთრი, მყვირალა მაკიაჟის გაკეთებაც არ მიყვარს. არც სახის კრემს ვხმარობ. ძალიან მიყვარს ტანის

მკვებავი ლოსიონი, რომელსაც აბაზანის შემდეგ ვისვამ. რაც შეეხება ჩაცმას — არავის გემოვნებას არ ვენდობი და ყოველთვის თავად ვწყვეტ, რას ჩავიცვამ და რას — არა.

**— ჩაცმულობის როგორი სტილი მოგწონს?**

— სპორტული და ამიტომაც ჩემს გარდერობში ჯინსი ჭარბობს — ჯინსის „კურტკა“, ბოლოკაბა, შორტი. ჯინსი ძალიან პრაქტიკულია და ამიტომ მომწონს. მთავარია, ხარისხიანი ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი მეცვას.

**— როგორ ადამიანზე იტყვი, გემოვნებით აცვიოა? ვინც თავისი ჩაცმულობით ხაზს უსვამს სხეულის სილამაზეს?**

— იდეალური ტანი არავის აქვს, არც მოდელს. ყველა ქალს აქვს ნაკლი და უნდა ეცადო, როგორმე ეს ნაკლი ტანსაცმლით დაფარო. იმას არ ვგულისხმობ, რომ ვულგარულად და გამაღიზიანებლად ჩაიცვა და ამით მიიქციო ვინმეს ყურადღება. ყოველდღიურად არც ზედმეტი მაკიაჟია მიღებული. ვინც მე ბოტასში და ჯინსში გამოწყობილსაც მხედავს და პოდიუმზეც, ყველას უკვირს — ცხოვრებაში სხვანაირი ხარ და პოდიუმზე — სულ სხვანაირი. ქალი, მით უმეტეს, მოდელი, ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, მთელი დღის განმავლობაში, მაღალ ქუსლებზე იდგე და სადამოს კაბა გეცვას. სად რა უნდა ჩამეცვა, ამას ბავშვობიდან მასწავლიდნენ. დედაჩემი არასდროს მაცმეველა კაბას, რომელიც არ მიხდებოდა ან ჩემს ასაკს არ შეეფერებოდა. ვცდილობ, ნატალისაც გემოვნებით ეცვას. არ არის აუცილებელი, ძვირად ღირებული კაბა ვუყიდო, მთავარია, უხდებოდეს. ალბათ ჩემი ბრალიც არის, რომ ჩაცმასთან დაკავშირებით უკვე პრეტენზიები გაუჩნდა. ამ ზაფხულს სურამში ვიყავით დასასვენებლად და ვიფიქრე, აქ ახალ ტანსაცმელს მაინც გააფუჭებს, ძველს ჩავაცვამ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად... ერთი ამბავი დამაწია: კიკი, ეს არ მინდა, ცუდი კაბაა, „ბენეტონის“ მაიკა ჩამაცვიო. ერთხელ მოსკოვიდან მე და გიორგიმ ძალიან ლამაზი


საფულეში კი „საპაგო“ ალგელი გიორგის და კრისტის ქორწინების ფოტოსურათს უკავია



ფესსაცმელი ჩამოვუტანეთ. ჩაიცვა, შეხედა, როგორი იყო ფეხზე და შეაფასა: კიკი, „ბაჩი“ კაია, მომწონს... ამას წინათ კი, ჩემმა მეგობარმა ამერიკიდან უამრავი ტანსაცმელი გამოუგზავნა. ნატალი საჩუქრებით აღფრთოვანდა, ყველაფერი მოიზომა. დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ და ბოლოს გვითხრა: მიყურეთ, „პაკაზი“ მაქვს... ეტყობა, ჩვენგან გაიგო ეს სიტყვა და დაიმანსოვრა... მოკლედ, ნატალის თანდათან ეხვეწება გემოვნება...

**— კრისტი, გიორგიც სპორტულ სტილს ამჯობინებს. რამდენად ემთხვევა თქვენი გემოვნება ერთმანეთისას?**

— ჩემს გარდეროში შავი, თეთრი და წითელი ფერის ტანსაცმელი ჭარბობს. თეთრის ჩაცმა ძალიან მსიამოვნებს, განსაკუთრებით, გარუჯვის შემდეგ. რაც შეეხება „კუპალინკებს“ — ყოველ ზაფხულს ახალს ვყიდულობ. ამ დღეებში ზღვაზე ვაპირებთ წასვლას და უკვე შევიძინე ორი „კუპალინიკი“ — ერთი შავია, მეორე — ცისფერი, ყვითელი ყვავილებით მოჩითული. გიორგიც ჩაცმისას, სპორტულ სტილს ამჯობინებს. იშვიათად თუ ჩაიცვამს კოსტიუმს, არ უყვარს... ყოველთვის მოსწონს ჩემი ნაყიდი ტანსაცმელი, ყოველ შემთხვევაში, შენიშვნებს არ მაძღვეს, ბაზრობაზე ერთადაც წავსულვართ ტანსაცმლის შესაძენად, მაგრამ მისთვის მხოლოდ ჩემი გემოვნებით იშვიათად მიყიდა რამე.



ეს ბურთი იაპონური „წარ-მოშობისაა“ — ბრინჯის ბურთს ემახიან



თვითონ გიორგიმ კი ერთხელ, ძალზე ორიგინალური ქურთუკი მაჩუქა. ეს იყო 31 ლექსი. გიორგი სახლიდან დილით გავიდა და გვიანობამდე აღარ გამოჩნდა. ძალიან გავბრაზდი – უამრავი საქმე მქონდა, სალატებს ვაკეთებდი და თან ბავშვიც მე მყავდა დატოვებული. საღამოს, გიორგი რომ მოვიდა, – ეს შენიაო, – მითხრა და რაღაც შეფუთული გადმომცა. იმდენად გაბრაზებული ვიყავი, ლამის ვუყვირე – ეს რაღაა-მეთქი? პარკში აღმოჩნდა ქურთუკი, რომელსაც ძალიან საინტერესო, ორიგინალური დიზაინი აქვს და დიდი მოწონებაც დაიმსახურა...

**— გიგვარს, საჩუქრებს რომ გიძღვნიან?**

– რა თქმა უნდა! ისიც ძალიან მსიამოვნებს, სხვა რომ მჩუქნის რაიმეს და ისიც, მე რომ ვჩუქნი. სხვათა შორის, ძალიან ვნერვიულობ ხოლმე, როდესაც ვინმესთვის საჩუქრის შერჩევა მიწევს. ვშიშობ – ვაითუ, არ მოეწონოს და ზრდილობის გამო მითხრას: მომეწონაო? ამიტომ რაღაც გზებით და საშუალებებით ყოველთვის ვიკვებ, ვის რა მოსწონს, რა გაუნარდება და მერე იმის მიხედვით ვყიდულობ საჩუქარს; ამ შემთხვევაში ჩემსას კი არა, მის გემოვნებას ვითვალისწინებ...

**— შენ თვითონ რისი მორთმევა გაგინარდება? თანაც, თვის ბოლოს, დაბადების დღე გქონია...**

– უნდა ვაღიარო – ყველაზე მეტად მიხარია, პარფიუმერიას რომ მჩუქნიან... ეს ჩემი სუსტი წერტილია...

**— ვარცხნილობა?**

– ყოველთვის გრძელი თმა მაქვს. 5 წლის წინ მქონდა შეჭრილი – „კარე“ – მოკლე „ჩოლოკით“ და დავიტანჯე... ლამის ყოველდღე სილაშაზის სალონში ვიჯექი თმის დასავარცხნად. გრძელი თმა იმიტომ არის კარგი, რომ ათასნაირ ვარცხ-

ნილობას იკეთებ. ამ ზაფხულს მაგალითად, უამრავი წვრილი ნაწნავი მქონდა და ძალიან მომწონდა. თუმცა უფრო ხშირად, მაინც გაშლილ თმას ვატარებ.

**— როგორი სურნელი მოგწონს?**

– ტკბილი სურნელი უფრო მიყვარს და კიდევ – ერთი ჩვევა მაქვს – არასდროს არ ვყიდულობ მეორედ იმ სუნამოს, რომელიც უკვე მქონდა.

**— კრისტი, ოდესმე თუ გაგიოცებია ვინმე შენი ჩაცმულობით?**

– ყოფილა ასეთი შემთხვევაც. როდესაც რაიმე განსაკუთრებული მაცვია, ჩემი მეგობრები აღნიშნავენ ხოლმე: დღეს ძალიან კარგად, სექსუალურად გამოიყურებიო...

**— მერე, გიორგი რას გეუბნება ხოლმე?**

– რაშია საქმე? რაღაც ძალიან გამოპრანჭული ხარო...

**— გიორგი ერთი პერიოდი, ულვაშს რომ ატარებდა, როგორ შეეგუე ამას — მოგწონდა?**

– სულაც არ მომწონდა და ვეუბნებოდი: არ ვიხდება, ულვაშში აგრესიულ და მკაცრ გამომეტყველებას გაძლევს-მეთქი, – მაგრამ სწყინდა... თვითონ მგონი, მოსწონდა. ასაკს მმატებსო, – ამბობდა. ახლა „ცხელ ძაღლში“ რომ თამაშობს, სულ გაპარსული უნდა იყოს და ეს ძალიან მიხარია. მინდა, გადაღებები დიდხანს ვაგრძელებს...



გიორგი ჩაცმისას, სპორტულ სტილს ამჯობინებს. იშვიათად თუ ჩაიცვამს კოსტიუმს, არ უყვარს...

**— დაბოლოს, თქვენი მუსიკალური გემოვნების შესახებაც მიიხარო რაიმე?**

– ამ საკითხში ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა – ორივეს, ჯაზი გვიყვარს. საერთოდ, ძალიან მიყვარს მუსიკაც და ცეკვაც. ჩემი მეგობრებიც და გიორგიც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე: თუ არ დავლიეთ, ისე ვერ ვიცეკვებთო. ზედმეტი სტიმულატორი სულაც არ მჭირდება იმისთვის, რომ ცეკვის ხასიათზე მოვიდე. საერთოდ, ვერ ვიტან სასმელს, ნატურალური წვენები მიყვარს. დისკოთეკაზე ვსვამ წვენს და ვეწევი სიგარეტს, არ მესმის ნარკომანების – რაში სჭირდებათ ნარკოტიკი, მაშინ, როცა შეიძლება, მუსიკას მოუსმინო, წიგნი წაიკითხო და ამით, უხეშად რომ ვთქვა, იკაიფო – ძალიან დიდი სიამოვნება მიიღო...



ეს დაღესტნური თუნგები და სხვა არაერთი ორიგინალური ნივთი სწორედ მისი შექმნილია

## სხვირილან თმის მოსაცილებელი აპარატი - NOSE TRIMMER



**NOSE TRIMMER** იდეალურია ცხვირიდან და ყურებიდან არასასურველი თმის მოსაცილებლად, და ასევე წარბების კორექციისათვის. ბევრად უფრო ეფექტური, უსაფრთხო და მოსახერხებელია, ვიდრე მაკრატელი. იგი თხელი, მსუბუქი და მგზავრობისას ადვილი სატარებელია. აქვს მბრუნავი ტიპის თხელი „ბრიტვა“, მუშაობს ჩვეულებრივ 1.5V AA ტიპის ელემენტებზე.

**NOSE TRIMMER** საშუალებას მოგცემთ ყოველთვის მოწესრიგებულად და კომფორტულად იგრძნოთ თავი საზოგადოებაში.

ფასი: 58 ლარი

## სხეულის სხიმიანობის ანალიზატორი - BODY FAT ANALYZER

როდესაც საუბარია ადამიანის სიმსუქნეზე, ხშირად გვაფიქვდება, რომ ამ დროს შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ორგანიზმში ცხიმიანობის შემცველობა. პოპულარულ ფორმულას - „სიმაღლე - 110 = იდეალური წონა“ - უკვე დიდი ხანია აღარ ენდობიან დასავლეთში, რადგან თითოეულ ჩვენგანს აქვს განსხვავებული: ქსოვილის სიმკვრივე, კუნთების მასა, ორგანიზმში წყლის შემცველობა, და რაც მთავარია, ცხიმიანობის პროცენტი.

სხეულის ცხიმიანობის ანალიზატორი არის ძალზედ კომპაქტური, სწრაფი და ზუსტი მოწყობილობა, რომელიც სუსტი ელექტრონული იმპულსების საშუალებით დაგეხმარებათ თქვენი სხეულის ცხიმიანობის პროცენტის დადგენაში. მისი უნიკალური ფუნქციების წყალობით შესაძლებელია, ზუსტად განსაზღვროთ ცხიმიანობის კოეფიციენტი თქვენს სიმაღლესთან, წონასთან, ასაკთან და სქესთან შესაბამისობაში და განსაზღვროთ თქვენთვის ინდივიდუალური, იდეალური ცხიმიანობის კოეფიციენტი, რომლის დროსაც თქვენს ჯანმრთელობას უკვე აღარ ემუქრება წონის მომატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადება.



ფასი: 58 ლარი

## ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV“




ელექტრონული ჭადრაკი "SABER IV" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა state-of-the-art საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი - თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ-სენსორული დაფა და თვითონ აადგილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადგილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ზომები: 210 x 188 x 22 მმ. კვება: 3x"AAA"1,5 V

ფასი: 125 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან შეგვიკვითეთ ინტერნეტშია - [www.shopge.com](http://www.shopge.com)-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა. [R]





ვალდარებ — მაქვს რაღაც განსაკუთრებული ნიჭი, წინათ-გრძნობა

აღბათ არ გაგაოცებთ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს ქალაქში ბევრი უცნაური ადამიანი დადის — აი, ისეთი, მორიდებით „თავისებურს“ რომ ვუწოდებთ ხოლმე. მათთვის აღბათ ჩვენ ვართ „თავისებურები“, რადგან ხშირად, არ გვესმის მათი. არადა, ამქვეყნად ყველას თავისი სიმართლე აქვს. ბატონი ნიკო ბორბიჯანიძე, როგორც მისი ძველი ნაცნობები ამბობენ, ასალგაზრდობაში არ იყო „თავისებური“; ჩვეულებრივი, სიმშაბათიური ყმაწვილი ყოფილა, ქალებშიც დადიოდა, ღვინოსაც გვახლებოდათ და საქმეკაცოშიც აღიარებული თამადის სახელი ჰქონდა — მოკლედ, ისეთი იყო, როგორც მისი თაობის ნებისმიერი წარმომადგენელი. მაგრამ ბოლო დროს... თუმცა, მე რატომ უნდა გითხრათ? — აი, წაიკითხავთ მასთან ინტერვიუს და დასკვნებს თავადვე გამოიტანთ.

# „ქმავებ წაყმავთ იუწყებთი სუქმ ჰვამ ქმხსუყყ“ ბნუ ვვლდა თაჰინ „რუხიკვხს“ პინაღოს

## ნანა კიბიშაური

— ბატონო ნიკო, როგორც მითხრეს, ამ ბოლო დროს, ცოტა უცნაური იდეები განუხებთ. როდესაც შეგიტყვიათ, რომ ჰეიდარ ალიევის გული ანუხებდა, განგიცხადებიათ, რომ მზად იყავით, თქვენი გული მიგეცათ მისთვის გადასანერგად. დიდხანს იფიქრეთ, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდით?

— ეს არ არის ნაუცბადევედ მიღებული გადაწყვეტილება, ორი დღე და ღამე ვიფიქრე ამის შესახებ და როცა დავრწმუნდი, სწორად ვიქცეოდი, ერთ ტელეკომპანიაში დავრეკე და ვაღიარე, რომ მსურდა, ალიევისთვის დონორობა გამეწია. შემდეგ დაუუკავშირდი აზერბაიჯანის საელჩოს, სადაც ყურადღებით მომიხმინეს და ჩემი გადაწყვეტილებით აღფრთოვანდნენ. შემპირდნენ, რომ თვითონ დამიკავშირდებოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით არავინ შემხმინებია. ეს გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ საქართველოს პატრიოტი ვარ და დიდი ფარსადან გორგიჯანიძის შთაბოძავალი.

— კი, მაგრამ ალიევის გული რომ აჩუქოთ, ამით საქართველოს პატრიოტიზმა რატომ გამოიხატება?

— ალიევი არის კაცი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობ-

სადენს საქართველოს ტერიტორიაზე გაეგლო. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, თქვენს შვილებს და მათ შთამომავლებს ცხოვრების უკეთესი პირობები ექნებათ. ალიევი რომ მოკვდეს, მისი შვილი გახდება პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში კი, არავინ იცის, რა ბედი ელის იმ პროექტებს, რომელიც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. აი, ამიტომ ვფიქრობ — როდესაც ალიევის ჩემს გულს ვთავაზობ, ამით სამშობლოსთვის ვწირავ თავს.

— თქვენი წინაპარი — ფარსადან გორგიჯანიძე ვინლა იყო?

— ნათელი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ: როსტომი (იგივე ხოსროვიანი), სიმონ პირველის უმცროსი ძმის, დავითის (დაუთ-ხანის) უკანონო შვილი, ირანში დაიბადა და გაიზარდა. 65 წლის იყო, საქართველოში რომ ჩამოვიდა, ქართლის სამეფო ტახტი დაიკავა; მის დროს, სამეფო კარზე ყიზილბაშური წეს-ადათი ვრცელდებოდა. ათი წლის ყოფილა ფარსადანი, როდესაც ის გორში უნახავს როსტომ მეფეს. მოსწონებია საზრიანი და გამრჯე ყმაწვილი და სასახლეში წაუყვანია. როსტომის კარზე აღზრდილ ფარსადანს იმდენად კარგად შეუსწავლია სპარსული ენა, რომ მას საგანგებო დავალებათა შესასრულებლად აგზავნიდ-

ნენ ხოლმე ირანში. 1656 წელს კი, შაჰ აბას მეორემ ფარსადანი, როსტომ მეფის წარდგინებით, სატახტო ქალაქ ისპაჰანის დარულად (მოურავად) დანიშნა. ფარსადანი იბულებული გამხდარა, მუსლიმანური სარწმუნოება მიეღო. სინამდვილეში, ფარსადან გორგიჯანიძე ისეთივე მუსლიმანი იყო, როგორც ბევრი მისი თანამემამულე, რომელსაც პოლიტიკური სიტუაციის გამო მოუხდა რჯულის შეცვლა და უცხოობაშიც მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა. და თუ დღეს, ვინმე ჩემზე იტყვის, რომ გიჟი ვარ, მას ვუპასუხებ: მე ისეთივე გიჟი ვარ, როგორც იყო ჩემი დიდი წინაპარი — ფარსადან გორგიჯანიძე.

— ცესკოს თავმჯდომარეობაც გინდოდათ თურმე და შესაბამისი უწყებისთვის განცხადებითაც მიგიმართავთ. გაფიცებთ, ერთი მითხარით — რისთვის გჭირდებათ ეს თანამდებობა?

— იმიტომ მინდოდა, რომ პატრიოტი ვარ! ვალდარებ — ამ პოსტზე წარდგენილი კანდიდატებიდან, ერთადერთი, ვინც ჩემზე ძლიერია, ვახტანგ ხმალაძეა. მას რომ გავპაექრობოდი, ეს იგივე იქნებოდა, მარადონასთან ფეხბურთი მეთამაშა. მაგრამ იცის კი ხმალაძემ, ეს რამხელა რისკი იყო?! შეიძლებოდა, მისთვის ეს-როლათ კიდევ. მე კი, ძალიან იღბლიანი

კაცი ვარ: რამდენჯერ მე, უკვე მესროლეს, მაგრამ გადავრჩი...

— ვინ გესროდათ?

— ჯარში პოლონეთში ვიმსახურე. ძალზე ცუდ პირობებში ვიმყოფებოდი. ბევრჯერ მიჭამია წიწვები და დამიღვია ჭაობის წყალი. არა რუსი ეროვნების ჯარისკაცებიდან, ბევრი ვერ უძლებდა ოფიცრების ზეწოლას და უსიერ ტყეში გარბოდა. ჩვენ კი ნაბრძანები გვექონდა, დავწოდით მათ და ადვილზევე ჩაგვეცხრილა. ჩვენს ნაწილს „ქიმიური ნაწილი“ ერქვა. ჩვენამდე არც ამანათი მოდიოდა, არც წერილი აღწევდა... გაქცეულ ჯარისკაცებს იარაღი ჰქონდათ და ისინი თავს იცავდნენ. დავინახავდი თუ არა მათ, იარაღს ავიყრიდი ხოლმე, ტანსაცმელს გავიხდიდი და ხელებაწეული, შიშველი ვიწყებდი ლაპარაკს... ვალიარებ — მაქვს რალაც განსაკუთრებული ნიჭი, წინათგრძნობა, რომლის წყალობითაც შემიძლია დავიმორჩილო ადამიანი. ეს ნიჭი მემკვიდრეობით მერგო დედისგან. სკოლაში დატანჯული ვიყავი — მაგალითად, ვიცოდი, რომელი ბავშვი როდის უნდა წაქცეულიყო კიბეზე... მართალია, იმ ჯარისკაცებს სიცოცხლეს ვუნარჩუნებდი, მაგრამ რამდენიმე მათგანმა მაინც მესროლა. ერთხელ, ტყვია ჩემის ქუსლში გამეჭვდა... სიმართლე გითხრათ, სიკვდილის შიში ნამდვილად არა მაქვს, იმიტომ, რომ ერთხელ, უკვე გარდავიცვალე: კლინიკური სიკვდილი

გადავიტანე და არასოდეს მიგრძნია თავი უფრო კარგად, ვიდრე იმ წუთებში, როდესაც საიქიოში ამოვყავი თავი...

— ეს როგორ მოხდა?

— ჯარში მსახურობის დროს, ყოველ 6 თვეში ერთხელ, სისხლის ჩაბარებას გვაიძულებდნენ. ამას ისე მივეჩვიე, ერთი დღეც რომ არ ჩამებარებინა სისხლი, თავბრუს ხვევა მეწყებოდა. საქართველოში რომ ჩამოვედი, დროზე ვერ მიგაკითხე სისხლის გადასხმის ცენტრს და როცა მივედი, უკვე ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. სისხლის აღების პროცედურა როგორც კი დაიწყო, გრძნობა დავკარგე და ნელ-ნელა, ძაბრისებური გვირაბის წიაღში შევეცურდი. გვირაბის ბოლოს, ხალხი მიცდიდა. მათ ერთი ტანდაბალი კაცი გამოეყო და კარიბჭის შესასვლელთან გაჩერდა. ძალიან მინდოდა მასთან მიახლოება, მაგრამ ნელ-ნელა, ისევ „ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს“ დავუბრუნდი... ამ შემთხვევის შემდეგ, ოცი წელი იყო გასული, როცა მამაჩემი ავად გახდა და მთხოვა, მისი ყველა ნათესავი მომენახულეინა. შევესრულე ეს თხოვნა. ერთი შორეული ნათესავიც აღმოვაჩინე არსენალზე. ძალიან მოხუცებული იყო. გადმომიღო ძველი ფოტოსურათები და მათი დათვალიერებისას, ერთ ძალზე ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. ეს კაცი ვინ არის? — ვიცნობ, ნანახი მყავს, მაგრამ სად, არ მახსენდება-მეთქი, — კკითხე. გაიციინა: ნანახი როგორ გეყოლება ან სად გაიცნობდი?! — 1937 წელს დახვრიტეს; ჩვენი ნათესავია, თავის დროზე, კადეტთა კორპუსში მსახურობდა. კარგად დავაკვირდი და გავისხენე — „იქ“ მყავდა ნანახი, იქ, საიქიოში, მაგრამ ხმამალა არაფერი მითქვამს...

— დღეს ჩვენში შექმნილ მდგომარეობაზე რას გვეტყვი?

— ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი, უბრალო ადამიანები — აი, ისეთები, როგორებიცაა სავსეა დეზერტირების ბაზარი. ისინი, ვინც მეუბნებოდა — თუ ცესკოს თავმჯდომარედ არ ავირჩევნ, გაფუჭებულ პროლექტს, რომელიც დღის ბოლოს, ვაჭრობის შემდეგ გვრჩება, მთავრობის სახლსა და კანცელარიას დავუშენო...

— ამ ხალხთან ბევრ დროს ატარებთ ხოლმე?

— მე მისი ნაწილი ვარ. ამ ადამიანებზე ვწერ „რუბრიკებს“ (ბატონი ნიკო „რუბრიკებს“, თავის ჩანახატებს უწოდებს. — ავტ.). იცით,

რა ხდება იქ? ამას ვერასოდეს გაიგებთ, თუ მათთან ერთად არ დაყავით მთელი დღე, მათ გვერდით არ დაიძინეთ ან დამე სვედიანი ამბების მოსმენაში არ გაათითეთ, სადღაც ვაგზლის მოედანზე ან წერეთლის ბაღის სკამზე... ეს სხვა სამყაროა — სამყარო, რომელშიც დედა, შვილი, მამინაცვალი, გერი და ბიძაშვილები ნამდვილ ორგინებს აწყობენ ხოლმე, სადაც ოჯახის ყველა წევრი ალკოპოლიკია, სადაც უკიდურესი სილატაკეა და ადამიანები უბედურები არიან... მე არ გავუბივარ ამ სამყაროს, ნუთუ ამიტომ ვარ გიჟი?! ბევრმა მეგობარმა მიმატოვა; მათ ურჩევნიათ, რამდენიმე წლის წინ, სოჭში პატარა რუს გოგოსთან გატარებულ დამეხე საათობით ისაუბრონ, დალიონ, იტრაბახონ... ჩემგან ეს ყველაფერი უკვე ძალიან შორსაა. ჩემი გული იმ ტკივილიანი ეპიზოდებითაა დამძიმებული, რასაც ყოველდღიურად ვხედავ... და ვებე გზებს, თუ როგორ დავეხმარო ადამიანებს. როგორც შემიძლია, ისე ვეხმარები. სასოწარკვეთილ ადამიანებს ვასწავლი, როგორ შეიძლება იშოვონ ფული...

— საინტერესოა, ვინ და როგორ იშოვა თქვენი რჩევით ფული?

— ერთი ქალი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა, ერთ ლოთ კაცზე გათხოვდა. იმ ქალის ერთ-ერთი გოგონა, 12 წლის რომ გახდა, ძალადობის მსხვერპლი შეიქნა: ჯერ მამინაცვალმა გააუპატიურა, შემდეგ კი — მამინაცვლის შვილმა... მერე, სადგურის ქუჩაზე იდგა და 2 ლარად „ემსახურებოდა“ კაცებს. ერთხელ, წერეთლის ბაღში ვნახე ატირებული: ნიკო ბიძია, მითხარით, რა ვქნა? არ მინდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ არ ვიცი, სხვა ცხოვრება როგორ დავიწყო. ვურჩიე — იქნებ, სიგარეტის ბიზნესში ჩაბმა სცადო-მეთქი. დამიჯერა. ბაზრობაზე იაფად ყიდულობდა სიგარეტს და გარეთ რამდენიმე თეთრით უფრო ძვირად ყიდდა. შეაგროვა გარკვეული თანხა, ჯერ ტაბიის ქუჩაზე დაიქირავა ბინა, შემდეგ ვარკეთილში გახსნა სავაჭრო ფარდული. ახლა 19 წლისაა და უკვე კერძო საკუთრება აქვს. თუმცა, წარსულმა მაინც საშინელი კვალი დააჩნია — მამაკაცები ეზიზღება... ვიცნობდი კიდევ ერთ გოგონას. ცირკთან პირველად ქმარმა მოიყვანა თავისი მანქანით. ბავშვიც ჰყავდათ, მესამეკლასელი. იჯდა ქმარი მანქანაში და იცდიდა, როდის გამოუჩნდებოდა მის ცოლს კლიენტები... ერთხელ, ეს გოგო ძალიან ნასვამი შემხვდა. ნიკო ბიძია, გადავწყვიტე, ბავშვიც გადავავლო მტკვარში და მეც თავი დავიხრჩო. — ეს არ ქნა-მეთქი, —



ვებე გზებს, თუ როგორ დავეხმარო ადამიანებს. როგორც შემიძლია, ისე ვეხმარები. სასოწარკვეთილ ადამიანებს ვასწავლი, როგორ შეიძლება იშოვონ ფული...



# ბესტი ერუდიციაზე

1. რა გვარი იყო ტყვენი  
ყარალად გასული გოგია კან-  
კიხვილის შეფიცული ხარება:



- ა) ჯოლბორდი;
- ბ) ჯაოშვილი;
- გ) ჯიბუტი.

2. სიტყვა „კურორტი“  
გერმანული ენიდან მოდის.  
რას ნიშნავს მისი პირდაპირი  
თარგმანი?



- ა) დასასვენებელ ადგილს;
- ბ) ავადმყოფი ადამიანების თავშეყრის ადგილს;
- გ) სამკურნალო ადგილს.

3. რომელი მსახიობის  
ნაქონი ფენსაცხელი ეცვა  
მამუკა კიკაღვივილი სანროს  
როლში გადაღებისას?



- ა) სერგო ზაქარაიძის;
- ბ) ჩარლი ჩაპლინის;
- გ) მაიკლ ლუგლასის.

4. სადაურია წარმოშობით  
სუპერმოდელრალი შაპირა?



- ა) მექსიკელი;
- ბ) პერუელი;
- გ) კოლუმბიელი

ვთხოვე; შენ შევიძლია, ნულიდან დაიწყო ცხოვრება, იმიტომ, რომ შენ ეს ნამდვილად შევიძლია-მეთქი, — და ვურჩიე, „ურიკების ბიზნესი“ წამოეწყო. გავეყვი ქარხანაში და 50 ლარად ვაყიდვინე ერთი ურიკა. დეზერტირების ბაზარში აქირავებდა. მერე მეორე და მესამე ურიკაც იყიდა, ბოლოს კი, მისი საქმიანობა მართლა ბიზნესად იქცა: ახლა, დღეში 15-20 ურიკას აქირავებს. ამას წინათ, შემხვდა და თავისი საქმიანობის შესახებ მიაზო. საუბარში ისიც ახსენა, დეზერტირების ბაზრიდან ელიავას ბაზრობამდე 7500 ნაბიჯია — ჩემი ურიკები ამ გზაზე მოძრაობსო. წარმოგიდგენიათ? — ნაბიჯებიც კი აქვს დათვლილი! აი, ამიტომ ვამბობ — ის საცოდავი ქალი, ბავშვიანად მტკვარში გადახტომას რომ აპირებდა, ნამდვილ ბიზნესმენად იქცა-მეთქი... საკუთარი გამოცდილებით გეტყვით: ფულის შოვნა ძალიან ადვილია — მისი ხელში დაჭერაა ძნელი. ერთი ბიჭი იყო, ღარიბი, საწყალი. ყველა „მამადაღლოს“ ეძახდა. ერთ კაცთან მოეწყო საბუშაოდ და მოელაპარკა: ჯამაგირი წლის ბოლოს მომეციო. მთელი წელი ყველა, თავში ურასუნებდა „მამადაღლოს“; წლის ბოლოს, ვისთანაც მუშაობდა, იმ კაცმა გაუწოდა ფული და უთხრა: აჰა, შე მამადაღლო, გამომართვი შენი ფულიო. გამართვა ფული იმ ბიჭმა, წელში გაიმართა და უთხრა: ახლა მე ფული მიჭირავს ხელში; მამადაღლი შენა ხარ — მე უკვე აბღულა ვარო!.. მე არასოდეს მიჭირდა ფულის შოვნა, ჯარმიც კი ვახერხებდი ამას...

— როგორ ახერხებდი?  
— დარბაზში 1400 კაცი ეტეოდა. ამ 1400 კაცში გამოცანების გამოცნობაში ვატარებდი შეჯიბრს: ჯარისკაცი დარბაზში რომ შემოსულიყო, 10 ხლოტი უნდა დაედო; ვინც გამოცანას გამოიცნობდა, ფულიც მას რჩებოდა, თუ ვერ გამოიცნობდა — შეგროვილი ფულით წიგნებს ვყიდულობდი და ვურიგებდი.

— ბატონო ნიკო, თქვენ ხომ კეთილი გული გაქვთ — მეც მასწავლეთ, რა, ერთი-ორი ასეთი გამოცანა!..

— კარგი. ინგლისში ერთი სასტუმროა, „ასტორია“ ჰქვია. იმ სასტუმროში შევიდა სამი მეგობარი და პორტიეს ერთი ჩემოდანი ჩააბარა. შიგ ფულია. სანამ სამივე ერთად არ მოვალთ, ისე რომელიმე ჩვენგანს ჩემოდანი არ მისცეთო, — უთხრეს პორტიეს. ავიდნენ ზედა სართულზე ბილიარდის სათამაშოდ. მაგიდიდან ბურთი გადმოუვარდათ. გადაიხედეს აივნიდან და დაინახეს, რომ

პორტიეს ფეხებთან მიგორდა. გაიქცა ერთი ბიჭი ბურთის ასაღებად და ეუბნება პორტიეს — ჩემოდანი მომეციო. — არაო, — უთხრა პორტიემ. იმ ბიჭმა ასძახა მეგობრებს: თქვენც უთხარით, რა, არ მძღვესო. — მიეცი, მიეციო, — აყვირდნენ ბიჭები და პორტიემაც მისცა იმ ბიჭს ჩემოდანი. ბიჭი ჩემოდანიდან გაიქცა. ატყდა ერთი აყალმაყალი და დაკითხვები. სასამართლოზე პორტიემ ისეთი რამე უთხრა იმ ორ ბიჭს, რომ ის გაამართლეს და გაათავისუფლეს. რა თქვა პორტიემ?

— ხელებს ვწვე! — ასეთი გამოცანების გამომცნობი რომ ვიყო, ჩემს ცხოვრებას დაეტყობოდა... მაინც რა უთხრა?

— რა და — ის ბიჭიც მოიყვანეთ, რომელიც გაიქცა; როგორც მოვილაპარაკეთ, სამივე ერთად მოდიო და ჩემოდანს მოგცემთო. ხომ მაგარია?

— მაგარია!  
— კი, მაგრამ გატყობთ, თქვენ გამოცანებით ფულის მშოვნელი არა ხართ. უფრო იოლ ხერხს გასწავლით. ჩაიწერთ, რომ არ დაგავიწყდეთ.

— გისმენთ...  
— აიღეთ საცერი...  
— საცერი?!  
— კი, ჩვეულებრივი საცერი, მიმოაბნეთ მასზე პურის ნამცეცები, შეუყვრეთ საყრდენად ჯოხი, ჯოხის თავზე დაამაგრეთ ფიცარი, ჯოხს გამოაბით ბაწარი, დააკავთ ის ხელში და ჩასაფრდით.

— ჩავსაფრდე?  
— ჰო, ჩასაფრდით. მოფრინდებიან ბელურები და დაიწყებენ ნამცეცების კენკვას. ერთ მოზრდილ საცერში 15-20 ბელურა ეტევა. ერთი საათის შემდეგ, საცერი ბელურებით აივსება, გამოსწევთ ბაწარს და ბელურებიც თქვენია.

— მერე რა ვყოფ ამ ბელურებით საცხე საცერს?  
— იცით, რა ღირს ერთი ბელურა დიღმის ბაზარზე? — 50 თეთრი. გამოდის, რომ ყოველ 1 საათში, 10 ლარს გამოიმუშავებთ. არ არის 10 ლარი ფული? — არის!

— არც ეს არის მთლად საჩემო საქმე; მგონი, ჯოხს, რასაც ვაკეთებ, ისევ იმ საქმით გამოვიმუშაო... მოკლედ, ყველამ ჩვენ ჩვენს „რუბრიკებს“ მივხედოთ.

— კარგი, შვილო. ახლა წავალ, რამდენიმე საელჩოდან ველოდები გამოძახებას.

— ნახვამდის, ბატონო ნიკო. წარმატებას გისურვებთ!

ფალიანების ოჯახს სამი ვაჟი ჰყავდა, სამივე — პროფესიონალი მოკრივე. უფროსი — ზურა ფალიანი წლების განმავლობაში, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გახლდათ. ის ერთი წლის წინ, გულის შეტევით გარდაიცვალა. რამაზი და შალვა ძმის გარდაცვალების შემდეგ, ამერიკაში წავიდნენ და პროფესიონალური კრივის მწვერვალისკენ მიმავალ გზას საფეხურ-საფეხურ მიუყვებიან. ძმები სულ ორი კვირით ჩამოვიდნენ თბილისში და მეც სწორედ ამ დროს მოვიხელთე რამაზ ფალიანი სასაუბროდ. როგორ ცხოვრობენ ქართველი მოკრივეები ამერიკაში? რამდენს უხდიან მათ ერთ ორთაბრძოლაში და რატომ უწინდება რამაზს მოკრივე ქალების „დამფუძვების“ სურვილი, ამას და კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს ინტერვიუდან შეიტყობთ.

მარი ჭაჭარიძე

— თავდაპირველად, გვიამბეთ იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარეთ მანამ, სანამ პროფესიონალურ კრივში მოხვდებოდით?

— იმისთვის, რომ პროფესიონალურებში „იჩნუბო“, აუცილებელია, მოყვარულებში გქონდეს ჩემპიონის ტიტული. ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ჩემს მთავარ გამარჯვებებზე მოგახსენებთ: ვარ სამგზის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის პრიზიორი, „კეთილი ნების თამაშების“ და 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონატსა (ორჯერ) და მსოფლიო ჩემპიონატში, რომელშიც გავიმარჯვე, თურქეთის სახ-

მსოფლიოში ცნობილმა პრომოუტერმა, დონ კინგმა მოისურვა ჩვენთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ჩვენმა მენეჯერმა უარი უთხრა...



ქართველი მოკრივეები ამერიკაში...  
"რეკლამა უნდა გავაკეთოთ..."

ელით გამოვლიოდი. ბევრს ლაპარაკობდნენ — რატომ გამოდიხარ თურქეთის სახელით? — მაგრამ რა მექნა? სხვა გზა არ იყო... ამის შემდეგ, ამერიკიდან მივიღეთ მიწვევა მე და შალვამ და ახლა, უკვე 8 თვეა, იქ ვვარჯიშობთ. თუ ნებას მომცემთ, მიღწეული წარმატებებისთვის ჩემს მწვრთნელებს, ბატონ ალექსანდრე ჯაფარიძესა და დათო ქავთარაძეს გადავუხდი მადლობას.

— მოგვიყვით, როგორ ცხოვრობთ ამერიკაში?

— მე, შალვა და კობა გოგოლაძე ვცხოვრობთ ჩვენს მენეჯერთან ერთად. ის ახალგაზრდა კაცია, ჰყავს მუდღე. აქვს ორსართულიანი სახლი ქალაქკარეთ. მეორე სართული ჩვენ დაგვითმეს. სადილსაც ჩვენი დიასახლისი გვიმზადებს. ისინი წარმოშობით „ინგლისელი“ ბერძნები არიან. ვინაიდან ჩვენ ბერძნული კარგად ვიცით, მათთან სწორედ ამ ენაზე ვლაპარაკობთ და ინგლისურის სწავლა ვერ მოვახერხეთ... ჩვენი მენეჯერი გვიჩვენებს იმ მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც უნდა „ვეჩნუბოთ“. თავდაპირველად, როცა პროფესიონალურ

კრივში გადადიხარ, ათი შეხვედრა უნდა ჩაატარო და ათივე მოიგო, რომ ამის შემდეგ, რეიტინგულად წინ წაიწიო და უკეთესი კონტრაქტი შემოგთავაზონ.

— ახლა რა თანხას გიხდიან ერთ ორთაბრძოლაში?

— ახლა სულ 2-3 ათას დოლარს გვიხდიან. ჩემს წონით კატეგორიაში მაქსიმუმ 2-3 მილიონი შეიძლება შემოგთავაზონ: რაც უფრო დიდ წონაში გამოდიხარ, უფრო დიდია თანხა... წელა-წელა მივიწვევთ წინ. 10 მოგებულ ბრძოლის შემდეგ კი, ის სპორტული ტელეარხები გიხდიან ჰონორარს, რომელიც შენი ორთაბრძოლების პირდაპირ რეპორტაჟებს გადასცემენ. ისე, დიდი ძალისხმევა და დავკირვება საჭირო იმისთვის, რომ აფერისტის ხელში არ ჩავარდე, თორემ, შეიძლება „გაჩნუბო“ და „მშრალზე“ დაგტოვოს. მსოფლიოში ცნობილმა პრომოუტერმა, დონ კინგმა მოისურვა ჩვენთან კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ჩვენმა მენეჯერმა უარი უთხრა...

— რა მიზეზით?

— ის მსოფლიოში მარტო პრომოუტერობით კი არა, აფერისტობითაცაა ცნობილი: უამრავი ადამიანი ჰყავს „გადგლებული“...

— ამჟამად, რამდენი ბრძოლა გაქვთ ჩატარებული?

— ამ 8 თვის მანძილზე, 7 ბრძოლა ჩავატარე და შვიდივე მოვიგე, მათ შორის ხუთი — ნოკაუტით. პირველი ბრძოლის დროს, გამიჭირდა: გამოუცდელი ვიყავი,



ჩემს წონით კატეგორიაში მაქსიმუმ 2-3 მილიონი შეიძლება შემოგთავაზონ



ძალიან სწრაფად დაიწყო „ჩხუბი“, პირველ  
ორ რაუნდში მოწინააღმდეგე ლამისაა  
მოკვალი ცემით – სამჯერ დავარდა, მა-  
გრამ მაინც ადგა და ისევ აგრძელებდა  
ბრძოლას – იქაური სვანი აღმოჩნდა  
(იციანის)... მესამე რაუნდში შემომიბრია:  
უკვე დაღლილი ვიყავი, მაგრამ ვცდი-  
ლობდი, არ მომხვედროდა მისი მუშტი.  
ვინანე – ასე სწრაფად არ უნდა დამეწ-  
ყო-მეთქი, მაგრამ მეოთხე რაუნდში მაინც  
მოვუგე... ახლა ნელ ტემპში ვიწყებ ხოლმე  
ბრძოლას, ვფრთხილობ... მეორე შეხვე-  
დრა პირველ რაუნდშივე მოვიგე. მეორე  
წუთი იყო დაწყებული, როცა მაგრად  
მოვლე ყბაში ჩემს ზანგ მოწინააღმდეგეს  
და ნოკაუტში ჩავაგდე...

**— ყველაზე მცირე დრო,  
რომელიც ბრძოლას მონაწილე-  
მად, რამდენ ხანს გრძელდებო-  
და?**

— ბოლო, მე-7 ბრძოლა მიჩიგანში 29  
წამში დავამთავრე...

**— რა გეკრძალებათ პრო-  
ფესიონალ მოკრივეებს?**

— სივარეტის მოწვევა, ალკოჰოლური  
და გაზიანი სასმელების დალევა. კიდევ...  
კიდევ – ქალები. ასეთი გართობის უფლე-  
ბას მხოლოდ კვირაში ერთხელ ვაძლევთ  
თავს. ისიც – მაშინ, თუ წინ სერიოზუ-  
ლი ბრძოლა არ გველის. როცა „ჩხ-  
უბისთვის“ ვემზადებით, მიელი თვეა  
საჭირო, რომ ფორმაში ვიყოთ.

**— რინგზე მიღებული ტრავმე-  
ბის მოსაშუშებლად რაიმე გან-  
საკუთრებული მეთოდი ხომ არა  
გაქვთ?**

— როგორც ცნობილია, თუ ბრძოლის  
დროს, წარბი გაეისკდა ან მსგავსი ტრავ-  
მა მიიღე, შეიძლება ექიმმა შეგაწვევტი-  
ოს ბრძოლა და წაგებული რჩები. ერთ-  
ერთი ბრძოლის დროს (მაშინაც ზანგთან  
ვჩხუბობდი), ცხვირზე კანი გამიკვდა. კი-  
ნალამ გავგიჟდი ნერვიულობისგან  
– ვაითუ, შეწვევტიონ შეხვედრა-  
მეთქი?! მაგრამ ექიმმა ჩათვალა, რომ  
მსუბუქი დაზიანება მქონდა. მე-3  
რაუნდში, ჩემი დარტყმისაგან ორად  
მოიკეცა და მაინც – მოიცადეო...  
ამ დროს, ერთი უნდა დაარტყა და  
მწყობრიდან გამოიყვანო მოწინააღმ-  
დეგე – მე კი, გავჩერდი: შენ შემო-  
გველე, არაფერი მოგივიდეს, დაის-  
ვენე-მეთქი (იციანის)... მწვრთნელი  
გაგიჟდა და მერე მეუბნებოდა – ეს  
როგორ მოგივიდაო?! მსაჯიც გაო-  
ცებული მიყურებდა. მე კი ვანიშნე  
– მე რას მიყურებ, იმას მიხედე,

ცუდად არის-მეთქი... მი-  
უახლოვდა, მან კი  
მუცელზე ანიშნა – აქ  
მეტკინაო; მსაჯმა თვლა  
დაიწყო, მაგრამ ჩემმა  
მოწინააღმდეგემ ბრძო-  
ლის გაგრძელებაზე უა-  
რი თქვა.

**— მოკრივე ქა-  
ლების ბრძოლას  
თუ ესწრებით ხო-  
ლმე?**

— კი, ძალზე საინ-  
ტერესოდ „ჩხუბობენ“. მსოფლიო ჩემპიონები  
რომ არიან – ჯო  
ფრეზერი და მუჰამედ  
ალი. მათი ქალიშ-  
ვილებიც მოკრივე  
ქალებს შორის მსოფ-

ლიო ჩემპიონები არიან. ლამაზი  
გოგონებიც არიან. მათი „ჩხუბის“ ყურე-  
ბას რა სჯობს?! თანაც, რაღაცნაირი, პრი-  
ალა ქსოვილისგან შეკერილი, ტანზე  
მომდგარი ფორმა აცვიათ ხოლმე და ისე  
სექსუალურად გამოიყურებიან, გააგიჟე-  
ბენ კაცს... არადა, რინგიდან ჩამოსულები,  
ჩვეულებრივად რომ ჩაიცვამენ, ვერც წარ-  
მოიდგენ, თუ ასე შეუძლიათ მუშტების  
ქნევა. მოკრივე ქალებს შორის ზოგი ისე-  
თი საშინელი შესახედავია, ისეთი კუნ-  
თები „აყრია“ და ისეთი გამოხედვა აქვს,  
რომ მიფიქრია – ერთი ამასთან მაჩხუბა  
და კარგად „დამამაყავებინა“-მეთქი...

**— ხშირად, მოკრივეები, რი-  
ნგზე გასვლამდე, ფსიქოლო-  
გიურად ერთმანეთის დაჯაბნას  
ცდილობენ, ერთუროს ათასგ-  
ვარ სისაძაგლეს ეუბნებიან...  
თქვენ თუ მიმართავთ ხოლმე  
ამ სერსს?**

— ხშირად ხდება, რომ რინგზე გასვ-



სამჯერ დავარდა, მაგრამ მაინც ადგა და ისევ აგრ-  
ძელებდა ბრძოლას – იქაური სვანი აღმოჩნდა (იციანის)...

ლამდე იწყებენ ჩხუბს. ტაილანდისა და  
ლუისის ბოლო ბრძოლას რომ ვუყურე,  
გავგიჟდი. ერთმანეთისკენ, როგორც ავი  
ძაღვები, ისე მიიწვევდნენ... რაც შემეხება  
მე – ერთ ამბავს ვავისხენებ. ბრძოლის  
წინააღმდეგ, ინტერვიუს დროს, ჩემმა მეტო-  
ქემ სისხლიანი თვალებით შემომხედა და  
– მე-4 რაუნდში, ნოკაუტში ჩავაგდებო, –  
თქვა. მე ინგლისური არ ვიცი, ამიტომ  
ჩემმა მენეჯერმა ისაუბრა ჩემ მაგივრად,  
მაქო და მადიდა: ამას კასამაიორი ჰყავს  
დამარცხებული, ასეთია და ისეთიაო, ორ  
რაუნდში დააგდებსო... ტყუილი არ უთქ-  
ვამს, მაგრამ იმდენი ილაპარაკა, შემერცხვა  
და ვუბწკინე, – გაჩერდი, ხალხი ნუ  
გააგიჟე-მეთქი. მართლაც – მოვუგე, მა-  
გრამ ამდენი ტრავმა მაინც არ არის  
საჭირო. ისე, მოწინააღმდეგეს არასოდეს  
ვუყურებ თვალებში...

**— დედათქვენი როგორ ეგუ-  
ბა იმ ამბავს, რომ დროგა-  
მოშვებით, მის შეილებს ვიდაც  
„სცემს“?**

— უჰ, დედაჩემი გიჟს ჰყავს.  
ვიდეოკასეტა ჩამოვიტანე, სადაც  
ჩემი და შალვას ბრძოლებია ჩაწ-  
ერილი – სულ ვაი-ვიმით უყურებდა,  
ტიროდა... მამაჩემმა უთხრა: თუ  
არ შეგიძლია ყურება, ოთახიდან  
გადიო. ჩვენსას კი არა, სხვის ჩხ-  
უბსაც ვერ უყურებს, ტირის ხოლმე:  
საწყალი, ვაი, რა ეშველებათ?! მე  
და შალვა ვამშვიდებთ: ჩვენ მაგრე-  
ბი ვართ და მოწინააღმდეგის მუშ-  
ტი არ გვხვდება-თქო. როგორ არ  
გვხვდება, მაგრამ დედას გულს ხომ  
არ გაკუხეთქავთ?!



რამაზ ფალიანი  
ჯო ფრემერთან ერთად



მათ, ვისაც ახლობელი ზღვამ წაართვა, არასდროს დაავინყდებათ, თუ როგორ ნატრობდნენ მძიმე წუთებში, რომ გამოჩენილიყო ადამიანი, რომელიც ტალღებთან შეჭიდებულის ხსნას შესძლებდა. მაშველები სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. აბსბ ბეზმძმ — ლანჩხუთის „გურიის“ ყოფილი ფეხბურთელი — ახლა, შავი ზღვის სანაპიროზე მუშაობს და მუდამ მზადაა, სტიქიასთან ბრძოლისას გაჭირვებაში ჩავარდნილი იხსნას ხიფათისგან. საინტერესოა, როგორები არიან ქართველი მაშველები? ჰგვანან თუ არა ისინი ცნობილი ამერიკული ტელესერიალის, „მაშველების“ გმირებს? — ეს ის კითხვებია, რომელიც ძალიან მინდოდა, კახასთვის დამესვა. მაგრამ ჩვენი საუბარი ცოტა მძიმე და სევდიანი გამოვიდა. თუმცა ვეცდები, თქვენამდე მაინც შემსუბუქებული სახით მოვიტანო.

## „ზოგჯერ ისეთი ადამიანი შეგხვდება — გადაარჩინ და მეორე დღეს, გამარჯობასაც არ გეტყვის...“

### ლელა ჭანკოტაძე

— თითხმეტი წელი, ფეხბურთის ვთამაშობდი. სხვაგვარად ვერც წარმომედინა ჩემი ცხოვრება, მაგრამ ტრავმა მივიღე — მყესები გაიწყდა, — და ექვსი თვე უნდა შემკურნალა და დამესვენა. ვარჯიშები ორ თვეში განვაახლე. ამან ავადმყოფობა გამირთულა. თამაშს ველარასოდეს შევძლებ... ახლა ამას იოლად ვამბობ, მაშინ კი საშინელ დეპრესიაში ვიყავი ჩავარდნილი. ურეკში ჩამოვედი — აქ ვარ დაბადებული და გაზრდილი, — დროის უმეტეს ნაწილს სანაპიროზე ვატარებდი. თუ შევნიშნავდი, რომ ვინმე იხრჩობოდა, არ შემეძლო, არ მივშველებოდი. ბევრი ადამიანი გადავარჩინე. ურეკის სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელობამ შემამჩნია და საშუალო შემომთავაზა. მეც დაეთანხმდი.

— როგორი იყო პირველი განცდა, როცა ოფიციალურად გახდით მაშველი?

— სიმართლე ვითხრათ, ძალიან დავიბენი, შიშმა შემიპყრო — როცა დავინახე, რომ ადამიანი იხრჩობა, მის შველას ვერ მოვასწრებ-მეთქი?!.. მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, როცა ერთი ადამიანი ისე დაიხრჩო, რომ ვერც კი შევნიშნეთ; არც არავის დაუძახია

და შეუტყობინებია ჩვენთვის — კაცი იხრჩობაო... აქ 1998 წლიდან ვმუშაობ. ამ ექვსი წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ სეზონზე სამი ადამიანი მაინც არ დამხრჩვალყო. წლევეანდელი სეზონი კი ისე მთავრდება, რომ არც ერთი უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ძალიან მკაცრი პირობების დაცვით ვმუშაობ.

— რა გეკრძალებათ?

— პირველ რიგში — ალკოჰოლური სასმელების მიღება. ნასვამი სამსახურში ერთხელაც თუ გამოცხადდები, არა მარტო აქ, სხვა სანაპიროებზეც კი ვეღარ იმუშავებ. რა თქმა უნდა, დაუშვებელია საშუალოს გაცდენაც.

— თუ გაქვთ ყველა ის ხელსაწყო, რომელიც ადამიანის გადასარჩენად გჭირდება?

— აქამდე, არაფერი არ გვექონდა, შიშველი ხელებითა და სამაშველო რგოლებით (გასაბერი კამერებით) ვებრძოდით ზღვას. ახლა სამსახურმა კატარღები შეიძინა, ჟილეტები და რაციებიც დაგვირეგეს. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი — აუცილებელია სკუტერი (წყლის მოტოციკლეტი). ამ დღეებში, გოგო და ბიჭი იხრჩობოდნენ ბადრი პატარაკაციშვილის სახლის წინ; სანამ იქამდე მივედით, ბიზნესმენის დაცვის წევრი სკუ-

ტერთი შევიდა ზღვაში და ისინი ნაპირზე გამოიყვანა. სკუტერის გარეშე მაშველი ხელფენშეკრულია, რადგან კატარღა ტალღებთან ბრძოლაში უძლურია; როცა ზღვა ღელავს, მას ვეღარ ვიყენებთ და ასეთ დროს ადამიანის გადარჩენა მხოლოდ ჩვენს ფიზიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

— უმეტესად, რა მიზეზით იხრჩობიან ადამიანები?

— იხრჩობა ის, ვინც ცურავს იცის: ჰგონია, რომ კარგად ცურავს და ზღვას უთამაშდება. ზღვას უნდა იცნობდე, სანამ კარგად არ შეისწავლი, წყალში არ უნდა შეხვიდე და წყლის მასას არ უნდა გაუთამაშდე. როცა ზღვა ღელავს და მოქცევა იწყება, ადამიანი უძლური ხდება. წყნარ ზღვაში, ცხადია, არ იხრჩობიან. ხშირად ამბობენ ხოლმე — ურეკში უამრავი ჭაა და ზღვაც უფრო საშიშიაო. ჭები მართლაც არის. როცა ადამიანი მოქცევისას ცურავს, მას ჭა ითრევს. ასეთ დროს, 98%-ის გული უსკდება. როცა ვინმე დამხრჩვალა, მომდევნო ორი კვირა ვერ დამიძინია: ასეთ დროს, გაძულდებით დანაშაულის გრძობა მღვეს თან.

— შარშან, ბადრი პატარაკაციშვილის დაცვის ნევრი რომ დაიხრჩო, თვითმთავლელები ამბობდნენ: მაშველები რომ დახმარებოდნენ, გადარჩებოდაო...

| ნახატი                  | ღარი ადამიანის სახეზე | ხელით ნაქსოვი კედლის ხაღრი | ბურუსი ანუ ... | არქიპელაგი, რომელიც განთქმულია გიგანტური ზომის კუებით | ვევის ღირებულება     |            |                |                 |                   |    |     |     |    |    |
|-------------------------|-----------------------|----------------------------|----------------|---|----------------------|------------|----------------|-----------------|-------------------|----|-----|-----|----|----|
| სუსხ                    | თინ                   | ნათო                       | ვიზო           | გან   | მნი                  | ინის       | ნი             | ნი              | ზა                | ხე | კან | ნოს | ნი | ნი |
| თიხის ყელწვრილი ჭურჭელი | „მოხუცის ქალი“        | ვაზის ტარი                 | თანხის ნაწილი  | „თავისუფლების“ მოედანს ადრე ერქვა „...“ მოედანი       | გაერთიანება, კავშირი | გამის ნოტი | ნაბიჯი ბალეტში | იაპონური თეატრი | დვინის გამყიდველი |    |     |     |    |    |




— შარშან, სხვა სანაპიროზე ვეშაობდი. გადმოცემით ვიცი, რომ იმ დღეს ცუდი ამინდი იყო. პატარკაციშვილის სახლში დაცვა რომ შეიცვალა, მორიგების შემდეგ ბიჭებმა ბანაობა გადაწყვიტეს. სამა შეკურა. მაშველებმა ორი მათგანი გადაარჩინეს, მესამეს ვეღარ მიუსწრეს. მისი გვამი სამი დღის შემდეგ გამოიჩინა წყალში... ამ დროს გვამის ლოდინი ნამდვილი საშინელებაა. გვამს მის ახლობლებთან ერთად ჩვენც ნაპირზე ველოდებით. ზღვა გვამს არაფრით არ დაიტოვებს, აუცილებლად გამოიჩინებს. საითაც დინებაა, იქით წაიღებს და ჩვენც იქ ველოდებით ხოლმე...

**— თუ შეგიძლიათ, ისეთი შემთხვევა გაიხსენოთ, რომელიც გონებაში ჩაგრჩათ?**

— ურეკში აფხაზეთისა და სამხაბლოს ომების ვეტერანები ჩამოდიოდნენ ხოლმე. ორი ბიჭი დამამასხოვრდა: ერთი ცოლშვილიანი იყო, მეორე — დასაქორწინებელი. სმა უყვარდათ. ერთ დღეს, შემომთავაზეს: წამოდი, დავლიოთო. უარი ვუთხარი. წაგიდნენ. შეზარხოშებულები, ისევ სანაპიროზე დაბრუნდნენ. ერთ-ერთ მათგანს, როგორც კი წყალში შევიდა, მაშინვე გულმა უმტყუნა, მეორე ძლივს გადავარჩინეთ. დამხრჩვალს ნახევარი საათი ვეძებდით. ყველაზე მწყდება გული, მაგრამ ის ბიჭი არასდროს დამავიწყდება...

**— ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვები იხრჩობიან?**

— უმეტესად, ბავშვები და გოგონები



იხრჩობიან, მაგრამ თქვენ ხომ მისოვეთ, ძალიან მძიმე შემთხვევებზე არ ვისაუბროთო?! ამიტომ, მათ შესახებ არაფერს ვიყვებით და მხოლოდ კურიოზებს გავისწავლებ. ორი გოგონა ბანაობდა, მერე წყლის ველოსიპედზე გადაინაცვლეს. მოულოდნელად ველოსიპედი ამობრუნდა. გოგონები იხრჩობოდნენ. შევედი საშველად. ნაპირზე გამოვათრიე. როგორც კი ნაპირს მივუახლოვდით, დავინახე, რომ ერთს ლიფი სძვრებოდა. მე თვითონ შევუკარი. მეორე გოგომ კი, მაშველს წინხლი პირდაპირ სახეში ჩასცხო: მასაც მოსძვრა ლიფი და მაშველს უსაყვედურა — გამოყვანის დროს, ხელი ცუდად მომიკიდეთ... საერთოდ, როცა ადამიანი გამოგვაყვას, იმაზე არ ვფიქრობთ, საცურაო კოსტიუმი ჩასძვრება თუ არა... უმადური პროფესიაა გვაქვს. ზოგჯერ ისეთი ადამიანი შეგხვდება — გადაარჩენ და მეორე დღეს, გამარჯობასაც არ გეტყვის. ხშირად კი, ქალები გვეწყველიან კიდევ: ეჩვენებთ, რომ ვიღაც იხრჩობა და ჩვენ არ ვცდილობთ მის გადაარჩენას.

**— მათგან, ვინც გადაადგირჩენიათ, არავის დამეგობრებინათ?**

— ეს იშვიათად ხდება. ხუთი წლის წინ, მთელი ოჯახი გადავარჩინე დალუპვას: ზღვაში კატარლით შევიდნენ — ორი გოგო და ოთხი ბავშვი, კატარლა ამობრუნდა და მათ ზემოდან დაეცა... ეს ოჯახი დამიმეგობრდა. თუმცა, უკვე ორი წელია, აღარ მინახავს. თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, მოკითხვაც მინდა გადაეცე და მადლობაც შევუთვალო იმისთვის, რომ ჩემი თავგანწირვა დაფასეს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევა იშვიათობაა. იმ ადამიანებიდან, ვინც გადაადგირჩენია, მინდა გამოვეყო კინორეჟისორი კარლო ლლონტი. დინებაში მოჰყვა და ძლივს გამოვიყვანე. ძალიან ცუდად იყო, მაგრამ ხელოვნურმა სუნთქვამ შეღვევი გამოიღო... ამ სეზონში, ჩვენი აღრიცხვის ჟურნალში 85 ადამიანი მოხვდა. ორი ადენი ალბათ აღურიცხავი დაგვრჩა.

**— თუ ხდება, რომ მადლიერების ნიშნად ფულს გთავაზობენ?**

— რა თქმა უნდა. მაგრამ მე ზღვას, ადამიანის სიცოცხლეს ვტაცებ, განწირულ ადამიანს სიცოცხლეს ვუბრუნებ და ღმ-

რემს ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ვცხოვრობ. ჩემი გოგონა, მარიამი ჯერ წლინახევრისაა. ურეკში ზაფხულობით ჩამოვდივარ, რადგან სეზონური სამსახური მაქვს

ერთმა დამიფაროს, რომ ამაში ფული ავიღო!

**— ხელფასი რამდენი გაქვთ?**

— შარშანდელთან შედარებით, ხელფასი 50 ლარით გაგვიზარდეს და 100 ლარი დაგვენიშნა. დილის ცხრიდან, საღამოს ათ საათამდე ვეშაობთ. ზოგჯერ, ამოსუნთქვასაც კი ვერ ვასწრებთ. ასეთი მძიმე დღე საკმაოდ ბევრია. ჩვენი საქმე იოლი არ არის — სულ ზღვისკენ გვიჭირავს თვალი. ერთს რომ გადავალე თვალს, უცებ ვხვდები, ვის ეშუქება საფრთხე, ვინ ცურავს ცუდად. იყო შემთხვევები, როცა გვატყუებდნენ — გოგონები, გაცნობის მიზნით, ისე იტყუოდნენ, ვითომ იხრჩობოდნენ... ახალბედა რომ ვიყავი, რამდენჯერმე მოვტყუვედი. ახლა ასეთი რამ აღარ შემართება. ჩემს ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ვცხოვრობ. ჩემი გოგონა, მარიამი ჯერ წლინახევრისაა. ურეკში ზაფხულობით ჩამოვდივარ, რადგან სეზონური სამსახური მაქვს. ხელფასს მხოლოდ სამი თვის მანძილზე ვღებულობ...

**— რა შეგრძნება გეუფლებათ ხოლმე, როცა ვინმეს გადაარჩენთ?**

— ხალხში აღარ ვჩერდები — განგმართვლები და ნახევარი საათი სადმე მშვიდ ადგილას ვზივარ. თუ ვინმე დაიხრჩო, მომღვენო ორ კვირას, თეთრად ვათენებ — ეს ნამდვილი საშინელებაა.

**— რა არის ისეთი, რაც გაფრთხობთ? რისი გეშინიათ?**

— მაშველიც ადამიანია და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის, ალბათ — შიშიც. მე ბავშვებიდან ვცურავდი, მაგრამ თუ ქვიშას ფეხით ვერ ვწვდებოდი, მეშინოდა. ეს შიში ვერაფრით დავძლიე. ერთხელ, მე და ჩემი დეიდაშვილები საკმაოდ შორს შევედით ზღვაში კატარლით; მოულოდნელად, ხელი მკრეს და წყალში გადავადგეს. წყალი კარგად რომ ვცლაპე, იძულებული გავხდი, გამეცურა. შიშის გრძობაც მაშინ დავკარგე... ახლა ზღვის არ მეშინია, პირიქით — ზოგჯერ ღამით დავხეტებები ხოლმე პლაჟზე, რადგან ზოგიერთ დამსვენებელს სწორედ ამ დროს უყვარს ბანაობა. თუ ვინმე იხრჩობა, სიბნელეს არ ვუშინდები. სულ ახლახან, შუაღამისას, ორი ბიჭი იხრჩობდა. ძლივს გამოვიყვანე. წყლიდან რომ ამოვედი, კინაღამ გადავირიე — ვიღაცას ჩემი ტანსაცმელი მოუპარავს. შინ პირსახოცშემოხვეული მივედი. ასეთი შემთხვევა სამჯერ მქონდა...

|            |   |                          |                              |                            |                |
|------------|---|--------------------------|------------------------------|----------------------------|----------------|
| აქსამკაული | გეოგრაფიული ცნებებია: გრძელი, განედუ, პარალელი, ... | საქონლის წვნიანი საკვები | საბჭოთა მოჭაღრაკე მიხეილ ... | ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე | ჯაყდს ეროვნება |
| ა          | ბ   | გ                        | დ                            | ე                          | ვ              |
| ი          | კ   | ლ                        | მ                            | ნ                          | ო              |
| პ          | ჟ   | რ                        | ს                            | ტ                          | თ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| ჭ          | ხ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
| შ          | ჩ   | ც                        | ძ                            | წ                          | ჭ              |
| ჩ          | ც   | ძ                        | წ                            | ჭ                          | ღ              |
| ც          | ძ   | წ                        | ჭ                            | ღ                          | ყ              |
| ძ          | წ   | ჭ                        | ღ                            | ყ                          | შ              |
| წ          | ჭ   | ღ                        | ყ                            | შ                          | ჩ              |
| ჭ          | ღ   | ყ                        | შ                            | ჩ                          | ც              |
| ღ          | ყ   | შ                        | ჩ                            | ც                          | ძ              |
| ყ          | შ   | ჩ                        | ც                            | ძ                          | წ              |
საგონებელში ჩავარდნილი დეა მოულოდნელად შეიტყობს, რომ გიგოლასგან ფეხმძიმედაა და მისი გულის მოღობის იმედი მიეცემა. მაგრამ გიგოლა მას კატეგორიულად მოსთხოვს ბავშვის მოცილება. ამით თავზარდაცემულ და განერვიულებულ დეას მუცელი მოეშლება.

ამასობაში, გერმანიიდან მოსკოვში დეას ერთადერთი სოცარული, ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე ჩამოდის. დეა და გურამი ერთმანეთს შემთხვევით ხვდებიან. გურამთან განმარტოებული ქალი მოზღვავებულ გრძნობებს ვერ გაუმკლავდება და სასურველ მამაკაცს თითქმის უდრტივინველად დანებდება. გურამი კი, თავის მხრივ, მტკიცედ შეპირდება — მოსკოვში მეორედ ჩამოსვლისას, გიგოლას შევხვდები და ჩვენს ამბავს საბოლოოდ გაგარკვევო.

გურამისგან შინ მობრუნებულ დეას გიგოლა ეჭვიანობის სცენას მოუწყობს და ხელითაც კი შეეხ-



# დავითანბული ჩეისი მოსკოვი-თბილისი

## რუსულან ბერიძე

ეზა. დეას, ელა და დიმა წამოეშველებიან, მაგრამ გაცოფებული გიგოლა აღარც მათ დაინდობს...

რამდენიმე დღეში დეასა და დიმას ფიქტიური ქორწინებაც გაფორმდება...

გიგოლამ ქორწინების მოწმობა მაგიდაზე მოისროლა, თვითონ სავარძელში ჩაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. დეამ კი ისევ ჯიქურ განაგრძო:

— არ ვიცი, კიდევ რა გაქვს ჩაფიქრებული, მაგრამ პირადად მე დღეიდან არც ერთ შენს ახირებას აღარ შევასრულებ. მორჩა! შენ — შენთვის, მე — ჩემთვის!

— ეს ახირება კი არა, აუცილებლობა იყო, — მიუგო გიგოლამ და თან, საფეთქლები ნერვიულად მოისრისა. — ხომ იცი, რომ უამისოდ მოსკოვში სასწავლებლად ვერ გადმოგიყვანდი...

— მერედა, ვინ დაგავალა?! საერთოდ, რატომ ჩაერიე ჩემს ცხოვრებაში?! მე შენთვის მოსკოვში გადმოგიყვანა ნამდვილად არ მითხოვია...

— შენ არა, მაგრამ საქმემ მოითხოვა... — კვლავ მშვიდად უპასუხა გიგოლამ.

— საქმემ? — დამცინავად გაეღიმა დეას. — რომელმა საქმემ?.. ვიცი, მე შენი საქმე!.. ვის რა წაჰკლიჯო, ვინ როგორ დააბა და რაიმე საშინელებაში როგორ ჩაითრიო — აი, შენი საქმე!

გიგოლამ ნელ-ნელა ასწია თავი და შეტევაზე გადასული დეა ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო.

— არ გეჩვენება, რომ უკვე მოუკრეფავში გადახვედი?.. — კბილებში გამოცრა მან და ფეხზე წამოიმართა.

— გიგი, არ გინდა! — იკვილა უცბად ელამ, რომელსაც ამ ხნის მანძილზე გიგოლასთვის თვალი წამითაც არ მოუცილებია და მაშინვე მასა და დეას შორის ჩადგა.

გიგოლამ ელას მკლავზე წააგლო ხელი და გვერდზე უხეშად გასწია, მაგრამ მის წინ ახლა დიმა აღიმართა:

— აბა, ერთი გაბედე და რომელიმეს ხელი დააკარე! — შეცვლილი ხმით იღრიალა მან.

— მლა-ა! — აგლებულად შეათვალიერა გიგოლამ დიმა. — მეონი, ამ საქათმეში ყვინჩილებს ნელ-ნელა ხმა უბოხდებათ, აი!.. ვაი-ვაი! — გულზე ხელი იტაცა მან შემდეგ. — კინაღამ გული არ გამიხეთქა?!

— გული სადა გაქვს, რომ გაგისკდეს, შე მართლა არაადამიანო?! — კიდევ ერთხელ გამოსძახა გიგოლას ელას ზურგს უკან მიყუჟულმა დეამ და აქვითინდა...

საბოლოოდ დამფრთხალმა ელამ გიგოლას რეაქციას ერთხანს უსიტყვოდ უცადა, შემდეგ დეას და დიმას ხელები მოხვია და კარისკენ უბიძგა:

— ახლავე გადით აქედან!.. სამზარეულოში დასხედით და თქვენი ხმა აღარ გავიგონო!

დაბნეული ახალგაზრდები უსიტყვოდ დაემორჩილნენ...

როგორც კი დეა და დიმა ოთახიდან გავიდნენ, ელა ისევ გიგოლას მიუბრუნდა:

— რა მოგდის, გიგი? რა პატარა ბიჭვით იქცევი?! ამ ცხვირმოუხოცავ ბავშვებს ასე როგორ უყადრებ თავს?!

გიგოლას მისთვის არაფერი უპასუხია, ისევ სავარძელში ჩაჯდა და თავი დამნაშავესავით ჩაქინდა. ელა მაშინვე მას-



თან გაჩნდა და თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა:

— რა ხდება, გიგი? თქვი და გულზე ოდნავ მაინც მოგეშვება...

ელას ხელის შეხებაზე გიგოლამ თავი ნელ-ნელა ასწია, საყვარელს დაღლილი მზერა შეავლო, შემდეგ წელზე ორივე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. ელა არ გასძლიანებია, თუმცა კითხვას კითხვაზე აყრიდა:

— გიგი, გეხვეწები, მითხარი, რა გჭირს?... უცხოები ხომ არა ვართ? ჩემსავით აბა ვინ მოგისმენს და გაგიგებს?!

— არაფერიც არ მჭირს! — ხელი ცივად უშვა გიგოლამ. მაგრამ ელა თავისას მაინც არ იშლიდა:

— როგორ თუ არ გჭირს?! შენ რომ გიყურებ, ხანდახან ისიც კი შეჩვენება, რომ ადამიანს კი არა, ქვის კედელს ველაპარაკები...

— ხომ ვითხარი — როცა რამე გეჩვენება, პირველი უნდა გადაიწერო-მეთქი! — უპასუხა გიგოლამ და წამოდგა: — წავიდე...

— წადი!.. ჯანდაბამდე გზა გქონია! — ფეხზე წამოხტა გამწარებული ელა და ის იყო, ოთახიდან დემონსტრაციულად უნდა გასულიყო, რომ მობილური ტელეფონი აწკრიალდა.

ზარის ხმაზე, ელამ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, შემდეგ ტახტიდან თავისი ხელჩანთა აიღო და შიგრადაცას დაუწყო ძებნა.

— ტყუილად იქექები — ჩემი მობილურია, — უთხრა გიგოლამ და ყურმილი მაშინვე ყურზე მიიღო: — ჰო, გისმენ... დაბლა ხართ?... კარგი, თქვენ ორნი ამოდით, კობა მანქანაში დარჩეს...

— ნეტავ, ამ შუადამისას, ვილას ეპატიუები?! — ტახტისკენ ჩანთა გამეტებით ისროლა ელამ. — ბოლოს და ბოლოს, სახლია ეს თუ „პრახანდონი დვორი“?!

— კარგი, ჰო, ნუ გაუტევი! — შეუღრინა გიგოლამ. — შენს ძვირფას რძალს ძმა ჩამოუვიდა თბილისიდან და არ ვაჩვენო?

— ვი-ის? — ვერ გაუგო ელამ.

— დეას-მეთქი!

— რომელი ძმა? — ხელები გაშალა გაკვირვებულმა ელამ. — როდემდე უნდა იანგლო?! დეას ძმა ხომ ციხეში ზის.

— იჯდა.

— უკვე გამოუშვეს?

— კი არ გამოუშვეს — გამოვაშვებინე.

— შე-ენ?

— არა, ბებიაშენმა თეკლემ.

— ისე, ცნობისათვის: ბებიაჩემს დარეჯანი ერქვა! — გაწიწმალდა ელა.

— შენ წარმოიდგინე, ბებიაჩემსაც, — გაელიმა გიგოლას, — მაგრამ მოვრჩეთ, რა, ამ უაზრო ბაზარს და საქმეს მივხედოთ.

— საქმეს, ხომ?... მაშინ, იქნებ, ისიც მიბრძანო, პირადად მე, რა უნდა გავაკეთო? — ხელები ისე მომუშტა ელამ, თითქოს საჩხუბრად ემზადებო და სწორედ იმწუთას, კარზე ზარის ხმაც გაისმა.

— ა, ბატონო, — ელას მუშტების დანახვაზე ირონიულად გაელიმა გიგოლას, — მოვიდნენ ბიჭები და საქმეც გამოგიჩნდა. მიდი, გაუდე, ოღონდ, ჯერ მაინც ჰკითხე, ვინა ხარ-თქო...

ელა ოთახიდან ტყვიანაკრავით გავარდა, შემოსასვლელ კარს გამწარებული ეცა და კი არ გამოალო, კინაღამ გამოჰკვლიჯა.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! — მდაბლად დაუკრა თავი ზღურბლზე გამოჩენილ ორ ახალგაზრდას, რომელიც ასეთმა დახვედრამ ნამდვილად დააბნია.

— ჩვენ... — დაიწყო ერთ-ერთმა.

— ვიცო! — გააწყვეტინა ელამ. — მობრძანდით-მეთქი! ბატონი გიგოლა მოუთმენლად გელოდებო.

ახალგაზრდებმა ზღურბლს მორიდებით გადმოაბიჯეს. ხმაურზე სამზარეულოდან დიმაც გამოვიდა და უცნობების დანახვაზე, დედას გაკვირვებულმა გადახედა:

— რა ხდება?

— არაფერი! მიდი, დეას დაუძახე, ძმა ჩამოგივიდა-თქო!.. — კარი გამეტებით მიაჯახუნა ელამ...

თემოს დანახვაზე, დეამ ერთი განწირულივით შეჰკვივლა, მაშინვე კისერზე ჩამოეკიდა და აქვითინდა:

— თემო, საყვარელო, მართლა შენა ხარ?! რომ იცოდე, როგორ მომენატრე?! მეგონა, ერთმანეთს ვეღარასოდეს ვნახავდით...

დაბნეულმა თემომ აკანკალებული ხელი თავზე მორიდებით გადაუსვა დას და თავადაც თვალზე ცრემლი მოადგა...

გიგოლამ და-ძმას ცოტა ხანს სულის მოთქმა აცალა და შემდეგ მორე ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— კობა მანქანაში დატოვეთ?

— კი, გიგოლ, ეგრე არ გვითხარი? — კინაღამ მხედრულად გაეჭიმა ახალგაზრდა.

— დანარჩენები?

— თავ-თავიანთ საქმეებზე წავიდნენ.

— ბადრისთან შეიარეთ?

— კი, მაგრამ არ დაგვხვდა...

— როგორ თუ არ დაგვხვდათ?! — ხმაში გაღიზიანება დაეტყო გიგოლას.

— რა ვიცი, აბა... — მხრები დაბნეულად აიჩეჩა ახალგაზრდამ. — მდივანმა გოგომ გვითხრა, რომელიღაც ტელევიზიონიდან დაურეკეს და იქ წავიდა ინტერვიუზეო...

— კაცი არ ვიყო, თუ მაგას ჟურნალისტებში წაწვლილ არ მოვაშლევინო! — კბილები გაახრჭიალა გაცოფებულმა გიგოლამ და წასასვლელად მოემზადა.

თემომ ტკიპასავით მიკრული დეა მაშინვე გულიდან მოიშორა და გიგოლას გვერდში ამოუდგა.

— შენ ცოტა ხანს კიდე იყავი! — უთხრა მას გიგოლამ. — ერთ საათში გამოგივლი...

— თუ უნდა, ამაღამ, საერთოდაც, აქ დარჩეს! — მაშინვე საუბარში ჩაერია ელა. — და-ძმამ ცოტათი მაინც მოისიყვარულოს...

— შენ დარდი გაუშვი... — აღმაცერად გადახედა გიგოლამ ელას. — ამის შემდეგ სულ ერთად იქნებიან და რამდენიც უნდათ, იმდენი ისიყვარულონ... გიგოლას და უცნობი ახალგაზრდის წასვლის შემდეგ, ელამ და დიმა და-ძმა სასადილო ოთახში მარტო დატოვა. გონს მოსულმა და ოდნავ დამშვიდებულმა დეამ, თემოს კარგა ხანს უსიტყვოდ უცქირა და მერე ჰკითხა:

— არ დამიძალო, ციხიდან მართლა გამოგიშვეს თუ...

— გამომიშვეს, აბა, აქ სხვანაირად როგორ მოგხვდებოდი?! — გაიკვირვა თემომ.

— გიგოლას ძმაცაც ციხიდან გამოქცევაც არ გაუჭირდებოდა...

— არა, ნამდვილად გამომიშვეს... მოკლულის მშობლებმა საქმე ხელახლა გაასაჩივრეს და სასამართლომ გამამართლა...

— კი, მაგრამ როგორ? — თვალები გაუფართოვდა დეას. — ის ბიჭი ხომ შენ მოკალი?! —

— არა, მე არ მომიკლავს... — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა თემომ.

— აბა, ვინ მოკლა?

— ჩემმა ძმაცაცმა გაგა ამაღლობელმა...

— რომელმა გაგამ?... სასამართლოზე რომ ირწმუნებოდა — თემოს ხელში სისხლიანი დანა ჩემი თვალით დავინახეო?..

— ჰო, იმან... — დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი თემომ.

— მერე?! მაშინვე რატომ არ ამოიღე ხმა? რატომ არ თქვი, რომ გაგა ტყუოდა?!

— აზრი არ ჰქონდა და იმიტომ: გამოძიებელს გაგას მშობლებისგან დიდი ფული ჰქონდა აღებული და ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული... დანაშაული ჩემს თავზე უნდა ამელო...

— კი, მაგრამ რატომ?.. რისთვის?.. ხომ იცოდი, რომ დედა ამ დარტყმას ვერ გადაიტანდა?! ან მე რას მერჩოდი?! ვის ამარა მტოვებდი?!

— ვიცოდი... მაგრამ გამოძიებელმა დამარწმუნა: ჯგუფური მკვლელობა თუ დაგიმტკიცდათ, შენთვის უარესი იქნება, ასე კიდევ, დანარჩენების მშობლები იჩაღიჩებენ და „სროკს“ გაგინახვევრებენ... მაგრამ მერე...

— მოგატყუეს, ხომ?

— ეგრე გამოდის... — თავი მხრებში კიდევ უფრო ღრმად ჩარგო თემომ.

— იცი, რომ საწყალი გიორგი აბრამიძის მკვლელობის საქმესაც შენი გამოძიებული იძიებდა? — გაასხენდა უცბად დეას.

— ვიცი. მანდაც იმხელა დარღვევები უპოვეს, რომ თუ ყველაფერი დაუმტკიცდა, შეიძლება, ეგეც ციხეში ჩააყუდონ... გიზო ჯღარკავასაც ცუდად წაუვიდა საქმე — ბიჭი დაუპატიმრეს... სასამართლოზე იმასაც ამბობდნენ, პარლამენტარის იმუნიტეტმა უშველა, თორემ მაგასაც საციხედ ჰქონდა საქმეო...

— ნეტავ, მართლა ჩაესვათ. ოდნავაც არ შემეცოდებოდა! — წამოიძახა გამწარებულმა დეამ. — მაგრამ არა უშავს... რაკი ეგ დამპალი ერთხელ გაება, ახლა აღარ მოასვენებენ... ასე რომ, ჩემთვის ნამდვილად ვეღარ მოიცლის და მეც თბილისში დაბრუნება სულ თავისუფლად შემიძლია... შენც ხომ წამოხვალ? — მიუბრუნდა ის შემდეგ ძმას.

— არა მგონია... — დაბნეულად ჩაილაპარაკა თემომ. — ისე, ჯერჯერობით, არც შენ გირჩევ...

— კი, მაგრამ რატომ? — ხელები გაშალა დეამ. — რალა გვიშლის ხელს?

— გაგას მშობლები თბილისში მაინც აღარ დამაყენებენ, გიზო კი რისი გიზოა, რომ რამე ახალი მამაძაღლობა არ მოიგონოს და შენც ახალ შარში არ გაგხვიოს?! ლონდამ მითხრა, დღე ერთია და ათჯერ მაინც შემოივლის და იკითხავს ხოლმე — „ის ქალბატონი“ ხომ არ

გამოჩენილაო...

— ლონდა სადღა ნახე?.. სახლში იყავი?

— აბა, ისე ხომ არ წამოვიდოდი?! ისე, სალოლო, რა... კაი ქალია, სიტყვის ქალი: სახლსაც მაგრად უვლის... შენთან დამაბარა, დარდი არ ექნესო...

— დედას საფლავზე ხომ არ გასულხარ?

— საფლავზე?.. არა, საფლავზე — არა, — ისევ ჩაქინდრა თავი თემომ, — სახლშიც ერთი-ორი წუთით შევირბინე... კაკომ თვითმფრინავის ბილეთი აღებული დამახვედრა და მაშინვე მოსკოვში გამოფრინდი...

საუბარში გართულ დამძას არც შემოსასვლელი კარის გაღების ხმა გაუგონია და არც ის, თუ როგორ წამოაღვათ თავზე გიგოლა.

— თქვენი დამორება კი ძალიან დიდი ცოდვაა, მაგრამ წასვლის დროა, ჩემო თემო! — მხარზე ხელი თანაგრძნობით მოუთათუნა გიგოლამ თემოს.

თემო მაშინვე ფეხზე წამოხტა, დეა კი არც კი განძრეულა. გიგოლამ მას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და ისევ თემოს მიუბრუნდა:

— ჩადი დაბლა და მანქანაში დამელოდე...

თემომ მაშინვე კარისკენ გასწია.

— თემო, მოიცა! — სიტყვა დაადევნა დეამ. — სად მიდიხარ?.. კიდევ როდის გნახავ?..

— ძალიან მალე! — თემოს მაგივრად უპასუხა გიგოლამ. თემომ კი, სიტყვის უთქმელად გაიხურა კარი.

გიგოლასთან პირისპირ დარჩენილი დეა სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— დაჯექი! — უბრძანა გიგოლამ.

— მგონი, გასაგებად გითხარი — შენს ბრძანებებს აღარ ვასრულებ-მეთქი!

— ახლა შეასრულებ თუ შეასრულებ? — მშვიდად მიუგო გიგოლამ.

— ვითომ რატომაო?!

— იმიტომ, ჩემო გვრიტო, რომ ახლა, მარტო შენი კი არა, შენი ძმის ბელიც მთლიანად ჩემს ხელშია. და თუ ჭკუაზე არ მოხვალ...

— ისევ მეუბნები?! — გააწყვეტინა დეამ.



— არა. ისევ დიდსულოვნად გაფრთხილებ.

— შენ რა იცი, დიდსულოვნება რა არის?! შენ და შენისთანებმა ოღონდ ვინმე გაამწაროთ და...

— აჰ, ეგრე, ხომ? — მკლავში ხელი წაავლო გიგოლამ დეას.

— გამიშვი! — უიმედოდ გაიბრძოლა დეამ.

— აღარ გაჩუმდები, ლაწირაკო?! — ერთი კარგად შეანჯღღრია გიგოლამ დეა და თან, თვალბრუნებით ბოროტად ჩახედა. — მე რომ მართლა დიდსულოვანი არ ვიყო, ზოგიერთი ვაიბიხენსმენისგან ახლა „მწუროკებილა“ დარჩებოდა...

— გამიშვი-მეთქი, მტკივა! — ისევ უიმედოდ გაიბრძოლა დეამ, მაგრამ გიგოლამ მკლავზე ხელი კიდევ უფრო მოუჭირა:

— რატომ არ მეკითხები, რომელ ბიხენსმენზე ვლაპარაკობ?

— იმიტომ, რომ არ მაინტერესებს! ყველა ბიხენსმენს ჯანდაბამდე გზა ჰქონია!

— მართლა ყველას? — ჩაეკითხა გიგოლა დეას და თან, ხელი ისე სწრაფად გაუშვა, რომ დეამ კინაღამ წონასწორობა დაკარგა.

— ყველას! — უყვირა დეამ და თან, დაბუკებულ მკვლავზე ნერვიულად აისვდა ისევე ხელი.

— მაშ, ყველას, ხომ?! გამოდის, რომ



შენს საყვარელ გურამიკოსაც ჯანდაბაში ისტუმრებ...  
 ნაცნობი სახელის გაგონებაზე, დეას ჯერ თვალები გაუფართოვდა არაბუნებრივად, შემდეგ პირი ისე დაალო, თითქოს პაერი აღარ ჰყოფნისო და რის ვაი-ვაგლახით ამოთქვა:

– შენ... შენ გურამს საიდანღა იცნობ?...  
 – ტრამვაიდან...  
 – საიდან? – გულუბრყვილოდ ჩაეკითხა დეა.  
 – საიდან, ლამაზო, და გურამ ოდიშელიძის „პრიაში“ შეფი, ილია ბრინერი, ბადრი პატარიძის „პადელნიკი“ და გადაფსკენილი ძმაკაცია... ბადრი კი, ჩემ გარეშე, ვინმესთან დამძაკაცებას კი არა, დალაპარაკებასაც იშვიათად ბედავს, ასე რომ, დასკვნები თვითონ გამოიტანე...

საბოლოოდ განადგურებული დეა სკამზე მოწვევებით დაეშვა და თავი ჩაქინდრა:  
 – ნამდვილი ურჩხული ხარ...  
 – ისე, მთლად უფროსო ანგელოზი შენც არ უნდა იყო...  
 – ჩემი და გურამის ამბავი ბადრიმ გითხრა?... – თავი სასწრაფოდ ასწია დეამ და გიგოლას თვალი თვალში გაუყვარა.  
 – რა ამბავი? – მაშინვე თვალები დააბრიალა გიგოლამაც.  
 – რა და... წითელ მოედანზე, სრულიად შემთხვევით რომ შევხვდით ერთმანეთს... – სული ძლივსღა მოითქვა შიშით გამტკნარებულმა დეამ.  
 – ა-ა... მაგას გულისხმობ?... კი, ბადრიმ მითხრა, მაგრამ ის თუ იცი, ბადრის ვინღა ჩაუკაკლა ყველაფერი?...  
 – აბა, საიდან უნდა ვიცოდე?! – დამაშავე ბავშვივით აიწურა მხრები დეამ.  
 – ვინ და შენმა საყვარელმა გურამიკომ.  
 – სტყუი! – იყვირა უცბად დეამ. – გურამი ბადრის ჩემზე არაფერს ეტყობა!  
 – უთხრა, ლამაზო, უთხრა... – ჩაიქირქილა გიგოლამ. – თურმე კაცურად გამოუტყდა – ეგ გოგო მიყვარს, ამიტომ, როგორმე გიგოლა უნდა ჩამოვაშორო და დამეხმარე, ორ კვირაში ისევე მოსკოვში ვიქნები და პირისპირ შემახვედრეო...

– მერე? – გული საგულედან კინადამ ამოუხტა დეას.  
 – რა მერე?... ბადრიც ადგა და დაეხმარა... გადაღებული საქმე ეშმაკისაო და მაშინვე ჩემთან მორბენინა... და-

ვსხედით, ყველაფერი კაცურად გავარჩიეთ და ერთმანეთს მშვიდობიანადაც დავეცილდით...

– არ მჯერა! – იყვირა დეამ. – გურამს ვერ იოლად ვერ დაიყოლიებდი. ალბათ დაემუქრე ანდა რაღაც შანტაჟი მოუწვევე!..

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო?! ბატონი გურამი ხომ ჯერ ჩვენი საქმიანი პარტნიორია და მხოლოდ ამის შემდეგ – მეტოქე! თუცა, რატომ მეტოქე?! ჩვენ ხომ ერთმანეთს კინადამ ძმად გავეფიცეთ!..

– მართლა ილაპარაკეთ?... – გააწყვეტინა დეამ.

– ვილაპარაკეთ, – არხეინად მიუგო გიგოლამ.

– რაზე?

– ო-ო, აი, ეს კი უკვე მხოლოდ ჩვენ ორის საქმეა...

– მე სულ არაფერი მეხება?

– შენ წარმოიდგინე, რომ თითქმის არაფერი... მთელი საათი ისე ვილაპარაკეთ, რომ შენი სახელი, მგონი, არც გვიხსენებია...

– სტყუი! – ისევ იკვილა დეამ და ფეხზე წამოხტა.

– ჩემი თუ არ გჯერა, ბადრის ჰკითხე. ყველაფერი ნამდვილად ასე იყო...

– ბადრის რა უნდა ვკითხო?! – ისიც შენი კუდი... ორ კვირაში გურამი თვითონ ჩამოვა და...

– დაივიწყე! – უცბად ისე იღრიალა გიგოლამ, რომ ოთახში მაშინვე, დაფეთებული ელა შემოვარდა.

– რა გაღრიალებს? – უკვილა მან გიგოლას. – რა ვეღარ გარკვეე?! დასვენე ეს გოგო, ბოლოს და ბოლოს!

– ეგ მხოლოდ მაშინ დაისვენებს, მე რომ გამასვენებენ!.. – ჩაიღმუვლა გიგოლამ და ოთახიდან ისე სწრაფად გავარდა, რომ კარში უხერხულად გახიდულ დიმას კინადამ მხარი გააცალა.

– ცოტა ფრთხილად არ შეგიძლია?! – მხარზე ხელი იტაცა დიმამ.

– შემიძლია, როგორ არ შემიძლია! – ისევ ჩაიღმუვლა გიგოლამ და კარს ეცა. – ცოტა მაცალეთ, გაჩვენებთ, მართლა რა შემიძლია!

– ნუ იმუქრები, რა... – შეუღრინა დიმამაც. – არ შეგვჭამა?! გამოდის, რომ ამის ბრძანების გარეშე, ნაბიჯიც ვეღარ გადაგვიდგამს...

– ვერც გადადგამთ! – უცბად შემობრუნდა გიგოლა. – ისე, ცნობისთვის, ხვალ დილით, ორივე თბილისში მიდინართ და გაემზადეთ...

– ვინ ორივე? – ვერ გაუგო დიმამ.  
 – შენ და შენი ბეჭედდასმული ცოლი, ვინ?! – აგდებულად უპასუხა გიგოლამ.

– თბილისში რა დავგვრჩენია?!  
 – საქორწინო მოგზაურობაში გიმკვებთ... – ჩაიქირქილა გიგოლამ.

– იცი, რას გეტყვი?! – აიფოფრა დიმა. – შენი ცხვირი აშაყირე, გაიგე?

– მოიცა, დიმა! – გამოენთო ოთახიდან დეა. – ძალიანაც კარგი!.. წავიდეთ, ვნახოთ, როგორია მშობლიურ ქალაქში თაფლობისთვის გატარება...

– ცოტა ფრთხილად, გოგოებო და ბიჭებო! მხარი არ ამოივლოთ!.. – ბოროტად გაეღიმა გიგოლას და, როგორც იქნა, კარი გამოაღო. – ხვალ დილით გამოგვივლით და აეროპორტში წავიყვანთ.

– რომ არ წამოგყვეთ, რას გვიზამ? – მაინც დაადევნა დიმამ.

– ბევრს არაფერს: შენ მაშინვე ციხეში ჩაგაყუდებ – რომელი „პრიინას“ ვერ ვიპოვი?! – შენ კი, ლამაზო... – მოუბრუნდა გიგოლა დეას და შუბლზე საჩვენებელი თითი დაადო: – ... დიპლომის გარეშე დაგტოვებ.

– ჩემი დიპლომი რაღა შუაშია?! – წამოიქანავლა დეამ.

– იმ შუაშია, რომ შენმა დაქნულმა დეკანმა ქვა აავლო და თავი შეუშვირა – სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, რომ დეა ავალიანი ცოცხალი და საღ-სალამათია, მანამ მის საბუთებს აქედან ვერავინ გაიტანსო...

– მართლა ვერე თქვა? – გული აუჩუყდა დეას.

– მართლა. კაკომ ვინ აღარ მიუგზავნა, მაგრამ სათოფეხეც არავინ გაიკარა... ასე რომ, გადაწყვიტე, ხვალ დილაზე დრო კიდევ გაქვს...

– მოიცა, მეც წამოგყვები! – მიამახა გიგოლას დიმამ.

– ამ შუაღამისას შენ სადღა მომდევ?! – გაუკვირდა გიგოლას. – ღარჩი და ქალებს მიხედე!

– ჩემს ბინაში უნდა შევიარო და ტანსაცმელი წამოვიღო. მართლა ასე შიშველი გადარეულივით ხომ არ წავალ თბილისში...

– მაშინ, აეროპორტში შენი „ხოლით“ მოხვალ, იცოდე... – გააფრთხილა დიმა აშკარად კმაყოფილმა გიგოლამ.

– მოვალ, ნუ ნერვიულობ! – უპასუხა დიმამ და კარში პირველი გამკვრია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# დაუმარცხებელი როკი მარჩიანო მაფიოზთა სიაბაყა

ალექსი რეხვიაშვილი

## ბიბლიოგრაფია

ნამდვილი სახელი: როკო მარკვეჯანო  
 დაბადების თარიღი: 1923 წლის 1 სექტემბერი  
 დაბადების ადგილი: ბროკტონი (მასაჩუსეტსის შტატი, აშშ);  
 გარდაცვალების თარიღი: 1969 წლის 31 აგვისტო  
 სიმაღლე: 178 სმ  
 წონა სპორტული კარიერის მიწურულს: 83-84 კგ

**კრივის მოყვარულთა დიდი ნაწილისთვის როკი მარჩიანო დღემდე რჩება ყველა დროის უდიდეს მძიმეწონოსან მოკრივედ. ამ შეხედულების დასადავად, როკის თავიანთსმცემლებს საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტიც აქვთ: მათ კერძს ხომ, არც ერთი ორთაბრძოლა არც წაუგია და არც ფრედ დაუმთავრებია — პროფესიონალურ საკრივო რინგზე იგი მხოლოდ იმარჯვებდა. ამ მხრივ მას მართლაც, არ ჰყავს ბადალი. მიუხედავად ამისა, სკეპტიკოსები მაინც ამტკიცებენ, რომ მარჩიანო სულაც არ ყოფილა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოკრივე, უბრალოდ მას გაუმართლა და სწორედ იმ ეპოქასა და გარემოში უხდებოდა ასპარეზობა, რომელშიც ღირსეული მეტოქე თითქმის არასოდეს შეხვედრია. ასეა თუ ისე, როკი მარჩიანო პროფესიონალურ კრივში მაინც ლეგენდად ითვლება. მისი ოთხმოცი წლისთავი კი, ნამდვილად გვაძლევს იმის საბაბს, რომ ამ საინტერესო ათლეტის სპორტული და პირადი ცხოვრების შესახებ მოვუთხროთ ჩვენს მკითხველს.**

როკო მარკვეჯანო კლასიკურ იტალიურ-ამერიკულ ოჯახში იზრდებოდა. იგი მარკვეჯანოთა უფროსი შვილი იყო. როკოზე 18 წლით უმცროსი ძმა კი, მომავალში, სახელგანთქმული მოკრივის ყველაზე ცნობილ ბიოგრაფად იქცა. კრივით როკო საკმაოდ გვიან — 20 წლის ასაკში დაინტერესდა. ცხადია, მან თავისი სპორტული კარიერა სამოყვარულო რინგზე დაიწყო, სადაც 12 ორთაბრძოლა გამართა, რვაში გამარჯვებას მიაღწია, ხოლო ოთხი წააგო. ასე რომ, როგორც ვხედავთ, დაუმარცხებელი მოკრივის სახელით ცნობილ მარკვეჯანოს თავისი კარიერის დასაწყისში, წაუგებ მაინც უგემია. სხვათა შორის, კოული უოლესი, რომელმაც როკოს 1948 წლის მარტში სძლია, მრავალი წლის შემდეგ, ამ უკანასკნელს საკმაოდ ტლანქ და გამოცდილების არმქონე ბიჭად მოიხსენიებდა.



აღსანიშნავია, რომ თავისი ფიზიკური მონაცემებით როკო მარკვეჯანო ნაკლებად ჰგავდა მძიმეწონოსან მოკრივეს. არცთუ ისე დიდი სიმაღლის მქონე ათლეტი მხოლოდ 83-84 კგ-ს იწონიდა, თანაც მას საკმაოდ მოკლე ხელები და უჩვეულოდ მსხვილი, „მძიმე“ ფეხები ჰქონდა. ერთი სიტყვით, მისი დანახვისას, მწკრივნილები აღურთოვანებულნი ნამდვილად არ რჩებოდნენ. ისიც სიმართლეა, რომ იმავე უოლესმა ხაზი გაუსვა მარკვეჯანოს თითქმის მანიაკურ შეუპოვრობასა და გამარჯვებისკენ დაუოკებელ სწრაფვას. თუმცა, ახალგაზრდა მოკრივის ამ თვისებებისთვის იმხანად, ყურადღება არავის მიუქცევია. ეს არც იყო გასაკვირი: მათ ხომ მრავლად ენახათ როკოს მსგავსი, მოგების სურვილით აღვსილი, უშეშარი ბიჭუნა, რომელსაც თავისი ხასიათის შესაბამისი ფიზიკური მონაცემები არ ჰქონდა და ამიტომ, არაერთ მატჩს ნოკაუტში ჩავარდნილი ამთავრებდა... ერთი სიტყვით, როკო მარკვეჯანოს, სამოყვარულო რინგზე წარმატების მიღწევის არავითარი შანსი არ ჰქონდა. ხანგრძლივ ტურნირზე ასპარეზობისას, ყოველთვის მოიძებნებოდა ისეთი მოკრივე, რომელიც სამი რაუნდის განმავლობაში, რინგზე მის დარტყმებს გაექცეოდა და გამარჯვებისთვის

საჭირო ქულებსაც მოაგროვებდა... ამიტომაც, როკომ პროფესიონალურ კრივში საკუთარი ძალების მოსინჯვა სცადა. 1948 წლის ივლისიდან ლეკემბრამდე როკომ 11 ორთაბრძოლა ჩაატარა, მაგრამ რინგზე სულ 15 რაუნდი დაყო; საქმე ის განსაკუთრებით, რომ მან თავისი რვა მოწინააღმდეგე პირველსავე რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში, ორი — მეორეში და ერთიც — მესამეში. სწორედ იმ პერიოდში, ახალგაზრდა მოკრივემ სახელი შეიცვალა და პრომოუტორიც შეიძინა. როდესაც ერთ-ერთმა მეწველმა მარკვეჯანო პრომოუტორ ელი ვაილს შეახვედრა, ამ უკანასკნელმა იტალიელთან თანამშრომლობაზე მაშინვე უარი განაცხადა: მან როკო ძალზე არაპრეზენტაბელურ მოკრივედ მიიჩნია. მიუხედავად ამისა, ავტორიტეტული ვაილი მაინც დაარწმუნეს იმაში, რომ მას როკო მარკვეჯანოსთან მუშაობა წარმატებას მოუტანდა. ცნობილ პრომოუტორს კი, არც მოკრივის სახელი მოსწონდა. ელი ვაილს სურდა, რომ მას ცოტა ამერიკული ელფერიც შესძენოდა. ასე მოველინა პროფესიონალური კრივის სამყაროს როკი მარჩიანო (ამერიკაში მას მარსიანოდ მოიხსენიებენ). პროფესიონალური კარიერის დასაწყის-



ში, როკისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე ტედ ლაური აღმოჩნდა, რომელსაც იტალიელი მძიმეწონისანი 1949 წელს შეხვდა. ორთაბრძოლისას, აშკარა უპირატესობას არც ერთი ათლეტი არ ფლობდა, ამიტომ მოულოდნელი და სკანდალური ნამდვილად არ იქნებოდა ის, თუ მსაჯები გამარჯვებას ლაურის მიანიჭებდნენ. იმ მატჩში მარჩიანოს გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა ვაილის ფაქტორმა, რაც შემდგომ, მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ეს არც იყო გასაკვირი. 81 კგ-იანმა ტედ ლაურმა, რომელსაც რინგზე იმდენივე გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, რამდენჯერაც მარცხი ეწვნია, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია როკის.

ამბობენ, რომ მარჩიანო გაშმაგებით ვარჯიშობდა და საკრივო-ტექნიკურ ილეთებს სწრაფად ითვისებდა. კოული უოლესი იხსენებდა, რომ როკო მარკვეჯანომ თავისი სამოყვარულო კარიერის პერიოდში, დარტემისას, სხეულის კორპუსის გამოყენებაც კი არ იცოდა. სამაგიეროდ, იმას, რასაც ვერ ფლობდა როკო მარკვეჯანო, უმაღლეს დაუფულა როკი მარჩიანო. ამ უკანასკნელმა უკვე მშვენივრად იცოდა, თუ როგორ უნდა ექცია მთელი სხეულის გამოყენებით თავისი მარჯვენა ან მარცხენა აპერკოტი, ჰუკი თუ კროსი მეტოქისათვის საბედისწერო დარტემად. დაბოლოს, როკიმ კიდევ ერთი უნიკალური თვისება გამოავლინა: იგი ფანტასტიკური ამტანობის მქონე მოკრივე გახლდათ. რამდენი რაუნდიც არ უნდა გაეტარებინა რინგზე, ფაქტობრივად, მინც არ კარგავდა სისწრაფესა და მოქნილობას.

1950 წელს მარჩიანომ კიდევ ერთი დამაბული მატჩი ჩაატარა ცნობილ მძიმეწონისან ლა სტარზთან. იტალიელმა გამარჯვებას იმით მიაღწია, რომ მეოთხე რაუნდში ნოკაუნში გაგზავნა მეტოქე. როკის პროფესიონალურ კარიერაში ეს უკანასკნელი იყო იმ ორთაბრძოლებიდან, რომელშიც მოწინააღმდეგეებ ეჭვქვეშ დააყენა მისი აშკარა უპირატესობა.

1951 წლის 26 ოქტომბერს როკი მარჩიანო სახელოვან ჯო ლუისს შეხვდა, რომელიც 1937-1949 წლებში, მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობას არავის უთმობდა. შემდგომში, ამ ორთაბრძოლის გახსენება თავად მარჩიანოსაც არ უყვარდა, რადგან იცოდა, რომ მაშინ ლუისი თავისი წარსული დიდების აჩრდილსა წარმოადგენდა. მას აღარც სათანადო რეაქცია ჰქონდა და ბევრ დარტემასაც უშვებდა, გამოცდილება და საბრძოლო ინსტინქტი სხვა მოკრივეთა დასამარცხებლად ჰყოფნიდა, მაგრამ მისი ეს თვისებები მარჩიანოს ძლიერისთვის ნამდვილად არ იყო საკმარისი. მოუხედავად ამისა, ჯომ პირველი ხუთიდან, სამ რაუნდში გაიმარჯვა, თუმცა უკვე პირველშივე კინალამ ნოკაუნში აღმოჩნდა. იგი თანდა-

თან, ძალას კარგავდა, მეექვსე რაუნდში კი, პრაქტიკულად „გამოეთიშა“ ფენები, რის გამოც თავის დაცვას კლინით ცდილობდა. როკი მარჩიანო კი, მას გალიზიანებულ ხარვეთს დასდევდა, მოსვენებას არ აძლევდა და რინგის რომელიმე კუთხეში მის მიმწვევლევას ლაშობდა. მეშვიდე რაუნდში ლუისმა საკმაოდ კარგი მარცხენა ჰუკი განახორციელა, მაგრამ გააფთრებული მარჩიანო მაინც ვერ შეაჩერა. მერვე რაუნდში როკიმ მარცხნიდან ძლიერი დარტემი მიაციენა მეტოქეს; ჯო დაეცა, მაგრამ წამოდგომა მაინც შეძლო. ამის შემდეგ, ბაგირთან მომწვევლელ ლუისს როკიმ კიდევ რამდენჯერმე დაარტყა. ჯო რინგიდან გადავარდა. ბაგირს შიგნით მხოლოდ მისი ფეხი დარჩა... აღსანიშნავია, რომ იგი როკი მარჩიანოს მიერ განხორციელებულ ბოლო მარჯვენა კროსს კარგად ხედავდა, მაგრამ იმდენად არაქათამოცილი იყო, რომ თავის დაცვაც ვეღარ მოახერხა. ასე დაასრულა ჯო ლუისმა თავისი საკრივო კარიერა. როკიმ კი, ბოლო კროსს, თავის ცხოვრებაში „ყველაზე სეკლიანი დარტემი“ უწოდა. შემორჩენილია აუდიოჩანაწერი, რომელშიც მარჩიანოს ეკითხებიან – თუ ვინ იყო ყველაზე გამორჩეული მძიმეწონისანი კრივის ისტორიაში? „რა თქმა უნდა, ჯო ლუისი, – პასუხობს იტალიელი. – მე გამომართოდა, რადგან მას სწორედ მაშინ შეხვდები, როდესაც კარიერას ასრულებდა. არა მგონია, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმაში ყოფნის პერიოდში, ვინმეს შესძლებოდა ლუისის დამარცხება. როდესაც იგი ზენიტში იმყოფებოდა, მასთან შეხვედრას ნამდვილად არ ვისურვებდი: მაშინ ხომ ჯო, მოკრივე კი არა – ნამდვილი საშინელება გახლდათ“.

1952 წლის 23 სექტემბერს როკი მარჩიანო მძიმეწონისან მსოფლიო ჩემპიონ ჯერსი ჯო უოლკოტს შეხვდა. თავიდან, როკის ძალიან გაუჭირდა, რადგან უოლკოტი შეტევებისას, მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ამ კომპონენტში ის აშკარად სჯაბნიდა მარჩიანოს და მთლიანად ფლობდა ინიციატივას. პირველ რაუნდში ჯერსიმ მარცხ-

**ბაგირთან მომწვევლელ ლუისს როკიმ კიდევ რამდენჯერმე დაარტყა. ჯო რინგიდან გადავარდა. ბაგირს შიგნით მხოლოდ მისი ფეხი დარჩა...**

ენა ჰუკი განახორციელა, რამაც საკმაოდ მაგრად შეაჯანჯღარა იტალიელი, რამდენიმე წამის შემდეგ კი, იგივე დარტემის შედეგად, როკი ნოკაუნშიც აღმოჩნდა – პირველად თავისი პროფესიონალური კარიერის მანძილზე. ფეხზე ადგომისთანავე, მარჩიანომ აქტიურად შეუტია მეტოქეს, თუმცა მაცურებელთა დიდ ნაწილს მისი იერიშები უფრო ქაოსურად მოეჩვენა, ვიდრე გააზრებულ და მიზანმიმართულ მოქმედებად... მიუხედავად ამისა, მეორე რაუნდიდან, ბრძოლა თანდათან გათანაბრდა. ინიციატივას ხან ერთი მოკრივე ფლობდა, ხან მეორე. უოლკოტი იერიშებისას მიზანს უფრო ხშირად აღწევდა, მაგრამ მარჩიანოს დარტემები აშკარად, ეფექტს აღწევდა. 12 რაუნდის შემდეგ, სამივე მსაჯის საერთო დასკვნის თანახმად, უფრო დამაჯერებლად უოლკოტი გამოიყურებოდა; ერთმა არბიტრმა მას უპირატესობა ექვს რაუნდში მიანიჭა, ხოლო მარჩიანოს – ხუთში (ერთი საყამო რაუნდით); მეორემ, 7 რაუნდში ასევე უოლკოტი მიიჩნია უკეთესად, ხოლო მესამემ – რვა რაუნდში; ჯო უოლკოტს ისლა დარჩნოდა, რომ ქულებით უპირატესობა შეენარჩუნებინა. ამაში არც ვინმეს ეპარებოდა ეჭვი და როკის მეტოქეც, მე-13 რაუნდში საკუთარ ძალებში დარწმუნებული გავიდა რინგზე. ის ცდილობდა, გაქცეოდა მარჩიანოს ძლიერ დარტემებს, მაგრამ მატჩის ბოლომდე თავის დაცვა მაინც ვერ შეძლო. ერთხელ, ჯო ბაგირთან აღმოჩნდა და ყველასათვის მოულოდნელად, მეტოქის მიერ ახლო დისტანციიდან დარტემული მარცხენა ჯები ვერ მოიგერია, რასაც მარჯვნიდანაც მოჰყვა ძლიერი დარტემი. უოლკოტი მუხლებზე დაეცა, მარჩიანომ კი, ფაქტობრივად რინგზე მჯდომ



ინფორმაციული-მედიისეკონომიკის კონკურენცია

ეონი დეალის უბის ნიუნაკონი:

- 1. ნოე, ადამის მეთე შთამომავალი იყო.
- 2. ძველი ეგვიპტელები კატას მათს ეძახდნენ.
- 3. მამრ ჰიპოპოტამს სასქესო ორგანო უკან აქვს მიმართული.
- 4. XVII საუკუნემდე რუსეთში ყველანაირ იარაღს რუჟიოს ეძახდნენ.
- 5. მიხაილ კუტუშოვი პეტერბურგში, ყაზანის ტაძარში დაკრძალული.



- 6. ლეღვის ყვავილები პატარა კრაზანის – ბლასტოფაგას მემკვიდრეობით იმტვერება.
- 7. გაბრიელ ლოველი ფრანგი კომპოზისი – მაქს ლინდერის ნამდვილი სახელი და გვარია.
- 8. ნობელის პრემიის გადაცემის სახეიმი ცერემონია სტოკჰოლმსა და ოსლოში

- 9. XX საუკუნის 80-იან წლებში ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტელეკომპანიამ სასამართლოში უჩივლა ავეჯის მწარმოებელ ფირმას. ტელეკომპანიის მესვეურთა რისხვა გამოიწვია ამ ფირმის საგარეოების რეკლამის ტექსტმა, რომელიც ასე ჟღერდა: „ჩვენი ფირმის საგარეოებში თქვენ ნებისმიერი ტელეგადამცემის დროს ჩათვლით“.
- 10. ზოპარკისთვის შესაძენი ცოცხალი გველის ფასი, ისევე, როგორც გველის ტყავის ფასი, სიგრძით განისაზღვრება.
- 11. „სპასი ვას ბოე!“ ამბობდნენ ძველი რუსები. ეს ფრაზა თანამედროვე რუსულში ასე ჟღერს: „სპასიბო!“
- 12. ძველ საბერძნეთში არსებობდა უჩვეულო პროფესია: ამ პროფესიის ადამიანები დარბოდნენ ათენის ქუჩებში და მცირეოდენი გასამრჯელოს ფასად ყველა მსურველს აუწყებდნენ, თუ რა დროს უჩვენებდა ქალაქის მზის საათი.
- 13. ძველი ეგვიპტელების იეროგლიფურ მწერლობაში ადამიანის სახელის შემდეგ აუცილებლად იხატებოდა მამაკაცის, ქალის ან ბავშვის ფიგურა.
- 14. ლენინი 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა. ბელადის ნეშტს ბალზამირება პროფესორმა აბრიკოსოვმა ჩაუტარა.
- 15. ჩვენამდე მოღწეული ქართულ ლექსიკონთაგან უძველესია პაოლინის მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი. იგი 3084 სიტყვას შეიცავს, რომში 1629 წელს არის გამოცემული და პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნად ითვლება.
- 16. თეთრი და ცისფერთვალება კატები

მეტოქეს არცთუ ისე ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმა მიყენა. ეს საქციელი მაინცდამაინც ლამაზი არ გახლდათ, მაგრამ ორთაბრძოლის წესები როკის ნამდვილად არ დაურღვევია... ეს პროფესიონალურ რინგზე მარჩიანოს 43-ე ორთაბრძოლა და 43-ე გამარჯვება გახლდათ.

1953-1955 წლებში როკი მარჩიანომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ექვსჯერ დაიკვა. პირველი მატჩ-რევანში მან ჯერ-სი ჯო უოლკოტთან გამართა და 2 წუთსა და 25 წამში დაამარცხა მეტოქე. შემდეგ, როლანდ სტარზის დროც დადგა, რომელიც მე-11 რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხდა. „იგი 5000%-ით უკეთესია, ვიდრე იყო“, – უთქვამს მატჩის შემდეგ ლა სტარზს. ამ ორთაბრძოლას წინ უსწრებდა საინტერესო ეპიზოდი, რომელიც მშვენივრად ასახავდა როკი მარჩიანოსა და პრომოუტერ ელ ვაილის ურთიერთდამოკიდებულებას.

როკის საწვრთნელი ბაზა ნიუ-იორკიდან 100 მილის (130-ოდე კმ) დაშორებით მდებარეობდა და იტალიელი მოკრივე ქალაქამდე მისვლას ადგილობრივი სასტუმროს კუთვნილი პატარა თვითმფრინავით აპირებდა. როდესაც როკის, თვითმფრინავში ასვლა დაუპირებია, შიგნით მჯდომ ვაილს მისთვის მკაცრად მიუთითებია: უშჯობესია, ნიუ-იორკში ავტომობილით გაემგზავრო. შემორჩენილია ფოტოსურათებიც, რომელზეც აღბეჭდილია, თვითმფრინავში მჯდომი ვაილი სახის როგორი გამომეტყველებით მოძღვრავს მარჩიანოს – როგორც სკოლის დირექტორი – მოსწავლეს.

იმასაც ამბობენ, რომ მარჩიანო, რომელსაც არავისი და არაფრისა არ ეშინოდა, მხოლოდ თავის პრომოუტერს უფრთხილდა. ვაილი მისი ჰონორარების 50%-ს იღებდა და როკის ერთხელაც არ უცდია მათი ურთიერთთანამშრომლობის პირობების გადასინჯვა. გარდა ამისა, პრომოუტერი მის პირად ცხოვრებაშიც ერეოდა. მაგალითად, როკი მას საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე სთხოვდა იმის უფლებას, რომ ბარბარა კაზინსზე ექორწინა. „ეს ხელს შემომლის ჩემი გეგმების განხორციელებაში, რომელიც შენს კარიერასთანაა დაკავშირებული“, – პასუხობდა თურმე მოკრივეს ელ ვაილი, თანაც ხშირად, უცხო პირთა თანდასწრებითაც... მიუხედავად ამისა, ბოლოს, პრომოუტერმა დაოჯახების ნება მაინც დართო როკის. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ვაილისა და მისის მარჩიანოს დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

1954 წლის 17 ივლისს როკი ექსპემპიონ ეზარდ ჩარლზს შეხვდა, რომელიც

იმ პერიოდში უკვე აღარ იმყოფებოდა საუკეთესო ფორმაში. მიუხედავად ამისა, მან მეტოქისათვის დარსეული წინააღმდეგობის გაწევა შეძლო და მხოლოდ ქულებით დამარცხდა. სწორედ ამ ფაქტის გამო, სკვაპტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ იმას, რომ როკი მარჩიანო კრივის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მძიმეწონოსანია. შემდგომში როკი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ეს მატჩი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა მის საკრივო კარიერაში.

უკვე 1954 წლის 17 სექტემბერს მარჩიანოსა და ეზარდს შორის მატჩ-რევანში შედგა, რომელშიც იტალიელმა მძიმეწონოსანმა ნოკაუტით გამარჯვება შეძლო.

ამის შემდეგ როკი მარჩიანომ კიდევ რამდენიმე ორთაბრძოლა ჩაატარა და თითოეულში გაიმარჯვა.

1956 წლის 27 აპრილს სახელოვანმა მოკრივემ საჯაროდ განაცხადა, რომ რინგს ტოვებდა. მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზით არ ყოფილა განპირობებული. უკვე ძალიან იყო გამწვავებული მოკრივის ურთიერთობა პრომოუტერთან, რომელსაც როკის მეუღლე და დედა მასზე მეტად უპირისპირდებოდნენ. არადა, მარჩიანოსთვის ოჯახი ყველასა და ყველაფერზე მაღლა იდგა. გარდა ამისა, იტალიელ მძიმეწონოსანს ძალიან აწუხებდა ზურგის ქრონიკული ტრავმა. მესამე მიზეზი კი ის გახლდათ, რომ როკი მარჩიანო გაუთავებელი ორთაბრძოლებით საკმაოდ გადაღლილი ჩანდა. მისი მეგობრები იხსენებდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონს საერთოდ არ უყვარდა ჩხუბი, განსაკუთრებით, როცა დარტყმები თავში ხვდებოდა: მარჩიანო შიშობდა, რომ შემდგომში, ეს უარყოფითად იმოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე. როგორც ყველა ადამიანს, რომელიც სიღარბეში იყო გაზრდილი, როკისაც ძალზე ეშინოდა, რომ ოდესმე, მისი ოჯახი კვლავ გაჭირვებაში შეიძლებოდა ჩავარდნილიყო, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ეს უკვე აღარ მოხდებოდა, კრივისადმი ინტერესი მაშინვე გაუწეულა.

რინგიდან წასვლის შემდეგ, მარჩიანო მაინც ვარსკვლავად დარჩა. თანაც, დროთა განმავლობაში, მოკრივის დიდება კიდევ უფრო იზრდებოდა. სხვა მოკრივეთაგან განსხვავებით, რომლებიც დიდ გამარჯვებებს აღწევდნენ, მაგრამ მარცხდებოდნენ კიდევ, მარჩიანო უძლეველი დარჩა. თუმცა, იგი მხოლოდ იმიტომ როდი უყვარდნო, რომ ჩემპიონი იყო. როკის აფასებდნენ, როგორც ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ, ბუნებრივია, სისუსტეები მასაც ჰქონდა. „იგი საკუთარ თავს არასოდეს მიიჩნევდა დიდ ოსტატად; როკი ძირითადი, კარ-





ყველაზე მეტად ამერიკის სამოგადოება მაფიასთან როკის კავშირის შესახებ გავრცელებულმა ცნობამ ჩააგლო შოკში

გად აღზრდილი ადამიანი, დიდი მებრძოლი, შეუპოვარი მეტოქე, არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა იყო, - იხსენებდა ჟურნალ The Ring-ის გამომცემელი, ნეტ ფლიაშერი.

ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როკი მარჩიანო, რომელიც 1969 წლის 31 აგვისტოს, პატარა თვითმფრინავით მგზავრობისას ავიაკატასტროფაში დაიღუპა. სამწუხაროდ, სახელგანთქმული მძიმეწონისან თავისი ყოფილი პრომოუტერის უკმეხმა ხასიათმა მიიწვევრა შეაძულა საპაერო ტრანსპორტი...

როკი მარჩიანოს დაღუპვიდან თითქმის 30 წელი იყო გასული, როდესაც მისი ზოგიერთი ნაცნობი საჯაროდ ალაპარაკდა სახელგანთქმული მოკრივის ნაკლოვანებებზე. თითქმის ყველა მათგანმა როკის ხასიათის თავისებურებების შესახებ შორეულ 50-იან წლებშიც მშვენივრად იცოდა, მაგრამ მოკრივე ისეთი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ხალხში, რომ ამ თემაზე საუბარი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაბედეს.

ერთ-ერთი უარყოფითი თვისება, რომელსაც როკი მარჩიანოს მიაწერენ, მისი სიძუნწე გახლდათ. მოკრივეს სიგიჟედვე ჰყვარებია 100-დოლარიანი კუბიურები და ფულის დასტებს საგულდაგულოდ ინახავდა. გადაძალადი თანხის დიდი ნაწილი მოკრივის სიკვდილის შემდეგ ვერაინ იპოვა. ამბობენ იმასაც, რომ როდესაც მარჩიანოს რესტორანში ეპატიჟებოდნენ, იგი უფულოდ მიდიოდა (რაც ამერიკაში იც არცთუ ისე კარგ ტონად ითვლება) და როდესაც საფასურის გადახდის დრო აღდგებოდა, გაიღიმებდა და ირგვლივ ისე

მიმოიხედავდა, თითქოს ეს მას აბსოლუტურად არ ენებოდა...

ზოგი იმაზეც ალაპარაკდა, რომ როკი მარჩიანო სულაც არ ყოფილა ცოლის ერთგული და სისტემატურად ლალატობდა ბარბარა კაზინს. მაგრამ ყველაზე მეტად ამერიკის საზოგადოება მაფიასთან როკის კავშირის შესახებ გავრცელებულმა ცნობამ ჩააგლო შოკში. ამ ფაქტს თავად მოკრივეც არ მალავდა. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მისი კონტაქტი ორგანიზებულ დანაშაულებასთან შემთხვევითი არ ყოფილა: იგი შეგნებულად თანამშრომლობდა ამერიკულ მაფიასთან და მშვენივრად იცოდა, რომ მის ფულს ხშირად, ნარკობიზნესში აბანდებდნენ...

1968 წელს როკი მარჩიანოს სერიოზული პრობლემები შეექმნა გადასახადების გამო, რაც მის ნაცნობ, რეკეტიორ, პერიონო დი გრავიოსთან როკის საინვესტიციო თანამშრომლობით იყო გამოწვეული. ექსტრემიონი კლივლენდში სწორედ მასთან გამგზავრებას აპირებდა, როდესაც შეიტყო, რომ დი გრავიო გოლფის მოედანზე მოუკლავთ...


1969 წლის დასაწყისში, როკი მარჩიანოს, ციხეში მომაკვდავი სახელგანთქმული მაფიოზი ღონ ვიტო ჯენოვეზი მოუნახულებია, რომელსაც გამოშვებებისას, მოკრივისათვის შემდეგი სიტყვები უთქვამს: „ბევრმა ჩვენგანმა ცხოვრებაში უამრავი ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ შენ ჩვენი სიამაყე იყავი“...

ცნობილია, რომ როკი მარჩიანო ვინმე ფრენკი კარბოსთანაც მეგობრობდა, რომელიც „მაი სამყაროს“ კიდევ ერთ წარმომადგენელთან - ბლინკი პალერმოსთან ერთად, პრაქტიკულად მილიანად აკონტროლებდა საკრივო ბიზნესმაფიას. ერთხელ როკის, კარბო შინ მიუწვევია; მოკრივის დედას (რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე), მაფიოზისთვის გულუბრყვილოდ უკითხავს: ფრენკი, შენ რა საქმიანობას ეწევი? კრიმინალთა ავტორიტეტს მისთვის ხარხარით უპასუხია...

აი, ასეთ გარემოში უხდებოდა ცხოვრება და გზის გაკვალვა როკი მარჩიანოს, რომელიც შეიძლება, არც ყოფილა უძლიეველი მოკრივე ანდა უბრალოდ, ისეთ დროს მოუწია რინგზე ასპარეზობა, როდესაც მისი მომრევი მართლაც არავინ იყო... თუმცა ამჟამად, ამაზე კამათს ალბათ აზრი არცა აქვს. ფაქტია: როკი მარჩიანო დაუმარცხებელი წავიდა პროფესიონალური რინგიდან.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკედან:



ყრუები არიან. თუ თეთრ კატას მხოლოდ ერთი - მაგალითად, მარჯვენა თვალი აქვს ცისფერი, იგი მარჯვენა ყურით იჭენება ყრუ.

17. ბრინჯაოს ხმლებით შეიარაღებულ ძეგლებზე მეომრებს ბრძოლის დროს ხშირად უხდებოდათ შერეობა, რათა გაღწეული მხვილები გაესწორებინათ.

18. კორავაების ტომში ქალის მშობიარობის შემდეგ, ჯან-ღონის მოსამატებელ საშუალებას მის ქმარს აძლევდნენ.

19. საბჭოთა კომპოზიტორის აბრამოვის ნაწარმოებებს შორის ყველაზე ცნობილია 1922 წელს დაწერილი „საყვირთა სიმფონია“. იგი ქარხნის საყვირების საშუალებით სრულდება.

20. ხმის იოგების შესასწავლად, ლეონარდო და ვინჩის, ადამიანის გვამის მაგივრად, მკვდარი ხარის გაკვეთა უხდებოდა, რადგან დაკვირვებისთვის მას მხოლოდ ჩამოხრჩობილ ადამიანთა გვამებზე მიუწვდებოდა ხელი.

21. სერვანტეს „ღონ კიხოტის“ პირველ ტომში ნახსენებია ჰყავს სანჩო პანსას ცოლი სუანა, მაგრამ მეორე ტომის წერისას მას ეს დაავიწყდა და სანჩოს ცოლს ტერესა დაარქვა. კომენტარის შედგენისას, სერვანტესმა შეცდომის გასასწორებლად, სანჩო პანსას ცოლს სუანა-ტერესა უწოდა.

22. ტანზანიაში მცხოვრებ ტომებს სჯერათ, რომ პითონი სიკვდილის წინ ძვირფას ქვას გადმოაფურთხებს ხოლმე, რის გამოც გველის სიკვდილის მომსწრენი, თუ ქვა ვერ აღმოაჩინეს, მის მოპარვაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.



23. როხალია, დიანა, ჯელადა, მანდრილი, უაკარი, კოატა გვერუცა, მირიკინი - ეს მათშეთა ჯიშების ჩამონათვალაია.

24. აღდგომის კუნთულის მკვლევარებმა ვერაფრით დაადგინეს, თუ რა საშუალებით ახერხებდნენ კუნთულის უძველესი მცხოვრებნი ქვის უზარმაზარი კერპების გადაადგილებას. ამის შესახებ მათ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც კი ჰკითხეს, მაგრამ მათი პასუხი დიდდ ვერაფრით დაეხმარათ: კერპები თავისით გადაადგილდებიან - იყო პასუხი.

25. „ეკლესიას უნდა მიეღო ზომები და მან კიდევ აღასრულა თავისი ვალი. პროცესის დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ყველაფერი კანონის დაცვით გაკეთდა და თუ ჩვენ ვხედავთ, რომ მსჯავრდებული დაისაჯა, მიზეზი თვითონ მსჯავრდებულში უნდა ვეძებოთ“, - წერდა კარდინალი ანჯელო მერკატი ჯორდანო ბრუნოს შესახებ.

# როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

## თავი არ სტკივართ უ. . . . .

### „თავი აღამიანს აქვს ერთი. მისი დონორის არ არსებობს. ამიტომ უმჯობესია გავუფრთხილდეთ.“ /კეთილი აქიმის რჩევა/



იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასოდეს სტკივებია თავი. აუცილებელია ვიცოდეთ! თავის ტკივილი 45-ზე მეტი დაავადების სიმპტომია. გაიხსენეთ რამდენი უსიამოვნება შეიძლება მოგიტანოთ თავის ტკივილმა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამსახურში ვერ ახდენთ ყურადღების კონცენტრირებას, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ასე სახარბიელო სამსახურის დაკარგვაც მოსალოდნელია. პირად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რომელ გუნება განწყობილებაზეა ლაპარაკი, როდესაც თავი ეს-ესაა "გაგისკდება".

გინდა მხოლოდ ერთი – დალიო აბი, ჩაწვე ლოგინში და არავინ შეგაწუხოს. წლების მანძილზე თავის ტკივილი გაბეზრებდათ თავს, და აი დადგა გამარჯვების დღე!

ამერიკული კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ მსოფლიოში კარგად ცნობილ პრეპარატს "გინკო-სმარტი", რომელიც დამზადებულია მცენარეულ ინგრედიენტებზე.

"გინკო-სმარტი"-ის დადებითი ზემოქმედება ორგანიზმზე განპირობებულია მასში შემავალი უნიკალური ნაერთების მიერ, რომლებიც როგორც აჩვენა პრაქტიკამ და კლინიკურმა გამოკვლევებმა:

- ახდენენ მენსიერების ძლიერ სტიმულაციას, ყურადღების კონცენტრირებას;
- იცავენ ტვინის უჯრედებს ნაადრევი სიბერისაგან;
- აუმჯობესებენ მხედველობას და სმენას;
- ამაგრებენ სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას;
- აწესრიგებენ არტერიულ წნევას;
- ამცირებენ ინფაქტისა და ინსულტის რისკს;
- აუმჯობესებენ კანის მდგომარეობას;
- ასუსტებენ დეპრესიის სიმპტომებს.

„ნუტრიმენტ ჰაუსში“ კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150  
ტელ: 95-65-03; 96-06-67  
სამუშაო საათები: ყოველდღე  
კვირის ბარდა 10.00 - 18.00  
www.shopge.com






# Volvo-ს სპორტული აღტეხნატივა

შვედური კომპანია განთქმულია, როგორც ძალზე საიმედო, უსაფრთხო ავტომობილების მწარმოებელი. მაგრამ უკანასკნელ წლებში, „ვოლოვ“ არანაკლებ ყურადღებას, სისწრაფესა და დინამიკურობას აქცევს და ბაზრის ამ სეგმენტში, კლასიკური სპორტული მანქანების მშვენიერ ალტერნატივას სთავაზობს ავტომოყვარულებს. ამგვარი მანქანების რიგში განსაკუთრებით გამოირჩევა Volvo S60 R AWD. სრული ამძრავი და 300 ცხ.ძ-ის მქონე, 2,5-ლიტრიანი ბენზინის ძრავა საუცხოო ტექნიკური მახასიათებლების საფუძველს წარმოადგენს: 100 კმ/სთ სიჩქარეზე მიღწევის დრო – 6 წმ, 130-მდე – 9,6 წმ, მაქსიმალური სიჩქარე – 256 კმ/სთ (მანქანა აღჭურვილია ელექტრონული შემზღლდავით); 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი და რეგულირებადი საკიდარი, რომელიც მძღოლს საშუალებას აძლევს, ერთი ღილაკის დაჭერით, ხან Comfort-ის (ე.ი. უფრო რბილი მოძრაობა) რეჟიმში ჩართოს, ხან Advanced (სპორტული სტილი). Volvo S60 R AWD, უნივერსალის ვარიანტიაც გამოდის, რომელსაც V70 R ეწოდება. საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ გავლილ 100 კმ-ზე, 14,2 ლ-ს შეადგენს. რაც შეეხება ფასს – S60 R AWD, 50.250 ევრო, ოპციების შემთხვევაში კი – 60.000-მდე ეღირება.



# უნივერსალური Jaguar




ბლობს. მაგალითად, Audi A4-ის წილი, ყველა ტიპის A4-ის მანქანებში 67%-ს შეადგენს, BMW Touring-ისა – მე-3 სერიის BMW-ში – 25%-ს, C კლასის Mercedes-ებს შორის კი, გაყიდულ უნივერსალთა რაოდენობა 31%-ს აღწევს.

Jaguar X-Type-ის პლატფორმას Ford Mondeo წარმოადგენს (როგორც ცნობილია, ბრიტანული მარკა ახლა, ამერიკულ კორპორაციას ეკუთვნის). მოდელის კონსტრუქტორებმა მთლიანად შეცვალეს უკანა კარისა და სახურავის გარეგნული იერი. ახალი უნივერსალის საბარგულის მოცულობა 470 ლ-ს შეადგენს. იატაკში, სათადარიგო ბორბლის ბუდე და ელექტროჩამრთველიანი, სპეციალური დანაყოფია, რომელიც პორტატული კომპიუტერის დასამუხტადაა განკუთვნილი. მანქა-

ნის უკანა კარი ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომელიც ცალ-ცალკე იღება. უნივერსალი ისეთივე ძრავებით იქნება აღჭურვილი, როგორც X-Type-ის სუდანს აქვს ჩადგმული. ესენია: 2-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი „დიზელი“ (130 ცხ.ძ.) და სამი 6-ცილინდრიანი, ბენზინის ძრავა – 2-ლიტრიანი (156 ცხ.ძ.), 2,5-ლიტრიანი (196 ცხ.ძ.) და 3-ლიტრიანი (231 ცხ.ძ.). მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად, მანქანას აღჭურვავენ 5-საფეხურიანი მექანიკურ ან ავტომატურ გადაცემათა კოლოფით. თუმცა Estate-ის ფასები ჯერ გამოცხადებული არ არის, ექსპერტთა პროგნოზით, ყველაზე იაფი – 30.000 ევრომდე, სრულამძრავიანი ვერსიები კი – არანაკლებ 40.000 ევროსი ეღირება.

სახელგანთქმული ინგლისური ავტომობილის სამოდელიო რიგს ახალი ნიმუშები ემატება. მალე, უფრო ზუსტად – 2004 წლის გაზაფხულზე, ბაზარზე გამოჩნდება Jaguar X-Type (Estate), რომელიც საერთოდ, „იაგუარის“ ისტორიაში პირველი უნივერსალი იქნება. საავტომობილო ბაზრის ახალ სეგმენტში დებიუტი, ტრადიციული ინგლისური მარკისათვის იმულებითი გახლავთ: საქმე ის არის, რომ კომპანიის მთავარი კონკურენტები – „აუდი“, „ბეუვ-ე“ და „მერსედესი“ – უკვე კარგა ხანია, აწარმოებენ უნივერსალებს, რომლებიც გამოდებით დიდი მოთხოვნილებით სარგე-



გაგრძელება. წინამორბედი წერილი  
იხ. „გზა“, №34

**ალექსი რეხვიაშვილი**

ორი თვის წინ, ამერიკული ციხის „ბინადარს“ თავიდან, თავისუფლების განცდასთან შეგუება უფრო გამიჭირდა, ვიდრე გისოსებიდან სამყაროს „თვალთვლება“... ჯერ იყო და, აღარაფრის იმედი არ მქონდა, მერე წყალნაღებულივით ვეჭიდებოდი იმ ფაქტს, რომ სრულიად უდანაშაულო ვიყავი... მაგრამ როგორი დასამტკიცებელია შენი უცოდველობა, როცა მანქანაში, სავარძლის ქვეშ დიდძალ მარისუანას აღმოგიჩენენ — მარისუანას, რომელზეც წარმოდგენაც კი არა გაქვს და რომ იტყვიან, სიზმარშიც არ გინახავს...

ასე იყო თუ ისე, სიმართლემ გაიმარჯვა! უკვე გარეთ ვიყავი გამოსული, თანაც — ჩემს გათავისუფლებაზე ფიქრმა ორ მშვენიერ ქალს დააკარგვინა მოსვენება. კისამ, ჩემმა ძველმა კეთილმა მეგობარმა (რომლის სასტუმროშიც ადრე ვმუშაობდი) ადვოკატიც კი დამიჩიროვა, ხოლო სვეტამ (ჩემი ყოფილი დიასახლისის ქალიშვილმა), თანადგომა იმით გამოსახა, რომ ჩემს მკერდზე ცხარე ტრემლები ღვარა — მაპატიე, რომ ჩემმა ამერიკელმა ქმარმა შენი უდანაშაულობა არ ირწმუნა და არ დაგეხმარა...

მოკლედ, გული თუ არ გამისკდებოდა ამდენი ემოციისგან, არ მეგონა... თანაც, ახლა უკვე ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებდი...

**ჩემი ძმები – ზანგები...**

განსაკუთრებით ფერადკანიანებს ვუფრთხილდი. ის ნარკოდელერებიც ხომ ფერადკანიანები იყვნენ, რომელთა გამოც ამხელა სათაბალაში გავეხვე... ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ლამის მთელი კვირა, შინიდან ვერ გამოვალწიე. მოდიოდნენ ქართველი ბიჭები და გადარჩენას მილოცავდნენ. დაასლოებით ხომ ხვდებით, მოლოცვას რაც მოჰყვებოდა და... გროვდებოდა ოთახის ერთ კუთხეში ღვინის, შამპანურის, არყისა და ლუდის ბოთლები. გვიემ (ჩემმა წნორელმა მეგობარმა) შოტლანდიური ვისკიც მოიტანა და ნაღდი გერმანული ძეხვიც (მაგის ამბავი ხომ იცით — ახლა ვიღაც ფრაუ გაუცინია...); იყო ერთი ჰარიჰარალო ჩემი და

**ნიუ-იორკი ისეთი  
ქალაქია, სადაც  
შეიძლება გააითრას  
ის, რას არ უნდა  
კითხოვოდე!**



დიმა ბაზელის ბინაში (რომელიც არც-თუ ისე დიდი ხნის წინ დავიქირავეთ)...

მაგრამ ქეისაც ხომ აქვს დასასრული და მეც დავაღწიე თავი მეგობრების გარემოცვას — ემიგრანტული ცხოვრება თავისას მოითხოვდა. ჩემი პატიმრობის შესახებ თბილისში არაფერი იცოდნენ, ჩემიანებს ყოველთვიურად, დიმა ბაზელი უგზავნიდა თანხას...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ციხიდან გამოსვლის ათი დღის თავზე, ბრუკლინის „ჩარჩის“ კვარტალში ამოვყავი თავი. ჩემი ძველი ნაცნობები, ბილის „თამაღობით“, თავ-თავიანთი საყვარელი მაღაზიის წინ იდგნენ. როგორც ყოველთვის, ახლაც ლუდს წრუპავდნენ და მოსაწევს აბოლებდნენ. კაცმა რომ თქვას, ისეთი „თავისუფლება“, როგორიც ამერიკაში აქვთ ნარკომანებს, სხვაგან ალბათ წარმოუდგენელია: დღისით, მზისით, ისე არხეინად ახვევენ წამალს პაპიროსის ქალაღში და ისე კაიფობენ, როგორც ერთ ღროს, მე და ჩემი მეგობრები სახინკლეში დავდიოდით და ერთ კათხა ლუდში 50-50 გრამ არაყს ვურევდით ხოლმე...

ფერადკანიანი „ძველი ბიჭების“ ყოჩი ბილი ცოტა არ იყოს, უხასიათოდ მო-

მეჩვენა. თავიდან, ვერ მიცნო, ყურადღებით ამთვალეირ-ჩამათვალეირა. მერე, ერთ-ბაშად თვალები გაუბრწყინდა და ხმაამაღლა შეჰყვირა:

— სალუტ, რუსო! გამოხვედი? მომილოცავს!.. — მომიახლოვდა და ზანგების წესისამებრ, ჯერ ერთ მხარზე მაკოცა, მერე — მეორეზე და ბოლოს, ისე მაგრად ჩამიკრა გულში, რომ სული ძლივს მოვითქვი (სამაგიეროდ, ეს რიტუალი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან, ბილის ნამდვილი მეგობარი ვიყავი)... თუმცა, ამდენი ცერემონიის შემდეგ, ხელიც მაგრად ჩამომართვა. დანარჩენებმა უბრალოდ, ყუსტებით მაგრძობინეს, რომ ჩემი დანახვა გაუხარდათ.

ბილიმ მანიშნა — გვითხარი, როგორა ხარო. მე ისე ვიყავი აფორიაქებული და დაბნეული, რომ ხმა ვერ ამოვიღე. დაძაბულობის გასაფანტად, სათითაოდ ჩამოვუარე ბილის ამფოსონებს და ყველას ხელი ჩამოვართვი. მერე გვერდზე გავდექი და უხერხულად ვიღიმებოდი.

— მიდი, მოგვიყვიე, რაღაც ისეთი სახე გაქვს, მგონი, ყველაფერი კარგად ვერ იყო ციხეში... არ დაგვიმალო, ზედმეტი ხომ არაფერი გაკადრეს ოლბანში?.. — ველარ ითმენდა ბილი.

— ზედმეტს ვინ რას გამიბედავდა?! შენი ძმაკაცი და სეხნია, ბილი „მიცავდა“... დიდ ყურადღებას მაქცევდა. შენი სახელი რომ ვუსხენე, ლამის გადამყვა ზედ... — როგორც იქნა, ხმა ამოვიღე.

— ბილი? კიდეც ციხეში ზის? მეც არ გამიკვირდა — სად დაიკარგა-მეთქი?! მაგარი ბიჭია! თუმცა, თავში ყველაფერი მთლად რიგზე ვერა აქვს, მაგრამ უსამართლოდ არავის დასჯის. ორი წლის წინ, მაიაში „ვიჯექით“ ერთად... — და ბილიმ დაიწყო მიყოლა, თუ როგორ „აიყვანა ხელში“ მთელი ციხე ორმა ბილიმ, როგორი საქმის გარჩევები, ჩხუბები, შერიგებები ხდებოდა...

ვუსმენდი და თან არც ვუსმენდი. ახლა არავითარი სურვილი არ მქონდა, კვლავ ციხეზე მეფიქრა. ბილის არ გამოჰპარვია ჩემი უხასიათობა. შევატყვე — უცნაურად მაკვირდებოდა.

— რა ხდება, კაცო? რაღაც შეცვლილი მეჩვენები!.. — ეჭვიანად გადმომხედდა და მერე თვითონვე სცადა პასუხი ეპოვა. — ციხეში ხომ არ შეგაშინა? თუ ადამიანების აღარ გჯერა? ნუ გეშინია, ასე იცის ციხეში, მალე გაგივლის...

თითქოს ჩემს გულში ჩამვრა ერთი უბრალო ამერიკელი ზანგი, რომ-



ლისთვისაც ყველაფრის საზომი, ქუჩური კანონები გახლდათ...

— არა, უბრალოდ, ცოტა დაღლილი ვარ... — ვუპასუხე მშვიდად.

— გატყობ, ზანგების გეშინია... — ახლა უკვე თავისი ფსიქოლოგიური ნიჭით გამაოცა ბილიმ. ჩემს პასუხს არ დაელოდა და განაგრძო: — რადგან ერთ-მა ზანგმა გაგწირა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მისნაირია და ზანგებთან საქმე აღარ უნდა დაიჭირო. ზუსტად იმავე თეორიკანონმაც შეიძლება გაგიკეთოს... მაგრამ მოდი ახლა, ამ ფილოსოფიას შევეშვათ. მთავარია, რომ ძმები ვართ, ხომ?

გაჩუქდა და ჩემს პასუხს დაელოდა. რატომღაც მაშინვე ვერაფერი ვთქვი. ცოტა ხნის შემდეგ კი, დაუვლასტურე, რომ მისი ძმა ვიყავი...

ისევ გადამეხვია ბილი და საზეიმოდ განაცხადა — დღეს მე გეპატიუებით ლუდის ბარში, წავიდეთ, დრო გვატაროთ...

ხელი გადამხვია და სულ მალე, უზარმაზარ ლუდის ბარში ამოვყავი თავი, სადაც ისეთი გნიახი და ხმაური იყო, ძალიან პატრონს ვერ სცნობდა. სიმართლე გითხრათ, ეს ხმაური თითქოს მამშვიდებდა კიდევც...

**ისევ საკუთარი ადგილის ძიებაში...**

ბარში ალბათ ორი საათი მაინც დავყავით. ლუდმა მშვენიერ ხასიათზე დამაყენა. ახლა ისეთ ძალას ვგრძნობდი, რომ იტყვიან, ქვეყანა ჩემი მეგონა!

— წავედი ახლა მე, ბილი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, საქმეს უნდა მივხელო! — ვუთხარი ყოვლისშემძლე ყოჩს.

— რა საქმეები გაქვს ამისთანა, მე რომ ვერ დაგეხმარო?! გინდა, ახლავე წამოგყვები!.. — თავის გამორჩენის სურვილმა „შეაწუხა“ ბილი.

— არა, ბილი, შენ ვერ დამეხმარები, სამსახურში მინდა აღვიდგინო თავი... უფროსს უნდა დაველაპარაკო.

— ჩემო რუსო მეგობარო (ბილის ვერაფრით შევაგნებინე, რომ რუსი არ ვიყავი!), ეს ქალაქი ჩემია! სადაც გინდა, იქ წამოგყვები და ყველა პრობლემას მოგიგვარებ! ჩემი იმედი გქონდეს!.. — ახლა მივხვდი, რომ ბილის, უზომოდ ბევრი ლუდი უფრო ალაპარაკებდა, ვიდრე ჩემდამი მეგობრული გრძნობები. თუმცა კი, ერთი რამ მართალი მითხრა გულთბილად დამშვიდობებისას: „გახსოვდეს, ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, სა-

დაც შეიძლება გაკეთდეს ის, რაც არ უნდა კეთდებოდეს!..“ თანაც ამ „ბრძნულ გამონათქვამს“ კიდევ ერთი, არანაკლებ დიდაქტიკური დარიგება მოაყოლა:

— მიუღწეველი არაფერია — მთავარია, მონიღომო...

მეც მოვინდომე და მეორე დღეს, დილაადრიან მივედი კომპანია Allpoint America-ში, სწორედ იქ, სადაც ციხეში მოხვედრამდე ვმუშაობდი. „საციხო“ ინციდენტიც ხომ ტვირთის მორიგი გადაზიდვისას შემემთხვა, როცა ჩემმა კლიენტმა (რომელიც ნარკოდოლერი აღმოჩნდა) მოხერხებულად შემიცურა მარიხუანის პარტია სატვირთო მანქანის საკარძელში.

კომპანიის ეზოში ისევ ჩვეული ჟრი-ამული იდგა. მეპატრონის, ედმონდის კაბინეტთან ისე მივედი, ვერავინ შემამჩნია (ყველა საკუთარი საქმით იყო გართული); როგორც კი დავაპირე კაბინეტის კარის შეღება, ზურგიდან ახალგაზრდა ქალის სასიამოვნო ხმა მომესმა:

— სად მიდიხარ? მანდ შესვლა აკრძალულია!

მოვიხედე და ჩემი ჰაეროვანი ნაცნობი მულატი გოგონა შემჩნა ხელში — კომპანიის მეპატრონის მდივანი ლანა, რომლის წყალობითაც მოვხვდი თავის დროზე აქ.

ლანამ უცებ, ვერ მიცნო, მაგრამ ცოტა ხანში, მისი შეშფოთება ღიმილმა შეცვალა:

— თქვენა ხართ, აკაკი? სად იყავით, რომ აღარ ჩანდით? — გაიკვირვა მან. მე სულელს კი, მეგონა, ჩემი თავგადასავალი ნახევარმა ამერიკამ მაინც იცოდა... მაგრამ ახლა გამიხარდა კიდევ, რომ ეს ასე არ იყო და ლანას არხეინად ვუპა-

სუხე — ფლორიდაში, დასასვენებლად ვიყავი-მეთქი.

— რა კარგია! — აღფრთოვანება ვერ დაფარა ლანამ. — მეც სიამოვნებით წავიდოდი ცოტა ხნით ფლორიდაში!

— მაგის დროც დადგება! — თავმომწონედ ჩავილაპარაკე და ლანას მომხიზვლელი ღიმილიც დავიმსახურე.

— დღეს ბოსი ხასიათზე ვერ არის, გაითვალისწინე... — ჩამჩურჩულა ლანამ.

...ედმონდი უზარმაზარი კაბინეტის კუთხეში იდგა და კედლის გასწვრივ მდგარ, დიდ აკვარიუმში მოცურავე თევზებს აპურებდა. ამხელა აკვარიუმს პირველად ვხედავდი.

— გამარჯობათ, ბატონო ედმონდ! — ვცადე, ომანიანი მისალმება გამომსვლოდა. ბოსი უხალისოდ მოტრიალდა და გაოცება ვერ დაფარა.

— აკაკი, გაგათავისუფლეს? როგორ მოახერხე?..

— ფრთები გამოვისხი და გალიიდან გამოვფრინდი!.. — რატომღაც ზუმრობის ხასიათზე დავდექი.

— მომილოცავს! გულახდილად რომ გითხრა, არ მეგონა, თუ ასე მალე დააღწევდი თავს ციხეს. ეტყობა, მართლა უდანაშაულო იყავი!.. — გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და სკამზე მანიშნა — დაჯექიო, თან ტელეფონით ლანას, ყავის მომზადება დაავალა.

— ალბათ ძვირი დავიჯდებოდა გათავისუფლება, არა?

— არა, უბრალოდ, მეგობრები დამეხმარნენ, თანაც — „სუფთა“ ვიყავი! — ბოლო სიტყვები ამაყად წარმოვთქვი.

— მეც ვიფიქრე, რომ მართალი იქნებოდი, მაგრამ ჩვენთან სულ ორი კვირა



ემონი „ვოლვოს“ მარკის ხუთი ახალთახალი გრაილერი იდგა



„ამერიკული ოცნებისკენ“ მიმავალი გზა ხსნილი მქონდა

მუშაობდი და თავს ნამდვილად ვერ გამოვიღებდი შენთვის!.. — გულახდილად მითხრა ბოსმა, რომელსაც, თავის გასამართლებლად, მშვენიერი „საბუთიც“ ჰქონდა: ჯონი, რომელიც ჩემთან ერთად დაიჭირეს, მართლა ნარკომანი აღმოჩნდა და მისთვის თურმე სამი წელი მიუსჯიათ...

ჩემი მეწყვილის გასაჭირი ნამდვილად არ გამხარებია.

— მერე რა ეშველება ახლა ჯონის? — გულუბრყვილოდ ვიკითხე.

— არაფერი, მოიხდის სასჯელს და გამოუშვებენ. თუ კარგად მოიქცევა, შეიძლება, ციხის ადმინისტრაციამ რაღაც შეღავათებიც გაუწიოს...

ვუსმენდი და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ თავისუფალი ვიყავი...

— ახლა რას აპირებ? — აშკარა დაინტერესება შევატყვე.

— როგორ ვითხრათ... მუშაობა მინდა. თქვენი დახმარების იმედი არ დამიკარგავს. იქნებ... იქნებ, ისევ მიმიღოთ...

— რატომაც არა! — დაუფიქრებლად მიპასუხა. — რაღაც გაუგებრობის გამო, რატომ უნდა დაინაგრო?! რითიც შეიძლება, დაგეხმარები. უფრო მეტიც — იმ გაცდენილ დღეებსაც ნაწილობრივ მაინც ავინაზღაურებ...

ეს ნამდვილი ღვთის წყალობა იყო. საქმის ასე შემობრუნებას ნამდვილად არ ველოდი.

— ერთი კვირაა, რაც ხუთი ახალი ტრაილერი შევიძინეთ. ერთ-ერთზე დაგვსამ და იმუშავე, რამდენიც გინდა. თუ გაინტერესებს, წამოდი, მე თვითონ გაჩვენებ მანქანებს. საქმეს სვალვე შეუდგები...

ამასობაში, ლანამ ორი ფინჯანი ყავა და ნამცხვარი შემოიტანა.

— ლანა, ეს გოგოებს დააღვივინე, ჩვენ მერე გავვიმზადე, რომ დავბრუნდებით... — უთხრა ბოსმა და მანიშნა, გამოემყვინო.

უზოში „ვოლვოს“ მარკის ხუთი ახალთახალი ტრაილერი იდგა.

— აირჩიე, რომელიც გინდა! — ხალისიანად დამკრა მხარზე ხელი კომპანიის მეპატრონემ.

თავი სიზმარში მეგონა. რა არჩევა უნდოდა? — ერთ-ერთს ხელი დავადე და ბოსს ვუთხარი — ჩემი მანქანა ეს იქნება-მეთქი.

— აკაკი, სვალ დილით, ადრე მოგიწევს მოსვლა. კონტეინერი უნდა დაიცალოს და ტვირთი ბოსტონსა და დეტროიტში გადაიზიდოს... — რომ იტყვიან, „ამერიკული ოცნებისკენ“ მიმავალი გზა ხსნილი მქონდა.

ის-ის იყო, წასვლა დავაპირე, რომ ბოსს გაეცინა და თავისი კაბინეტისკენ გამიძღვა, სადაც დაპირებული ცხელი ყავა და ნამცხვარი გველოდა...

კომპანიიდან გამოსული მართლაც, ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ვიფიქრე — სად წავიდე-მეთქი? — და მოულოდნელად, ბიძია ჯო გამახსენდა — ჩემი თანასაკნელი მოხუცი ზანგი, რომელმაც ჩემს ხელში დალია სული... ისიც აღმიდგა მესსიერებაში, თუ სიკვდილის წინ როგორ დავპირდი — შენს ოჯახს მოვინახულებ-მეთქი...

ერთი საათის შემდეგ, ბრუკლინის გარეუბანში, მშვენიერი ორსართულიანი სახლის წინ ვიდექი. ვიდექი და ვერ გადამეწყვიტა, დამერეკა თუ არა ზარი.

— ეი, იანკო, აქ რა გინდა?.. — მივხვდი, ვიღაც მე მეძახდა, მაგრამ — ისეთი ავღებული ტონით, რომ ერთბაშად გამოვფხიზლდი.

ჩემს სიახლოვეს ასე, 14-ოდე წლის,

სახსუბრად გამზადებული ორი ზანგი ბიჭი იდგა. ხმაურით ღეჭავდნენ საღებურების და აგრესიულად მიყურებდნენ. უფლება რომ ჰქონოდათ, ალბათ იქვე სულს გამაფრთხობინებდნენ...

უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მათთან ლაპარაკს ნამდვილად არ ჰქონდა აზრი, რადგანაც კაცმა არ იცის, ასეთები საიდან გაგიყრიან დანას...

— შენ გეუბნები — რა გაშტერებული იყურები? ენა გადაყლაპე თუ ინგლისური დაგავიწყდა?.. — ისევ უხეში ტონით დამიყვირეს.

— მე... მე... — მოულოდნელობისგან თითქოს ენა დამება. მინდოდა, რაღაც მეთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

— აქ რა გინდა? თეთრების ადვილი აქ არ არის! ეტყობა, სიცოცხლე მოგბეზრდა... — თანდათან მატულობდა ლაწირაკი შავი რასისტების აგრესია.

არადა, ადრე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბიძია ჯოს სახლთან ასეთ შეხვედრას მომიწყობდნენ...

მოკლედ, იძულებული ვიყავი, ეს აბეზარი ბიჭები როგორმე დამეფრთხო, თორემ, მათთან ჩხუბს არ ვაპირებდი.

...ზანგი ბიჭები ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწვევენ ჩემკენ. მეც „პოზიციას“ ვიკავებ... და ამ დროს, ჯოს სახლის კარი ხმაურით გაიღო და მოხუცი, ფაშფაშა ზანგი ქალი გამოვარდა. მოხუცს ხელში გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა და გაწიწმატებული, ბიჭებისკენ მორბოდა.

— აბა, ახლავე მოშორდი თქვანი შიშით ველარავინ მოსულა სტუმრად!.. — ეს თქვა და ცოცხი გაუქანა კიდეც აბეზარ ბიჭებს, რომლებიც თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ...

— მე აკაკი მქვია, ბიძია ჯოსთან ვმეგობრობდი, ციხეში... — ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დავიწყე და მოხუცი ზანგი ქალის თვალში ცრემლი რომ შევნიშნე, მონუსხულივით გავშეშდი.

— მოდი, შინ შემოდი... — სევდიანად მითხრა ჯოს ცოლმა.

— შენ ხარ ის აკაკი, საწყალი ჯო რომ მწერდა — ახალი მეგობარი მყავს, შვილივით მივლისო?... — ახლა კი ველარ შეიკავა თავი და აქვითინდა.

მოხუცის ცრემლებმა კიდეც ერთხელ დამაბრუნა ოლბანის ციხეში...

P.S. ავტორის შემდგომ ამერიკულ შთაბეჭდილებებს „გზის“ მოძღვენო ნომრებში შემოვთავაზებთ.



### გაქვთ თუ არა სასიამოვნო ხმა?

თქვენ შეიძლება საუკეთესო იდეები გაწუხებთ, მაგრამ თუ არასასიამოვნო ხმის ტემპრით საუბრობთ, ვერასოდეს მიაღწევთ მიზანს. ზოგიერთი ქალი გაბზარული, გაუბედავი ხმით საუბრობს და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აკლია, მაგრამ კონკრეტულად რა, ამაში თვითონაც ვერ გარკვეულა. ბევრმა მათგანმა, ვინც სამსახურს ეძებს, არ იცის, რომ მიზნის მისაღწევად შეიძლება კარგმა ხმამ უფრო დიდი როლი ითამაშოს, ვიდრე კარგმა გარეგნობამ.

სამწუხაროდ, ქალებს უფრო ნაკლები წარმატებით შეუძლიათ ხმის დაყენება, ვიდრე მამაკაცებს. ქალი, რომელიც ცხვირისმიერად ლაპარაკობს, უფრო ხშირად წუწუნს, წუხილს, უკმაყოფილებას გამოხატავს. დაბალი, მოწურულე ხმა – გაუბედაობის, მერყევი ხასიათის მაჩვენებელია. მაღალი, მკვიანა, წვრილი ხმა – უფრო ისტერიკული ბუნების ადამიანებს ახასიათებს. მომაჯადოებელია მკერდისმიერი, თბილი, სხვადასხვა ნიუნსით მდიდარი ხმა, რომელიც მდგომარეობას რთულ სიტუაციაშიც შეგიძლევთ შეუქმნათ. ასეთი ნაზი, გულში ჩამწვდომი ხმით საუბრისას, ყველაზე სულელური აზრებიც კი დამაჯერებლად მოგჩვენებათ.

მაშ ასე, გაქვთ თუ არა ისეთივე მომაჯადოებელი ხმა, როგორიც გარეგნობა? ნუ დაეყრდნობით ამხანაგების აზრს, რადგან მათ არ შეუძლიათ პირდაპირ, გულახდილად გითხრან სწორი პასუხი, ამიტომ წაიკითხეთ და გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები.

**ცხვირისმიერი ხმა:** გაინტერესებთ, ცხვირში მოდულუნე ხმით საუბრობთ თუ არა? ცერა და საჩვენებელი თითები მიიჭირეთ ცხვირზე და წარმოთქვით ცხვირისმიერი ბგერები. თქვენმა თითებმა მხოლოდ ამ ბგერების წარმოთქმის დროს უნდა განიცადოს ვიბრაცია. თუ ლაპარაკისას თქვენი ცხვირი ზუზუნებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ცხვირისმიერი ლაპარაკი გახასიათებთ.

**მკვიანა, მკვიანა ხმა:** დაჯექით სარკის წინ და ლაპარაკის დროს საკუთარ თავს დააკვირდით. გეჭმობათ ყელზე ძარღვები? თუ ასეა, თქვენ ჰმბავთ თქვენს ხმას და მკვიანა ხმით საუბრობთ. ყელზე შემოიხვიეთ ბაფთა ისე, რომ არ შეგაწუხებთ და დაიწყეთ ლაპარაკი. ყოველი წინადადების ბოლოს, ბაფთა თუ შეგაწუხებთ და დახრწობის მაგვარი შერბნება დაგეუფლებათ – ეს ნიშნავს, რომ თქვენ მკვირი, მკვიანა ხმით საუბრობთ.

**წურწულიანი ლაპარაკი:** თითი ხორხზე მიიდეთ. წარმოთქვით წინადადება (უნდა ილაპარაკოთ ხმამაღლა), თუ არ იგრძნობთ ვიბრაციას, ე.ი. ჩურჩულით ლაპარაკობთ.

როგორც აღვნიშნეთ, **იდეალური, მომავალმომავალი ხმა** – ეს არის დაბალი, ხავერდოვანი, მელოდოური ხმა (არც სიმღერის მსგავსი, არც მონოტონური), შეეცადეთ, საუბრის დროს ყურადღება მიაქციოთ ხმის ტემპრს და მის მომხიბლაობას, რადგან თავისუფლად შეგიძლიათ მკვეთრი, მკვიანა, ცხვირისმიერი თუ მოწურულე ხმის გამოსწორება.

მაკელ კორდა თავის წიგნში – „წარმატების საიდუმლო“, – წერს: „ქალის კარგი ხმა, ბევრ მამაკაცს ალღევებს... ყოველ თქვენგანს შეუძლია განავითაროს დაბალი, ხავერდოვანი ხმა, რომელსაც მამაკაცზე ზემოქმედების ჯადოსნური ძალა აქვს. ხმის საოპერო დამუშავებას კი არ გირჩევთ – უბრალოდ ნორმალური, სასიამოვნო, დაბალი ხმით საუბარს. ამავე დროს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ კარგად მოდულირებული, დაბალი ხმა, სექსუალურ ხმად ითვლება.“



### გაუთხოვარი ქალების წყალობით აოსმაბიური ფირმების შემოსავალმა 666 მილიონი დოლარი შეადგინა

კოსმეტიკური ინდუსტრია, რომელიც ტელერადიო თუ პრესის რეკლამებში მილიარდობით დოლარს ხარჯავს, თურმე ფულს უაზროდ არ ფანტავს. ფორმების რეკლამები მიზანს აღწევს – ქალების უმრავლესობა ახალგაზრდობის და სილამაზის შესანარჩუნებლად რეკორდულ თანხებს წირავს. მარტო ბრიტანეთში შარშან, კოსმეტიკური ფირმების შემოსავალმა 666 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ გრანდიოზული თანხის დაგროვებაში ლომის წილი მიუძღვით მარტოხელა ქალებს. გაუთხოვარი მანდილოსნები, რომელთაც ოჯახის საზრუნავი არ აწუხებთ, შემოსავალს მთლიანად ნაოჭების საწინააღმდეგო კრემებში, ლოსიონებსა და კანის დასაჭიმ სითხეებში ხარჯავენ. მათი წყალობით ამერიკაში კოსმეტიკური ინდუსტრია ყოველწლიურად 6 მილიარდი დოლარით მდიდრდება.



### რჩევები დიასახლისებს

- შეიძლება ლიმონი 2 თვის განმავლობაში ისე შეინახოთ, რომ ახალმოკრეფილისგან არ განირჩეოდეს. ამისათვის მარტივი წესის ცოდნა საჭირო: გაახვიეთ ლიმონი პერგამენტის ქაღალდში და დადეთ ის სხვა ხილისგან განცალკევებით ცივ ადგილას (შეგიძლიათ მაცივარშიც შეინახოთ). თუკი ლიმონს გაჭრამდენ, მდულარე წყალს გადაავლებთ, ის უფრო არომატული გახდება. კარგი იქნება, თუ ღვინის ძმარს ლიმონის მჟავით შეცვლით. ზოგიერთ სადილს ის მართლაც განუმეორებელ გემოს აძლევს, თანაც ჩვენს ორგანიზმს C ვიტამინით ამდიდრებს. C ვიტამინის შემცველობით მას მხოლოდ მწვანე ხახვი თუ გაუწევს კონკურენციას. საოჯახო საქმეშიც წარმატებით შეგიძლიათ ლიმონის წვენის გამოყენება. მისი დახმარებით თქვენ მოძველებულ ფაიფურის ჭურჭელს პირვანდელ სიქათქათეს დაუბრუნებთ. ჩაიდნის შიგთავსზე ხშირად ჩნდება ლაქები. ლიმონის ერთნაირი წარმატებით ამოჰყავს წყლის, ჩაის, მელნის, სისხლის და ჟანგის ლაქები.
- რძის ასაღებლად სქელძირიანი ქვაბი იქონიეთ.
- თუ ტანსაცმელი ხილით დაგესვართ, დალაქავებული ადგილი დასველეთ ძმრით, რამდენიმე საათში კი სარეცხი ფხვნილით გარეცხეთ.
- თუ დაფქულ ყავას ცოტა მარილს მოაყრით, სასმელი ცაცილებით არომატული იქნება.
- ცოცხალი ბოსტნეულისგან დამზადებული სალათი ან დაჭრილი ხილი დიდხანს არ გააჩეროთ, თორემ ის ფერს, გემოსა და საჭირო ვიტამინებს სწრაფად კარგავს.
- ჭურჭელი, სადაც ცომი მოზილეთ, ჯერ ცივი წყლით უნდა გარეცხოთ, შემდეგ კი თბილით.

# ყოფითი ფსიქოლოგია

## რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

### უკან მიბრუნება ცუდი ნიშანია

ალბათ ყველა ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაჩერებულა შუა გზაზე: გაზი ხომ არ დამრჩა ჩართული? გამოვრთე თუ არა გამათობელი, კომპიუტერი, უთო? თუ ასეთი რამ ხშირად გემართებათ, ეს წერილი თქვენთვისაა განკუთვნილი.

### ნაცნობი სცენარი

„უთო არ გამომირთავს!“ – გაუელვა ქალს თავში და უკვე ნათლად წარმოიდგინა აღმოღებული ფარდები, ავეჯი, ფანჯრები, სხეულის სისუსტე იგრძნო, გული აუჩქარდა. „გააჩერეთ!“ – შესძახა სამარშრუტო ტაქსის მძღოლს. შინ სირბილით, აქრმინებული მივარდა და აღმოაჩინა, რომ უთო კიდევ გამოურთავს და ჩვეულ ადგილზეც შეუნახავს. „როგორი ნერვიული გავხდი!“ – გაიფიქრა მან. მსგავსი შემთხვევა ბოლო დროს ძალიან გამიხშირდა. უკან მიბრუნებისას კი, ყოველთვის ყველაფერი მოწესრიგებული მხვდება. ამ ფიქრებში გართული ქალი ისიც იყო, გასცდა თავის საცხოვრებელ კორპუსს და ისევ გაიფიქრა – „მეორედ რომ გამოვლიოდი, მგონი, კარი არ ჩავკეტე... კი, ნამდვილად ასეა. ისე გამიხარდა, უთო რომ გამორთული დამხვდა, რომ კარი უბრალოდ, გამოვიხსურე, ახლა კი, ალბათ ქურდები...“ ქალი ისევ მიბრუნდა შინ, შესასვლელი კარის შესამოწმებლად.

### ცუდი ამბის მოლოდინი

ჩვეულებრივ, ასეთი მდგომარეობა გადამოღობის (უფრო – ემოციური ხასიათის) შედეგად ვითარდება ხოლმე. საკმარისია დაისვენოთ, მოაწესრიგოთ თქვენი საქმეები და სულიერი მდგომარეობა, რომ ყველაფერი გაივლის. მაგრამ თუ ასეთი ქცევა აკვიტებული ხდება: შიში ძალიან ხშირად გიპყრობთ, გამუდმებით ბრუნდებით ხოლმე შინ და მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად გახსოვთ – ყველაფერი გამორთეთ, ჩააქრეთ, დაკეტეთ, – მსგავსი აზრები მაინც არ გასვენებთ, მაშინ საჭიროა, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ დაიმშვიდოთ თავი.

შიში ყველაზე გავრცელებული, ნებატიური ემოციაა. იგი ვლინდება გაუგებარი შინაგანი დაძაბულობით, წინათგრძნობებით, ცუდი ამბის მოლოდინით. ადამიანი ადგილს ვერ პოულობს, ყურა-



დლების კონცენტრირებას ვერ ახერხებს, მაგრამ თუ ჰკითხავთ – კონკრეტულად რისი ეშინია? – იგი ყოველთვის გადაჭრით როდი გიპასუხებთ.

ქალები ხშირად ამბობენ: „არ ვიცი, რატომ, მაგრამ გამუდმებით მაკანკალებს“. ასეთი უსაზღვრო, „თავისუფალი“ შიშის გადატანა ძალიან ძნელია. ამიტომ ადამიანი ცდილობს, მას კონკრეტული აზრი მისცეს. ასე იბადება შიში – კონკრეტული ობიექტისადმი მიმართული გრძნობა. თითოეული ადამიანისთვის კი ყველაზე ახლობელი, არის შიში ყოფითი პირობების გამო.

ამ გრძნობასთან გამკლავებისათვის ყველა, სხვადასხვა ხერხს იგონებს: ზოგი ბრუნდება იმის შესამოწმებლად, ყველაფერი წესრიგშია თუ არა, ზოგი გარკვეულ რიტუალს მოიფიქრებს ხოლმე („თუ „ბედნიერნიშინი“ ხუთი ავტომანქანა შემხვდება, ე.ი. ყველაფერი წესრიგშია“). მაგრამ ეს მეთოდები დიდი ხნით როდი იძლევა შევას. გარკვეული დროის შემდეგ, შიში ახალი ძალით იპყრობს ადამიანს.

### ხანძარი შიგნით

როდესაც კარგად ვგრძნობთ თავს, ჩვენ ვცხოვრობთ „აქ და ამჟამად“, გამუდმებით არ ვქექავთ წარსულს და არ ველავთ მომავალზე. ბევრ რამეს ავტომატურად, დაუფიქრებლად ვაკეთებთ, მაგრამ ცნობიერება აფიქსირებს: უთო ჩავრთეთ – გამოვრთეთ. და თუნდაც არ გვახსოვდეს, როდის გამოვრთეთ უთო, მაინც მშვიდად ვგრძნობთ თავს.

თუ ადამიანი ქრონიკულად დაძაბულ მდგომარეობაში ცხოვრობს, მისი გონება დატვირთულია მძიმე აზრებით, ცნობიერება უარს ამბობს ისეთი წვრილმანების დაფიქსირებაზე, როგორცაა უთო და კარი, – მაშინ საკმარისი ხდება ერთი უეცარი აზრი, რომ შიშმა შეიპყროს და აი, ეწყება გულის ფრიალი, კანკალი; ის ბრუნდება შინ, რათა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი რიგზეა, თითქოს მშვიდდება, მაგრამ შემდგომში, მისი მგრძობელობა კონკრეტული საგნებისადმი სულ უფრო და უფრო მწვავე და მტანჯველი ხდება.

### როგორ დავიმორჩილოთ შიში?

● ეცადეთ, ზემოწვევით ყურადღებიანი იყოთ იმ მოქმედებათა შესრულებისას, რომელსაც ავტომატურად ასრულებთ. უთოს გამორთვისას დააკვირდით, სად დავარდება სადენი, კარის დაკეტვისას კი, მას სამჯერ მიაწვიეთ.

● არსებობს ასეთი ხერხი: უთოს გამორთვისას ან კარის დაკეტვის მომენტში, ხმამაღლა თქვით: „მე გამოვრთე უთო, მე ჩავკეტე კარი“. როგორც კი ეჭვი გავიჩნდებათ, მაშინვე გაგახსენდებათ, რომ ყველაფერი კარგად შეასრულეთ.

● ზოგჯერ, ადამიანს შიშისაგან მაინც ვერ იხსნის იმის ცოდნა, რომ შინ ყველაფერი მოწესრიგებული დატოვა. თუ სიცოცხლე ან სიცხის შეგვრძნობა გეუფლებათ, გაკანკალებთ – გირჩევთ, მოდუნდეთ და მიიღოთ ვალერიანის აბები.

● შეიძლება აუტოტრენინგის გამოყენებაც. ყველა ადამიანს ჰქონია ან აქვს ადგილი, სადაც იგი უსაფრთხოდ გრძნობს თავს. მაგალითად, ბავშვობაში – ბებიასთან ერთად სამზარეულოში ან საკუთარ საწოლში, თავზე საბნის წახურებისას. სცადეთ, გამოიწვიოთ ეს შეგრძნებები საკუთარ თავში.

● თავიდან მოიშორეთ საშინელი სურათები, რომელსაც თქვენი გონება გიხატავთ. თუ ცუდი აზრები ისევ გიბრუნდებათ, „გააგდეთ“ ისინი სიტყვებით: „წადი აქედან!“ აღნიშნული ტექნიკა თითქოს მარტივია, მაგრამ რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, კარგად მუშაობს.

● როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ძალიან გინდათ შინ დაბრუნება ყველაფრის შესამოწმებლად? უკეთესია, დაბრუნდეთ, ვიდრე მთელი დღე იტანჯოთ. მაგრამ თუ ასეთი ხშირი დაბრუნებები ჩვევად გექცათ, ეცადეთ, თავი შეიკავოთ მათგან და სასწრაფოდ გადაერთოთ სხვა საქმეზე.



### ნუ წაიკითხავთ გაზეთს სადილის წინ

დაბოლოს, ყველაფერი უნდა იღონოთ საიმისოდ, რომ შიშის შეგრძნება შესუსტდეს. ცხოვრება ხშირად გვაიძულებს, დავიძაბოთ, მაგრამ გარკვეული ფილტრის შექმნა მაინც შესაძლებელია: ნუ წაიკითხავთ გაზეთში კრიმინალურ ქრონიკას, ნუ უყურებთ საშინელებათა ფილმებს, ერიდეთ ურთიერთობას მათთან, ვინც მუდამ რაღაცით დაძვირებულია.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, თუ რას ჰყვებით საკუთარ თავზე. ხშირად გვარწმუნებენ, რომ რთულ სიტუაციაში უნდა გამოვთქვათ ჩვენი გრძობები. თუმცა ხშირად, თუ აღამიანი დაუსრულებლად ჰყვება საკუთარ პრობლემებზე, ის კი არ მშვიდდება, არამედ უფრო მეტად ღიზიანდება. ამიტომ სცადეთ სხვა მეთოდი: „მე ვიცი, რომ პრობლემა მაქვს. მე მეშინია, მაგრამ ვეცდები, დამოუკიდებლად გავუმკლავდე მას“.

თუ გინდათ, შიშს თავი დააღწიოთ, არასოდეს თქვით ასეთი ფრაზები: „ძალიან ცუდად ვარ! ფული არა მაქვს! ჩემი ქმარი – იდიოტია! ჩემი შვილი – უტვინო!“ იცოდეთ, რომ შიში ასეთი გამონათქვამებით იკვებება.

გახსოვდეთ: არავინ იცის, თუ რა ელის. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი მომავალი წარმოვიდგინოთ ნათელ ან მუქ ფერებში. რასაც ვფიქრობთ, იმას ვგრძნობთ. ზომიერი შიში კი არავისთვისაა მავნებელი...

## ვოკალოთერაპია

**ის, რომ ბგერა, თავისი ტალღოვანი ბუნების წყალობით, გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმზე, არცთუ ისე დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. აღმოჩნდა, რომ უჯრედებზე გარკვეული სიმაღლის ბგერებისა და მათი უღერადობის სხვადასხვა ხანგრძლივობის ზემოქმედებით, შესაძლებელია მათი აქტიურობის შეცვლა, მაშასადამე შეიძლება კანის, კუნთების, შინაგანი ორგანოების, ნერვული სისტემის კორექტირება, აგრეთვე — ზემოქმედება სიმსივნურ უჯრედებზე.**

### მთის ჰაერი – ბინაში

ორგანიზმის უჯრედებზე მუსიკალური ზემოქმედების ყველაზე მარტივი და ეფექტური ხერხი, რა თქმა უნდა, სიმღერა ან, მეცნიერულად რომ ვთქვათ – ვოკალოთერაპია. მისი კეთილისმყოფელი გავლენის საიდუმლო ისაა, რომ სიმღერა ჩვენგან მოითხოვს ქვედა დიაფრაგმულ სუნთქვას, რომელიც „მკერდით“ სუნთქვისაგან (რომელსაც ჩვეულებრივ მივმართავთ) განსხვავებით, მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

ქვედა დიაფრაგმული სუნთქვის ტექნიკას კლასიკოსი ვოკალისტები ოდესღაც ძველ ინდოელ იოგებს დაესესხნენ, რომლებიც მისი მეშვეობით მედიტაციისა და ღრმა ტრანსის მდგომარეობას აღწევდნენ. ასეთი სუნთქვის მეთოდი ფილტვებს რაციონალური ფუნქციონირების საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად ამდიდრებს სისხლს ჟანგბადით, ააქტიურებს მუცლის ღრუს მუშაობას, იწვევს სისხლის გადინებას შინაგანი ორგანოებისაკენ.

სიმღერის მეორე დადებითი მხარე ისაა, რომ მუსიკალური ფრაზის შესრულებისას, სუნთქვის შეწყვეტლივ (სიმღერისას ამოსუნთქვის ფაზის ხანგრძლივობა რამდენჯერმე აღემატება ჩასუნთქვის ფაზის ხანგრძლივობას), ორგანიზმში წარმოიქმნება მსუბუქი ჰიპოქსია (ჟანგბადის უკმარისობა). ეს უჩვეულო, მძლავრი ბიოსტიმულაცია ჩვენს ორგანიზმზე მთიანი კურორტის ჰაერის ზემოქმედებას ჰგავს. მოკლე და ძლიერი ჩასუნთქვა სიმღერის სტრიქონებს შორის, უეცრად ამდიდრებს სისხლს ჟანგბადით, ამით კი ძლიერდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედება,

აქტიურდება სისხლძარღვთა, უმჯობესდება სისხლის მაჩვენებლები, ჰემოგლობინი უფრო აქტიურად „იკავშირებს“ ჟანგბადს.

### მასაჟი ბინიდან

სიმღერის პროცესში მონაწილეობს არა მარტო ხმის იოგები, არამედ მთელი ორგანიზმი: ყველა შინაგანი ორგანო ვიბრირებს თავისებურად, თუმცა დაავადებული და ჯანმრთელი ორგანოების ვიბრაციის სიხშირეები განსხვავებულია. სწორედ ესაა ვოკალოთერაპიის მესამე დადებითი თავისებურება. სიმღერით გამოწვეული ვიბრაცია სხვა არაფერია, თუ არა ენერგიული მასაჟი, რომელიც ააქტიურებს სისხლის მოდინებას დაავადებულ ორგანოსთან და ამგვარად კურნავს მას.

რა თქმა უნდა, ბევრი სერიოზული დაავადების მკურნალობის დროს, ასეთი მასაჟი არ შეეღობა, თუმცა ძალიან ხშირად მისი გამოყენება საკმარისია ხოლმე: ზოგჯერ ხომ ტკივილი სწორედ ორგანოს არასაკმარისი აქტიურობითაა გამოწვეული. ვოკალოთერაპიის გამოყენება მედიკამენტოზურ მკურნალობასთან კომპლექსში გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე მხოლოდ წამლების გამოყენება.

მუსიკალური თერაპიის მეთოდი საკმაოდ ახალი დამკვიდრებულია მსოფლიოში ამიტომ, ცალკეულ დაავადებათა ამგვარად მკურნალობა საგულდაგულო შესწავლას საჭიროებს. თუმცა, ზოგადი კანონზომიერებანი გასავება: სიმღერა პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა მათთვის, ვისაც საერთოდ არ უნდა ავად გახდომა. განსაკუთრებულად კარგია იგი



ფილტვებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა დროს. თუმცა, აქვს უკუჩვენებებიც: პირველ რიგში, საზარდულისა და ჭიპის თიაქრები (მუცლის კედლის აქტიური მოძრაობა ქვედა დიაფრაგმული სუნთქვის დროს, სისხლძარღვების გაძლიერებას იწვევს). ვოკალოთერაპია არ არის ნაჩვენები აგრეთვე საერთო მძიმე მდგომარეობისა და მწვავე ფსიქიკური დაავადებების დროს.

### უმჯობესია – ჯგუფურად

ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად სულაც არ არის აუცილებელი, პროფესიონალი მომღერალი გახდეთ. საკმარისია, სიმღერა თქვენს ჰობად აქციოთ: კვირაში ერთხელ მაინც იმღერეთ ვოკალისტთან ერთად, ჩაეწერეთ სიმღერის სტუდიაში, სამსახურის შემდეგ, ნახევარსაათიანი სიმღერა ძაღლების მომატებას გაგრძობინებთ.

თუ ამის დრო არ გაქვთ, მაშინ იმღერეთ, როგორც კი ამის საშუალება მოგეცემათ დღის განმავლობაში: სააბაზანოში ყოფნისას, სამზარეულოში საქმიანობისას, შესვენების დროს; ტელევიზორთან ჯდომისას აწყვეით სიმღერებს... თქვენ აღმოაჩნთ სიმღერის მეოთხე დადებით მხარეს: იგი შესანიშნავად აუმჯობესებს განწყობილებას.

# მედიცინის სიახლეები

## სიყვარულის დეტექტორი

ახლა ყველა ადამიანს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ დარწმუნდეს თავისი პარტნიორის გრძობების გულწრფელობაში რუმინელი ინჟინრების მიერ შექმნილი ხელსაწყოს მეშვეობით: პატარა სამაჯურზე დამონტაჟებულია მინიატურული სენსორული გადამცემები, რომელიც აფიქსირებს ადამიანის პულსსა და სხვა ფიზიოლოგიურ პარამეტრებს და ინფორმაციას მიძღების ეკრანზე გადასცემს. მის გასაშიფრად სპეციალური სქემა არსებობს.

დეტექტორის შემქმნელი დარწმუნებულია იმაში, რომ მამაკაცებისაგან მიღებული მონაცემები (განსაკუთრებით – სიყვარულის ასხნის მომენტში) სინამდვილეს შეესაბამება. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში კი, საქმე უფრო რთულადაა: ქალის ფსიქიკა უფრო ნაზია და განწყობილების წუთიერი ცვალებადობა ახასიათებს. თუმცა, ქალების შემთხვევაშიც „დი-აგნოზის“ სიზუსტე 50%-ს შეადგენს.

## ანემია მოძრაობას ზღუდავს

სამოძრაო აქტიურობის გაუარესების მიზეზი ასაკოვან ქალებში შესაძლოა, დაბალი ჰემოგლობინი იყოს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰოპკინსის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში მოღვაწე, ამერიკელი მეცნიერები.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქალები, რომელთა ჰემოგლობინის მაჩვენებელი 120-ს არ აღემატება, 1,5-ჯერ ცუდად უმკლავდე-



ბიან უმნიშვნელო ფიზიკურ დატვირთვას (კიბეზე ასვლას ან გასეირნებას). სწორედ ანემიის გამოა, რომ 70 წელს გადაცილებული ქალების 35%-ს ეძნელება მოძრაობა და გაჭირვებით უვლის თავს.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მედიკოსები აპირებენ შეცვალონ დამოკიდებულება ამ „არასერიოზული“ პრობლემისადმი, მანამდე კი ასაკოვან ქალებს ურჩევენ, მიიღონ რკინის შემცველი პრეპარატები, ფოლიუმის მჟავა და 12 ვიტამინი ანემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

## ნაყენი ჭორფლიანი ანისათვის


ზაფხულში, როგორც წესი ჭორფლი უფრო შესამჩნევია. ის უმეტესად ქერათმიან და თეთრი კანის ადამიანებს უჩნდებათ.

ჭორფლიანები ფიქრობენ, რომ ეს ყავისფერი წერტილები მათ კანს მიშვიდველობას უკარგავს და მათ მოცილებას ცდილობენ. არადა, თუ ექიმი-კოსმეტოლოგის რჩევის გარეშე მოქმედებთ, არ არის გამორიცხული პროვოცირება გაუწიოთ მას და მოცილების ნაცვლად, მის გამრავლებას ან გამუქებას შეუწყობთ ხელი. ამიტომ არ არის სასურველი თვითნებური ჩარევა და სანამ ჭორფლის გასაქრობად სხვადასხვა პროცედურის შესრულებას შეუდგებით, რჩევა კოსმეტოლოგს ჰკითხეთ. ის გაარკვევს, რომ ჭორფლი შეიძლება ჰორმონულ დარღვევათა, ორსულობის, ღვიძლის, კუჭის დაავადებისა და კოსმეტიკურ საშუალებათა გამოყენების შედეგია. განსაკუთრებული ყურადღება საჭირო ყოველდღიური მათეთრებელი კრემის შერჩევისას. შინ დამზადებული ოხრახუშის ნაყენის ხმარება კი სასურველია. 2 ჩ/კ წვრილად დაჭრილ მწვანე დასხნით ერთი ჭიქა მღულარე წყალი, გააჩერეთ 2-3 საათი. შემდეგ გაწურეთ. მაცივარში მისი შენახვა ერთ კვირაზე მეტი ხნით დაუშვებელია. ნაყენი ღლეში ერთი-ორჯერ წაისვით სახეზე, კისერზე, ხელებზე. გაუწურავი ნაყენი შეიძლება გაყინოთ მაცივარში.

ნებისმიერი ტიპის კანზე შეგიძლიათ წაისვათ ლიმონი, კიტრი. მათი კანზე ყოველკვირეული გამოყენება განაპირობებს კანის დარბილებას და გათეთრებას. სასარგებლოა ნიღაბი კიტრის გულისაგანაც. ნიღაბს იჩერებენ 15-20 წუთის განმავლობაში.

# ტესტ-პარჯიუი

## რამდენად მოქნილი ბრძანდებით?



1. დაჯექით იატაკზე, ფეხები ერთად დააწყვეთ, გადაიხარეთ წინ ისე, რომ ფეხები არ მოკვეციოთ.

ა) დაჭიმვისა და დაძაბვის გარეშე, ხელებს შემოავლეთ ფეხისგულებს;

ბ) ეხებით იატაკს მუხლების ღონეზე.

2. დადექით ფეხზე, წაიღეთ მარჯვენა ხელისგული ზურგისკენ ზემოდან, ხოლო მარცხენა — ქვემოდან, ეცადეთ, ხელები ზურგს უკან შეაერთოთ.

ა) თითებს ერთმანეთში აჭკობთ;

ბ) ხელებით მხოლოდ ზურგს ეხებით.

3. დაჯექით იატაკზე, გამართული ფეხები ფართოდ გაშალეთ, დაიხარეთ წინ.

ა) მკერდი მჭიდროდ ეხება იატაკს;

ბ) არ შეგიძლიათ, მკერდით შეეხოთ იატაკს.

4. დადექით, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ, ჩაჯექით და გაშალეთ მუხლები.

ა) ჩაიცუცქეთ, ტერფები იატაკს ებჯინება;

ბ) ღრმად არ ხართ ჩამჯდარი, ტერფები მოცილებულია იატაკს.

5. დანექით ზურგზე, მარცხენა ფეხი იატაკზეა, გამართული მარჯვენა ფეხი ასწიეთ, მოხარეთ ტერფი ისე, რომ ფეხის თითები მიმართული იყოს სახისკენ.

ა) ფეხი მკერდთან ასლოსაა, ტერფი მოხრილია სწორი კუთხით;

ბ) მოხრილია მუხლი, არ შეგიძლიათ ტერფის მოხრა.

**შეფასება:** თქვენს პასუხში რაც უფრო მეტია 2 ვარიანტი, მით უფრო მოქნილია თქვენი სხეული. თქვენი კუნთები დაცულია შემთხვევითი დაჭიმვებისა და ტკივილისაგან; ის ვარჯიშები, რომელშიც 2 ვარიანტი ქარბობს, შეიტანეთ ყოველდღიურ ვარჯიშთა კომპლექსში და ეცადეთ, დაიბრუნოთ დაკარგული მოქნილობა.



# ქეთა თეთრძიას აქციონი, ცხელი ზათსული



**უკვე საკმაოდ პოპულარული ახალგაზრდა მომღერლის ქეთა თეთრძიასთვის გასული ზაფხული ძალზე დატვირთული იყო: მან ჩაწერა რამდენიმე სიმღერა, გადაიღო ორი კლიპი და პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 25 კონცერტი გამართა. იმიჯშეცვლილ ქეთას (მან თმა შეიჭრა) სიახლეებზე სასაუბროდ გიგა კუხიანიძის ხმის ჩამწერ სტუდიაში მივსვით. მომღერალმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ვარცხნილობა ახალი იმიჯის შესაქმნელად არ შეუცვლია: დამცხა და თმა მხოლოდ ამიტომ შევიჭერიო, — გვითხრა ქეთამ, რომელსაც სულ მალე 17 წელი შეუსრულდება.**

— ქეთა, პირველ რიგში, ახალი კლიპების შესახებ გვიამბეთ.

— როგორც იცით, გაზაფხულზე ჯგუფ „ინტროსთან“ ერთად ჩავეწერე სიმღერა — „გვანსოვს“, რომლის ტექსტისა და მუსიკის ავტორები თავად ჯგუფის წევრები — ვანო ფირცხალაიშვილი და გიორგი ქავთარაძე არიან. ამ სიმღერით მყურებლის წინაშე ახალ ამპლუაში წარვდგები, რადგან ის რეპის სტილისაა, რაც ჩემს შემოქმედებაში ჯერ არ ყოფილა. როგორც ქართველმა რეპერებმა — მათ შორის, კაბუშაძე — აღნიშნეს, რეპის „კითხვა“ საკმაოდ კარგად გამოძის. აღნიშნულ სიმღერაზე სულ ახლახან დასრულდა კლიპის გადაღება, რომლის რეჟისორიც გიორგი რამიშვილია. სიუჟეტი ვითარდება გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში და მოგვითხრობს აზარტულ ადამიანებსა და კოვბოურ ცხოვრებაზე. მე და „ინტრო“ აფერისტებს ვთამაშობთ და ბანკს ვძარცვავთ. კლიპში მონაწილეობენ: დათო ხუჯაძე, გიორგი და კრისტი ყიფშიძეები და კიდევ რამდენიმე მოღველი.

— მეორე კლიპი რომელ სიმღერაზე გადაიღეთ?

— ეს არის ნუგზარ ერგემლიძის სიმღ-

ერა — „კრემლიანი თვალები“, რომლის ახლებური ინტერპრეტაცია ეკუთვნის გიგა კუხიანიძეს, ტექსტი — ნანა ცინცაძეს, ხოლო კლიპის რეჟისორი გიორგი კიკა-ლეიშვილია (კიკალა). გადაღება მიმდინარეობდა თბილისში ბოტანიკური ბაღის ჩანჩქერის ქვეშ. ეს არის აბსოლუტურად განსხვავებული კლიპი. უცხოურ კლიპ-ინდუსტრიაში ასეთ სტილს FASE ეწოდება. მასში მთელი ყურადღება გადატანილია ჩემი სახის ნაკეთებზე, წარბებზე, თვალებზე და ა.შ.

— როდის შედგება აღნიშნული კლიპების პრეზენტაციები?

— სექტემბრის შუა რიცხვებში. პირველი კლიპის პრეზენტაციას ტელეკომპანია „პირველ სტერეო“ შესთავაზებს მყურებელს, ხოლო მეორე კლიპი პირველად „მეცხრე არხზე“ გავა.

— როგორც ვიცით, მესამე კლიპის გადაღებასაც აპირებთ.

— მესამე კლიპს გადავიღებთ გიგა კვენეტაძის ახალ სიმღერაზე — „გული გეფერებოდა“, რომელზეც მუშაობა უახლოეს დღეებში დაიწყება. კლიპის რეჟისორი იქნება დათო იმედაშვილი, ხოლო მის შინაარსზე ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს საიდუმლოა.

— იმ სიმღერებზეც გვიამბეთ, რომლის ჩაწერაზეც ახლა მუშაობთ?

— ჩავეწერე ლუეტი დათო ხუჯაძის მენეჯერთან, მიქისთან ერთად. სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება ჩემი მეორე ალბომის გამოშვება. ამ ალბომისთვის თითქმის ყველა სიმღერა მზად არის, ჩასაწერი მხოლოდ სამი სიმღერა დამრჩა. ორი მათგანის ავტორია ჯგუფის — „ქუჩის ბიჭები“ — ერთ-ერთი წევრი, ირაკლი ნოზაძე, ხოლო მესამე, ჩემი ძველი სიმღერის — „შენთვის ვმღერი“ — რემიქსი გახლავთ, რომლის ახლებური ინტერპრეტაცაც ასევე ირაკლი ნოზაძეს ეკუთვნის.

— როგორ აღნიშნავთ თქვენს დაბადების დღეს?

— დაბადების დღე ცხრა სექტემბერს მაქვს. ჩემს მეგობრებს უნდათ, რომ აღვნიშნოთ, მაგრამ მე ამის სურვილი არა მაქვს: მინდა, უხმაუროდ ჩაიაროს, რადგან ნახევარ თბილისს ვიცნობ, უამრავი ადამიანი მოიყრის თავს და არეული სიტუაცია იქნება... თუმცა, შარშანაც არ მინდოდა დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ იცი, რამდენი ხალხი მესტუმრა?..

წინასწარ ვულოცავთ ქეთას დაბადების დღეს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

## ნინი ძაბსულაძე მაუშუტმას ემშვიდებომა...

თიკა ჯამბურასთან ერთად სამეგრელოში დასვენების შემდეგ, მომღერალი ნინი ძაბსულაძე ახალ კლიპზე მუშაობაში ჩაება. სიმღერის სახელწოდებაა „ვერ გაიგებს ვერაფერს“. მისი ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის, მუსიკა — რუსა მორჩილაძეს, კლიპს კი, რეჟისორი ნესტან სინჯიგაშვილი გადაიღებს. როგორც ნორჩმა მომღერალმა აღნიშნა, ახალი კლიპი, რომლის შინაარსიც ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია, ვირტუალური იქნება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეკრანზე ნინი 11 კოსტიუმს გამოიცვლის.

პარალელურად ნინი ახალ ალბომზეც მუშაობს და ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის კლიპი, ალბომი და კომპაქტდისკი ერთდროულად გამოვა. თუმცა, ამას არ მოჰყვება საგანგებოდ მოწყობილი პრეზენტაცია, რადგან მომღერლის ღელას — სათუნა ჟორდანიას მიანია, რომ ნინის ასაკის ბავშვებისთვის პომპეზურობა ზედმეტია. ამ კლიპითა და ალბომით ნინი თავის ბავშვობას დაემშვიდობება და სულ მალე, სიყვარულზეც ამღერდება...



# კვირის (8-14 სექტემბერი)

## ქალწული - 24/VIII-23/IX

**ქაღლი:** ადრე დაწყებულ საქმეს ამ კვირაში დაამთავრებ და ეს საკმაოდ კარგ განწყობილებას შეგიქმნით. საერთო პრობლემები ოჯახის წევრებთან ერთად გადაწყვიტეთ. ნუ ელით მნიშვნელოვან ცვლილებებს სასიყვარულო ურთიერთობაში.

**მამაკაცი:** თავი შეიკავებ ოჯახის წევრების კრიტიკისაგან. თავშეუკავებელი ტონი და გამუდმებული შენიშვნები ისევ თქვენვე შეგიქმნით პრობლემებს. იყავით ახლობლებთან თბილი და სამართლიანი.

## სანტო - 24/IX-23/X

**ქაღლი:** რატომ ცდილობთ, თქვენი სურვილები გარშემოყოყოთ მოახვიოთ თავზე? თუ ისინი არიან დამთმობნი და მიმტყეპბლები, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყოველთვის მართალი ხართ. გაუწიეთ სხვის აზრს ანგარიში.

**მამაკაცი:** მსუბუქი და წარმატებული კვირა გაქვთ. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გააუმჯობესდება. შეიძლება ჰორიზონტზე საოცნებო ქალიც გამოჩნდეს და საინტერესო წინადადებაც შემოგთავაზოთ.

## ღრინაპალი - 24/X-22/XI

**ქაღლი:** ფრთხილად! თუ გათხოვილი ხართ, შეიძლება ქმარმა ეჭვიანობის სცენა მოგიწიოს. ისე, მართლაც ზედმეტად ახლოს ხომ არ მიუშვით თქვენს გულთან ვინმე უცხო მამაკაცი? ჰკითხეთ საკუთარ თავს, ზედმეტად მეოცნებე ხომ არ გახდით?

**მამაკაცი:** ჩვეულებრივი, უპრობლემო კვირა გაქვთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შექმნილ გაუგებრობას ადვილად მოაგვარებთ. კმაყოფილი დარჩებით თქვენ მიმართ ხელმძღვანელების დამოკიდებულებითაც.

## ეპიფანია - 23/XI-21/XII

**ქაღლი:** კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. ზედმეტი სიფიცხის გამოვლენით, წარმატებით დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება არ ჩაშალთ. მოეთათბირეთ საქმიან პარტნიორებს. მარტო ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას.

**მამაკაცი:** კარგად დაწყებული საქმე შუა კვირაში შეფერხდება, მაგრამ მის წარმატებით დაგვირგვინებას მაინც მოახერხებთ. დაკისრებულ მოვალეობას ოჯახშიც და სამსახურშიც წარმატებით ართმევთ თავს და საწუწუნოც არაფერი გაქვთ.

# სსპროლოგიური პროგნოზი

## თხის რქა - 22/XII-20/I

**ქაღლი:** კვირის დასაწყისში შეიძლება გაუთვალისწინებელმა პრობლემამ იჩინოს თავი. კვირის მეორე ნახევარში თავი შეიკავებ ზედმეტი საუბრისაგან. საჭირო არ არის, ყველას უამბოთ, თუ რა ძალისხმევის ფასად დაგივლათ პრობლემის მოგვარება.

**მამაკაცი:** კვირის მეორე ნახევარში ძველ მეგობრებთან საინტერესო და ხალისიანი შეხვედრა გელით. იყავით გულუხვი მანდილოსნების მიმართ. მათ ხომ ასე უყვართ საჩუქრები?

## მეჩხეული - 21/I-19/II

**ქაღლი:** ზედმეტად მიაბიტი ხომ არ ხართ? დაუკვირდით, რამდენი ხანია, ერთი და იმავე დანაპირებით სულდგმულობთ? დროა, მიწაზე დაეშვათ და რეალობას გაუსწოროთ თავალი.

**მამაკაცი:** ნუ ელით სასწაულებს. ლანგრით არავინ არაფერს მოგართმევთ. დროა, ხელი გაანძიროთ და დასახული მიზნის მისაღწევად მიზანმიმართულად იღვაწიოთ.

## თევზი - 20/II-20/III

**ქაღლი:** აუცილებელი არ არის, ნებისმიერ პოლემიკაში ჩაერთოთ. მოსმენის უნარი ადამიანის ყველაზე კარგი თვისებაა. გაბრაზებულ ადამიანებზე თქვენი მშვიდი ტონი და შემწქარებლობა დადებითად იმოქმედებს და შეიძლება მომავალში მათი სახით საუკეთესო მეგობრებიც შეიძინოთ.

**მამაკაცი:** განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ იმ დავალებას, რომლის შესრულებასაც სამსახურში მოითხოვენ თქვენგან. უპასუხისმგებლობის გამოვლენის შემთხვევაში დიდი შანსია იმისა, რომ სამსახური დაკარგოთ.

## მეჩხეული - 21/III-20/IV

**ქაღლი:** სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის აუცილებელი, ყველა საქმეში ინიციატივა გამოიჩინოთ. მშვიდად დაელოდეთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

**მამაკაცი:** მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. შეეცადეთ დაამყაროთ ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან, იყავით საქმეში მობილიზებული და კიდევ ერთი: არავითარ შემთხვევაში არ დააგვიანოთ შეხვედრაზე. ამან შეიძლება თქვენს სამომავლო გეგმებზე უარყოფითად იმოქმედოს.

## მეჩხეული - 21/IV-21/V

**ქაღლი:** ემოციურად საკმაოდ დაძაბული დღეები გელით. კვირის მეორე ნახევარი ხელსაყრელი პერიოდია ოფიციალურ ინსტანციებთან ურთიერთობისათვის. კვირის დასაწყისში კი, სიურპრიზი გელით.

**მამაკაცი:** მიხედეთ საკუთარ გარეგნობას. მეტი დრო დაუთმეთ ტანსაცმლის ერთმანეთთან შეხამებას. ახალი ფენსაცმელი და კარგი სუნამო მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში თქვენი წარმატების გარანტიაა.

## მეჩხეული - 22/V-21/VI

**ქაღლი:** უარი თქვით ისეთ სასიამოვნო პოზიზე, როგორცაა მაღაზიებში სეირნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დააღწევთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რომელიც უახლოეს მომავალში მძიმე ტვირთად დაგაწევბათ.

**მამაკაცი:** კარგი იქნება, თუ კვირის ბოლოს, დროს წვეულებაზე გაატარებთ. იქ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდებით და კარგადაც დაისვენებთ. უარი თქვით აზარტულ თამაშებზე.

## მეჩხეული - 22/VI-22/VII

**ქაღლი:** თქვენს პირად ცხოვრებაში ბევრი პრობლემაა. მაგრამ არ ღირს, ამის გამო დეპრესიაში ჩავარდეთ. წადით, სპარტიკანსეროში და გაიკეთეთ რაიმე ექსტრავაგანტური ვარცხნილობა. ეს განწყობილებას გამოგისწორებთ.

**მამაკაცი:** შეხედეთ, რამდენი ჭორი-კანა მამაკაცია თქვენ გვერდით. არავითარ შემთხვევაში არ აჰყევთ მათ ჭორაობაში. ტყუილად კი არ გაქვთ ღირსეული მამაკაცის სახელი. კვირის დასაწყისში მოერიდეთ კონფლიქტებს.

## ღიბი - 23/VII-23/VIII

**ქაღლი:** თქვენ კარგი მეგობრები გყავთ. დაწყებული საქმეების მოგვარებას მხოლოდ მათი თანადგომით თუ შეძლებთ. კვირის ბოლოს კი გაუკეთეთ მათ სიურპრიზი და შესთავაზეთ გასიერება ბუნების წიაღში.

**მამაკაცი:** დროა, დაისვენოთ და საერთოდ, მოიქცეთ ისე, როგორც გული გკარნახობთ. დროა, ახლობლებმა დაინახონ, რომ თქვენ საკუთარი სიამოვნებისთვისაც შეგიძლიათ დახარჯოთ ფული.





# გაგონიერი ადამიანებს მოსწონებოდა გაგონათუქაფა



## დაეჭება

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი გერმანელი ნოველისტი და ლირიკოსი თეოდორ შტორმი ჰუზუმში მოსამართლე იყო. ერთხელ სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მოწმე იძულებულია ჩვენებას, რომელიც ძალზე შორს იდგა სიმართლისგან. შტორმმა სიტყვა შეაწყვეტინა და მოსთხოვა, მხოლოდ სიმართლე ელაპარაკა.

— მე სიმართლეს ბავშვობიდანვე შევეუდღე, ბატონო მოსამართლე, — პათეტიკურად განაცხადა მოწმემ.  
— კი, მაგრამ რამდენი ხანია, რაც დაქვრივდი? — მიუგო ცივად თეოდორ შტორმმა.

## პირველი ლექცია

შესანიშნავი დეკლამატორი — მწერალი მარკ ტვენი პირველი ლექციის ჩატარების წინ შიშით იყო შეპყრობილი, მაგრამ პირველივე წინადადებით აღაფრთოვანა მსმენელები. ეს ცნობილი პირველი წინადადება ასე ჟღერდა: „იულოუს კეისარი მოკვდა, შექსპირი მოკვდა, ნაპოლეონი მოკვდა და მეც ვერ ვგრძნობ თავს მთლად ჯანმრთელად...“

## სერიოზული პროფესია

გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ლუდვიგ რენმა მწერალთა შეკრებაზე ერთ ახალგაზრდას, რომელმაც თავისი პოლემიკური სიტყვებით მისი ყურადღება მიიპყრო, კითხვით მიმართა: რას წერთ?

— კომედიებს ვწერ, რადგანაც მინდა, ხალხს სიცილი მოვ-

ვარო, — მიუგო ახალბედა დრამატურგმა.

— ო-ო, თქვენ ფრიალ სერიოზული პროფესია აგირჩევიათ, — უთხრა რენმა.

## სვედის განქარვება

ერთ მშვენიერ დღეს, ჰაინრიხ ჰაინეს ფოსტიდან ამანათი მიუტანეს. პოეტს გაუკვირდა, რადგან არსაიდან არაფერს ელოდა. ჰაინემ ამანათი გახსნა, მაგრამ დასტა-დასტად ჩადებული ქაღალდების გარდა, შიგ არა იყო რა. ბოლოს, სულ ძირში პაწაწინა ყუთი აღმოჩნდა. ყუთში წერილი იდო, რომელშიც ერთადერთი წინადადება ეწერა: „ჯანმრთელად გახლავარ. შენი მეგობარი...“

ცოტა ხნის შემდეგ, მწერლის მეგობარმა მიიღო შეტყობინება ფოსტიდან, მის სახელზე მოსული ამანათის თაობაზე. მან სასწრაფოდ მიიბრინა ფოსტაში. ამანათი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და კაცმა ის ეტლით მიიტანა სახლამდე, მერე კი, მესამე სართულზე ხენეშითა და სვენე-სვენებით ძლივს აიტანა. ბინაში შესვლისთანავე გახსნა და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც უზარმაზარი ქვა დაინახა, რომელზე განთავსებული ბარათიც იუწყებოდა:

„შენი ამანათი მივიღე, რისთვისაც მადლობას გიძღვნი და რომ შევიტყვე, კარგად ყოფილხარ, გულიდან ეს ლოდი მომიცილდა. გულითადი საღმით — შენი ჰაინრიხ ჰაინე“.

## მომავალი კრიტიკოსი

— წიგნში ისევ ვირის ყურები ჩაგინახტავს, — უთხრა მამამ პატარა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგს.

— ამ წიგნს აქვს ვირის ყურების უფლება, მამიკო, — მიუგო მომავალმა მწერალმა და კრიტიკოსმა.

# ანეკდოტები

\*\*\*

— ჭიჭიკია, რატომ გაქვს „სინიაკი“ თვალის ქვეშ?

— ჰანდურის ამორტყმა უნდოდათ, მაგრამ ვერ მივართვი — უცებ შემოვტრიალდი.

\*\*\*

— დღეს რამდენი ავადმყოფი გვყავს?

— ეკითხება ასისტენტს ტრავმატოლოგი.  
— ორი მძიმე შემთხვევა: ერთი — ავტოავარიაა, მეორემ ცოლს ქურჭი არ უყიდა...

\*\*\*

უიღბლო კაცის მონოლოგი:  
— ფუი, 22 მოთამაშე, 2 მწვრთნელი, 10 სათადარიგო მოთამაშე, არბიტრი, 2 გვერდითი მსაჯე, 6 ოპერატორი, 3 ტელეშუშაკი, 50 სპორტული ჟურნალისტი და 80 ათასმდე გულშემატკივარი... ამ მტრედმა კი, მაინცდამაინც მე დამასკონტა...

\*\*\*

— ქალბატონო, ეს კაცი თქვენი მეუღლეა?

— არა, ბატონო, მეუღლე მივლინებაშია. ეს კაცი მისი მოვალეობის დროებითი შემსრულებელია.

\*\*\*

— შენ ხარ დამპალი, მათხოვარი, ტუტუცი, ნაბიჭვარი არამზადა. შენობით რომ მოგმართავ, ხომ არ გწყინს?

\*\*\*

ტიპი ახალ სამსახურს ეძებს და გასაუბრებაზე მივიდა:

— მყავს ცოლი, ხუთი შვილი...  
— კიდევ რა შეგიძლიათ?

\*\*\*

— დედიკო, დღეს ავტობუსში ერთ ქალს დავუთმე ადგილი, ის კი არ დაჯდა.

— მერე?

— მერე ისევ მამიკოს ჩაუფუცეკი კალთაში.

\*\*\*

ორი ტიპი ხვდება ერთმანეთს:

— როგორა ხარ?  
— არა მიშავს რა. კარგად რომ ვარ, პოლიციაში ვხვდები, ცუდად რომ ვარ — „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში.

\*\*\*

ცველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იბადება. უბრალოდ, შემდეგ ზოგს ცოლი მოჰყავს...

\*\*\*

ორი მეგობარი საუბრობს:

— გუშინ ცოლი მყავდა „ოტელიზე“.  
— კულტურული პროგრამა?  
— არა — გაფრთხილება...

\*\*\*

უფროსი ძმა უმცროსს მშობლების შესახებ უყვება:

— თავიდან სიარულს და ლაპარაკს გასწავლიან, მერე კი გაიძულებენ, დაჯდეს და ჩუმად იყოს!..





# ხართ თუ არა ოპტიმისტი

ადამიანებს შორის უკიდურესი პესიმისტებიც არსებობენ და უსაზღვრო ოპტიმისტებიც. ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ტესტი საკუთარი თავის დაფარული მხარეების შეცნობაშიც დაგეხმარებათ და გარშემომყოფთა უკეთ გაგებაშიც. ტესტი საკმაოდ პოპულარულია ამერიკელთა შორის და როგორც ამბობენ, მარტივი კითხვების მეშვეობით, საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს, თუ ვინ, ვინაა.



- 1) უფრო ხშირად, როგორ სიზმრებს ხედავთ ხოლმე?
  - ა) სამინეღს და დრამატულს - 1;
  - ბ) ბუნდოვანს და გაურკვეველს - 4;
  - გ) სასიამოვნოს - 3;
  - დ) ეროტიკულს - 5.
- 2) რაზე ფიქრობთ ხოლმე დილით, ვალეიტებისთანავე?
  - ა) როგორი ამინდი იქნება იმ დღეს - 2;
  - ბ) საყვარელ საბუთაოზე - 5;
  - გ) იმ საქმეზე, რომლის გაკეთებაც არ გსიამოვნებთ - 2;
  - დ) საყვარელ ადამიანზე - 4.
- 3) ჩვეულებრივ, როგორ საუბრობთ დილაობით?
  - ა) ამისთვის სპეციალური დრო გაქვთ გამოყოფილი და სუფრას წესების დაცვით აწყობთ - 5;
  - ბ) ნახევრად თვალებდახუჭული - 2;
  - გ) თან, ტელევიზორს უყურებთ - 3;
  - დ) ხშირად გაგვიანდებათ და ამიტომ, თითქმის ფეხზე დამდგარი საუბრობთ - 1.
- 4) რას აქცევთ უპირველესად ყურადღებას გაზეთის ან ჟურნალის კითხვისას?
  - ა) პოლიტიკურ ამბებს - 2;
  - ბ) სპორტულ ამბებს - 1;
  - გ) შოუბიზნესის სიახლეებს - 4;

- დ) სტატიებს ეკონომიკის შესახებ - 3.
- 5) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა პრესით ან ტელევიზიით მორიგი კრიმინალური დანაშაულის შესახებ შეიტყობთ ხოლმე?
  - ა) თქვენთვის ეს სულერთია - 3;
  - ბ) შიში გიპყრობთ: ხომ შეიძლება, ასეთი რამ თქვენც შეგემთხვევთ - 1;
  - გ) აღშფოთდებით: რას აკეთებენ სამართალდამცავი ორგანოები?! - 2;
  - დ) ფიქრობთ, რომ ასეთი რამ ამქვეყნად მუდამ ხდება - 0.
- 6) როგორ იქცევით უცნობ ადამიანთან პირველად შეხვედრისას?
  - ა) მაშინვე მიენდობით მას და გულს გადაუშლით - 5;
  - ბ) ელოდებით, რომ საუბარი მან დაიწყოს - 1;
  - გ) ინტერესით აკვირდებით მის ქცევას - 3;
  - დ) უბრალოდ აკვირდებით - პირველივე შეხვედრისას ხომ ადამიანის შეცნობა შეუძლებელია - 3.
- 7) როგორ იქცევით, როცა გრძობთ, რომ ქუჩაში ვიღაც დაჟინებით გაკვირდებათ?
  - ა) ფიქრობთ - რაიმე მოუწესრიგებელი ხომ არ მაქვსო? - 1;

- ბ) გსიამოვნებთ - 5;
- გ) ცდილობთ, საკუთარი თავი ვიტრინაში შეათვალიეროთ - 2.
- დ) ყურადღებას არ აქცევთ - 4.
- 8) როგორ მოიქცევით, თუ უცნობ ქალაქში კონკრეტულ მისამართზე უნდა მიხვიდეთ?
  - ა) აიყვანთ ტაქსის - 1;
  - ბ) ჰკითხავთ ქუჩაში გამგლეგლს, საით უნდა წახვიდეთ - 5;
  - გ) ეცდებით, თავად მიაგნოთ - 3;
  - დ) დაბნეული, იფიქრებთ - ხომ შეიძლება საერთოდ ვერ მიაგნოთ - 2.
- 9) რას ფიქრობთ, როცა საკუთარ თავს ათვალიერებთ სარკეში?
  - ა) არა მიშავს რაო - 5;
  - ბ) ცოტა უნდა დავიკლო წონაში - 2;
  - გ) ისე გამოვიყურები, როგორც უმეტესობა - 3;
  - დ) სპორტს ხომ არ მივყო ხელი?! - 2.
- 10) როგორ იქცევით ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობისას?
  - ა) იღიმებით, თუმცა, ოდნავ ცივად და თავშეკავებულად იქცევით - 5;

- ბ) ხშირად, უხერხულად გრძობთ თავს - 2;
- გ) ყურადღებით უსმენთ ყველას - იქნებ, ვინმე თქვენზე ჭორაობს? - 3;
- დ) მუდამ გეჩვენებათ, რომ სხვებს გაცილებით ჯობნით და ამას არც მალავთ - 4.
- 11) როგორ ემზადებით ხანგრძლივი მოგზაურობისთვის?
  - ა) საგულდაგულად გეგმავთ ყველაფერს - 2;
  - ბ) შიშობთ, რომ შეიძლება, რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს - 1;
  - გ) იცით, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, ამიტომ განსაკუთრებულად არ ემზადებით - 4;
  - დ) გამგზავრებამდე, საკმაოდ ნერვიულობთ, როცა გაემგზავრებით - მაშინვე მშვიდდებით - 2.
- 12) უმეტესად, გადაწყვეტილების მიღებისას რით ხელმძღვანელობთ?
  - ა) „ყველაფერს ბედისწერა წყვეტს“ - 2;
  - ბ) „მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს“ - 5;
  - გ) „ჩემს შანსებს ყოველთვის რეალურად ვაფასებ“ - 3;
  - დ) „გააჩნია, ვინ შემხვდება პირველი, როცა საქმეზე მიმავალი, შინიდან გავაღ“ - 1.

## დააჯამეთ ქულები

21 და ნაკლები: პესიმისტი ადამიანი ხართ. ეს პესიმოზმი კი ხანდახან, ავადმყოფობაშიც გადადგით. თავს უნდა უშველოთ, თორემ ცხოვრება თქვენთვის მუდამ რუხი და მოსაწყენი იქნება.

22-29: მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ხასიათში ზოგჯერ, ოპტიმიზმი გამოკრთება, აშკარაა, რომ პესიმისტი ადამიანი ხართ. ამ მდგომარეობის გამოსწორება არ გაგიჭირდებათ — ოღონდ, ის სევდა უნდა დაძლიოთ, რომელიც თქვენში ღრმად არის ჩაბუდებული.

30-36: ცხოვრებას ძალზე რეალურად უყურებთ და გადწყვეტილებების მიღებისას დროულად და სწორად იქცევით. პესიმოზმი და ოპტიმიზმი კი, თანაბრად გახა-

სიათებთ სიტუაციისდა მიხედვით.

37-43: ოპტიმისტი ადამიანი ხართ, წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა საკმაოდ ძნელია. მეგობრებსა და ახლობლებს უყვარხართ, რაც იმიტაც აიხსნება, რომ ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი პოულობთ ხოლმე გამოსავალს.

44-50: დაბადებიდან ოპტიმისტი ხართ. ეს თვისება იმდენად ორგანულია თქვენთვის, რომ გარკვეულწილად, საკუთარი შეცდომების დანახვასა და გამოსწორებაშიც კი გიშლით ხოლმე ხელს.

51 და მეტი: იმას, რაც თქვენ განასიათებთ, ოპტიმიზმი კი არა — უდარდებლობაც კი ჰქვია და ალბათ ეს ცხოვრებას გირთულებთ კიდევ. დასერიოზულდით!

# ცოლის ტვინი აუქციონზე გაიტანა

გესლანი შენიშვნების გამო, ერთმა ბრიტანელმა კაცმა ცოლს იმით გადაუხადა სამაგიერო, რომ მისი ტვინი ვირტუალურ აუქციონზე გაიტანა. ამ ლოტით ოთხი ადამიანი დაინტერესდა. ბრიტანული ტაბლოიდის The Sun-ის ინფორმაციით, ინტერნეტ-აუქციონზე ცოლის ტვინის გაყიდვა, ვინმე კევენ დულაკმა გადაწყვიტა. მან 1,40 ვირვანქა სტერლინგი გადაიხადა იმისათვის, რომ ლოტის მცირე აღწერილობა და ქალის თავის ფოტო მოეთავსებინა. ტექსტი იუწყებოდა, რომ ქალის ტვინი თეთრი ქაღალდით სუფთაა, რადგან იგი არასოდეს გამოყენებიათ... გარდა ამისა, როგორც დულაკი ირწმუნებოდა, მისი „საქონელი“ ჯერ არ „გამოჩერჩვებულა“, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, მისი გამოყენებაც შეიძლებოდა. იქვე დასძენდა, რომ მისთვის მეუღლის ტვინი „არასასურველი საჩუქარი იყო“.

ერთი კვირის მანძილზე, დულაკის ხუმრობას 200-მდე ადამიანი გაეცნო, მაგრამ ლოტის შესაძენად ვაჭრობაში მხოლოდ რამდენიმე კაცი მონაწილეობდა. მათგან შემოთავაზებული თანხა 2,20 ვირვანქას არ აღემატებოდა. ამ ინფორმაციით განარებულმა დულაკმა განაცხადა: „ჩემი ცოლი ყოველთვის ოცნებობდა, რომ საკუთარი თავისთვის ჩატარებინა სამედიცინო გამოკვლევა, რათა გაერკვია, თუ როგორ მოუვიდა აზრად, ცოლად გამოემყოლოდა... სწორედ ამისთვის ვუხდი სამაგიეროს. მისი ტვინის ყიდვის მსურველები, ერთეულები აღმოჩნდნენ. ვეცდები, რომ ეს ფაქტი არასოდეს დაავიწყდეს...“ რაც შეეხება „საქონლის“ მფლობელს – ეტყობა, ეს ფაქტი სრულიად არ აღელვებს. „ჩემს ტვინს თითზე ჩამოსათვლელი მყიდველი მაინც გამოუჩნდა – აი, კევენის ტვინის ყიდვას კი, დარწმუნებული ვარ, ფსიქიატრების გარდა, არავინ ისურვებდა...“ – ამაყად განაცხადა კევენის მეუღლე.



# ჰიდაჩი ედინსონი სეხიადის ვახსევდავი გახდება



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლეს, ჰილარი კლინტონს ერთ-ერთი მთავარი როლი შესთავაზეს „დოკუმენტურ-ფანტასტიკურ“ ე.წ. „რეალიტი-შოუში“, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. ტელეშოუ საკაბელო ტელეარხის HBO-ს ეთერში კვირაში ერთხელ გავა. მის სცენარზე მუშაობს მსახიობი ჯორჯ კლუნი, რეჟისორად კი, არანაკლებ ცნობილი რეჟისორი, სტივენ სოდერბერგი მოგვევლინება. „მაყურებელი ზუსტად ვერც მიხვდება, დოკუმენტურ ფილმს უყურებს თუ ფანტასტიკას“, – ამბობს სოდერბერგი, რომელსაც ფილმში – „ტრეფიკი“ – „ოსკარი“ აქვს მიღებული. ახალ შოუში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა სახელგანთქმული პოლიტიკოსები და მსახიობები. ბევრი მათგანი საკუთარ თავს განასახიერებს. ფანტასტიკური მოქმედების მონაწილენი არატრივიალურ ვითარებაში მიმოიხილავენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს. სერიალს ვაშინგტონის ქუჩის სახელი – K Street დაერქმევა. სწორედ ამ ქუჩაზეა განთავსებული ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა ოფისები და წარმომადგენლობები. „რეალიტი-შოუს“ პირველი სერია ეთერში 14 სექტემბერს გავა. როგორც ვარაუდობენ, ისევე, როგორც ამ არხის სხვა პროექტებს – მაგალითად, სერიალებს: „სექსი დიდ ქალაქში“ და „წესრიგი და კანონი“ – K Street-საც პოპულარობა ელის.

## 7 ახალგაზრდას ამოხაღეს საქციელისთვის განუკლებენ

ქალაქ რას-ელ-ჰაიმში (არაბთა გაერთიანებული საამიროები), ამორალური საქციელის ჩადენისთვის საჯაროდ გაიწვებლება 7 ახალგაზრდა მამაკაცი – იტყობინება გაზეთი „ალ-იტიჰადი“. ეგზეკუცია პარასკევის შუადღის ლოცვის შემდეგ, მეჩეთის გვერდით მდებარე მოედანზე შედგება. როგორც გაზეთი იუწყება, კაბებში ჩაცმული ახალგაზრდები საბანკეტო დარბაზში შეიპარნენ, სადაც ქალები ქორწილს იხდიდნენ (საამიროებსა და სხვა არაბულ ქვეყნებში ქალებისა და მამაკაცებისთვის საქორწილო წვეულებები ცალ-ცალკე იმართება); იქ დამსწრე მრავალ სტუმარს შორის გაფანტულმა ონავრებმა, პატარძლის მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად იცეკვეს და იქეიფეს. ეს მასკარადი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთ „გოგონას“ ტუალეტში გასვლა არ დასჭირდა. იქ კი ყველაფერი გაცხადდა. ქალებმა ანცი ბიჭუნები გაკოჭეს და პოლიციას ჩააბარეს.




## ზადციის ზღვამ სანაპიროზე ბანანები გამოიყა

კალინინგრადის ოლქში ბალტიის ზღვის სანაპირო დიდი რაოდენობის ეგზოტიკური ხილით აივსო. ძლიერი შტორმის შემდეგ, ტურისტებმა და იქ მცხოვრებლებმა საოცარი სანახაობა იხილეს: სველ ქვიშაზე გამორიყულ ბაგირებს, თოკებს, პლასტმასის ყუთებსა და ბოთლებს შორის, მწვანე ბანანების უამრავი შეკვრა ეყარა. მათგან შექმნილი „ბილიკი“ ასობით მეტრ სიგრძეს აღწევდა, რომელიც ლიტვის საზღვრისკენ მიემართებოდა. ეტიკეტების მიხედვით, ხილი ეკვალორზე იყო დაფასოებული. დაბის მცხოვრებლებმა ზღვის ეგზოტიკური ძღვენი შეაგროვეს, ხოლო რამდენიმე მოსკოველმა ტურისტმა ბანანებისგან სიტყვა „მოსკოვი“ ააწყო და მის ფონზე სამახსოვრო სურათიც გადაიღო. როგორც ვარაუდობენ, ხილით სავსე ყუთები წყალმა ზღვის იქაურ აკვატორიაში მოძრავ გემს მოსტაცა.



# ჟოტოკუნიონები





ნიმუშიანი კომპანია „რეიზინგ ჯგუფი“  
დაეუფაობის მეორეხარისხიანი კანდიდატს  
ნაკრებულ საკრებო კომპანიის მსახურებლად  
პოვნის!

- ✓ წინასწარმოდ კომპანიის უფლებური სტრატეგიის შექმნასა და განხორციელებას;
- ✓ შედეგ სტრატეგიის შექმნას;


## უფლებური

საბაზო უზღოვანებისა და რეკლამის დაგეგმვასა და განხორციელებას;

ვიდეო და აუდიოგრაფიის (კლიენტის, მათ შორის ანიმაციური) მომზადებას და ეთერზე განთავსებას;

- ✓ სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას;
- ✓ ბუკლეტების, ჟურნალ-გაზეთების, პლაკატების და სხვ. მომზადებას, გეგმვას და განხორციელებას.

# «რეიზინგ ჯგუფი»



ტელ: 38-68-77  
877 46-58-49

თქვენი კარიერის პარტნიორი!